ყოველთვიური ბეჭდვითი, „ელექტრონული“ ფორმით

ვერსია

№71 (827) 26 – 27 ივნისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თვითრი

მიდის თუ არა თეა წულუკიანი პოლიტიკიდან პრემიერთან ერთად?

გვ. 7

„მარტო ჩემი კი არა, ქართული კინოს სახელით ვიბრძვი... შიმშილობას არ შევწყვეტ!“

დევან ანჯაფარიძის მიერ მიწოდებული ინფორმაციას, კულტურის სამინისტროში 28 ივნისს, დახურულ სხდომაზე, იურისტებთან ერთად განიხილავენ

გვ. 2

ვაგონმშენებელი ქარხნის წილი ბიზნესმენს სააკაშვილმა, ნოღაიდელმა და ბექუაშვილმა დაათმობინეს?

-5% სამომხმარებლო სესხებზე თიბისი ბანკში!

გვ. 3

„რომპეტროლმა“ ბაზარზე პრემიუმკლასის ახალი საწვავი Efix S შემოიტანა

ახალი „მამოძრავებელი ენერგია“ სპორტული მანქანებისთვის!

გვ. 11

როგორ მიიყვანა გაკოტრების პირას სანარმო ავთანდილ საყვარელიძემ

გვ. 7

ირაკლი სესიაშვილი:

„ასეთი სხვა სამაღავების არსებობაზე მთელი რიგი ოპერატიული ინფორმაცია გვაქვს“

გვ. 4

„ალფა“ გარდაცვლილი ჯარისკაცის ოჯახს სიცოცხლის დაზღვევის თანხას არ აძლევს

გვ. 8

„ავერსის“ პასუხი არჩილ ჩხეტიანის ოჯახს

გვ. 5

გია ჟორჟოლიანი პარლამენტში ნინო ბურჯანაძის ინტერესებს ახმოვანებს?!

გვ. 13

რატომ

დაცარიელდა დახლები ოქროს ბირჟაზე, ალარ შემოაქვთ სამკაული უცხოეთიდან და იაფდება ოქრო ელვისსისწრაფით?

„მარტო ჩემი კი არა, ქართული კინოს სახელით ვიბრძვი... შიმშილობას არ შევწყვეტ!“

ლევან ანჯაფარიძის მიერ მინოდებული ინფორმაციას, კულტურის სამინისტროში 28 ივნისს, დახურულ სხდომაზე, იურისტებთან ერთად განიხილავენ



ნათია ვასაძე
555-98-61-65

კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე, რომელმაც წელს უკვე მეოთხედ ვერ გაიმარჯვა ეროვნული კინოცენტრის მიერ ჩატარებულ, სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსზე, პროტესტის ნიშნად, უკვე მე-9 დღეა კულტურის სამინისტროს წინ შიმშილობს, სამინისტროსგან კინოცენტრში აღმოჩენილ დარღვევებზე სასწრაფო რეაგირებას ითხოვს და აცხადებს, რომ ტრადიციულად, წლევანდელ კონკურსშიც უამრავ დარღვევას ჰქონდა ადგილი.

რეჟისორმა კულტურის სამინისტროს წინ აქციაც გამართა, რომელსაც კულტურის სხვადასხვა სფეროს უამრავი წარმომადგენელი ესწრებოდა. რეჟისორმა შეკრებილ საზოგადოებას ეროვნული კინოცენტრის მიმართ თავისი პრეტენზიები გააცნო: **„კინოცენტრთან დაკავშირებით, სერიოზული ბრალდებები მაქვს. კანონდარღვევაა ის, რომ ჟიურის წევრები თავადაც მონაწილეობდნენ კონკურსში და სწორედ მათ მიერ წარდგენილმა სცენარებმა გაიმარჯვა! თან, არ დაგავიწყდეთ, საქმე დაფინანსებას ეხება! მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსის ჟიურის წევრმა ანა ძიაპშიპამ პარალელურად მიმდინარე ორ კონკურსში საკუთარი პროექტისთვის მოიპოვა დაფინანსება; სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის დაფინანსების კონკურსში გაიმარჯვა პროექტმა, რომლის რეჟისორიც ზურაბ ინაშვილია, რომელიც ამავდროულად, მიმდინარე სადებიუტო მხატვრული ფილმის დაფინანსების საექსპერტო კომისიაშიც მუშაობდა; მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის დაფინანსების კონკურსის ჟიურის წევრმა, რუსუდან პირველმა გაიმარჯვა და მოიპოვა სახელმწიფო სუბსიდია პარალელურად მიმდინარე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის კონკურსში. ამ კონკურსის მეორე გამარჯვებულიც ჟიურის წევრი ლევან თუთბერიძეა; სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის კონკურსის ჟიურის წევრი ბესო (გივი) ოდიშარია, „პალესტრას“ დირექტორი თავად მონაწილეობდა კონკურსში პროექტით „წერილი შვილს“. მეორე ტურში ეს პროექტიც გადავიდა... ეს წლევანდელ კონკურსზე არსებული დარღვევების არასრული ჩამონათვალია. ეროვნულ კინოცენტრში მიმდინარე პროცესები საფუძვლიანადაა შესასწავლი“.**

24 ივნისს, კინორეჟისორს კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი შეხვდა და საქმის საბოლოო შესწავლამდე შიმშილობის შეწყვეტა სთხოვა. ეს რეჟისორისა და მინისტრის მოადგილის რიგით მეორე შეხვედრა იყო, პირველი კი, 20 ივნისს გაიმართა. მას ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელობა და კომისიის წევრებიც ესწრებოდნენ, მაგრამ მაშინ შეთანხმება ვერ შედგა. ამჯერად ლევან ანჯაფარიძემ კულტურის მინისტრის მოადგილეს კინოცენტრში არსებული დარღვევების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რის შემდეგაც, **მანანა ბერიკაშვილმა** განაცხადა: **„შეწუხებული ვარ ლევან ანჯაფარიძის მდგომარეობით. ვთხოვე, საქმის შესწავლამდე შიმშილობა შეწყვიტოს. ლევანი ჩემი მეგობარი და ძალიან კარგი რეჟისორია, იგი აუცილებლად გადაიღებს კიდევ ბევრ კარგ ფილმს. მთავარი ახლა მისი ჯანმრთელობაა და ეს ყველაზე მეტად მაწუხებს. 28 ივნისს ჩანიშნულია დახურული სხდომა, რომელზეც იურისტებთან ერთად ვიმსჯელებთ ცალკეულ დარღვევებსა და პრობლემებზე“.**

მიუხედავად ამისა, ლევან ანჯაფარიძე შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს: **„ჩემთვის, 52 წლის ასაკში, ადვილი არ იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ დამიტოვეს, არსად ვაპირებ წასვლას, 28 ივნისამდე აქ ვიჯდები — ახლა მარტო ჩემი კი არა, ქართული კინოს სახელით ვიბრძვი. ყოველდღე უამრავი ადამიანი მოდის ჩემთან და სოლიდარობას მიცხადებს, ეს კონკურსი უსამართლოდ ჩატარდა და მისი შედეგები აუცილებლად უნდა გაბათილდეს. მოვითხოვ, განმეორებით ჩატარდეს კონკურსი ჯანსაღი კონკურენციისა და ნორმალური ჟიურის პირობებში“.**

მტკვარი კანალიზაციის წყლით აღარ დაბინძურდება!

დედაქალაქის საკრებულოს გაფართოებულ სხდომაზე „ქართული ოცნება — თბილისელების“ ფრაქციამ, თბილისის წყალმომარაგების პრობლემების გასარკვევად, GWP-ის წარმომადგენლები და თბილისის რაიონების გამგებლები მოიწვია. ფრაქციის თავმჯდომარე **გულიკო ზუმბაძის** განმარტებით: **„წყლის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება ტაბუდადებული იყო, ჩვენმა ფრაქციამ კი მიაღწია, ამ თემას ახსნოდა გრიფი „საიდუმლო“. გვაინტერესებს, როდის მოგვარდება შემოერთებულ სოფლებში წყალმომარაგების პრობლემა და როდიდან ექნებათ თბილისელებს 24-საათიანი წყალმომარაგება“.**

საბურთალოს გამგებელმა გია ხუროშვილმა „წყლის კომპანიას“ მოსთხოვა, მიაწოდონ ზუსტი მისამართები და ვადები, სად, როდის დასრულდება კონკრეტული სამუშაოები. ხუროშვილის განმარტებით, ეს გამგეობას იმიტომ აინტერესებს, რომ კონკრეტულ უბნებზე ასფალტის დაგება დაიწყოს. გამგებელმა ისიც აღნიშნა, რომ სოფელ დიღმის მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაშია, რადგან წყალი არ აქვთ.

თბილისის ტერიტორიასშემოერთებული სოფლების წყლით უზრუნველყოფის პრობლემას გლდანის გამგებელი ნოდარ სანდუხაძეც შეეხო და აღნიშნა, რომ გიორგი წმინდის, ავჭალა 2-ის და მუხიანი 2-ის წყალმომარაგების საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

გამგებლებისა და საკრებულოს დეპუტატების ინტერესი, გწპ-ის ტექნიკურმა დირექტორმა **ომარ გოცირიძემ** დააკმაყოფილა: **„იქ, სადაც ქსელია, ვალდებულება გვაქვს, 2015 წლამდე დავამთავროთ თბილისის 24-საათიანი წყალმომარაგება. ხოლო იქ, სადაც ქსელი არ არის, ვალდებულები არ ვართ, წყალი გავიყვანოთ. გამგეობა მოაწყობს ქსელებს თუ მოსახლეობა, ჩვენი საქმე არაა, ქსელის გაყვანის შემდეგ, აბონენტებს წყალს შევუყვანთ და გამრიცხველიანებას მოვახდენთ, რისთვისაც თითო ოჯახმა 500 ლარი უნდა გადაიხადოს. ასე დააწესა მარეგულირებელმა კომისიამ“.**

სხდომაზე დაისვა მტკვარში კანალიზაციის ჩადინებასთან დაკავშირებული საკითხიც. გწპ-ის ადმინისტრაციული დირექტორის, ნიკოლოზ ბახტაძის განმარტებით, წლის ბოლოსთვის, თბილისის კანალიზაცია მოცილდება სანიაღვრე არხს, მტკვარში აღარ ჩავა და პირდაპირ გარდაბანში გაედინება.

სამგორის გამგებელმა გიორგი ხახნელიძემ შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის დროს ჩინელების მიერ დაზიანებული მილების აღდგენის საკითხი დააყენა. მისი თქმით, მოსახლეობას წყალი და კანალიზაცია საძინებლებში შედის. გამგებელს ნიკოლოზ ბახტაძემ უპასუხა, რომ მათ ჩინელებმა არაერთი პრობლემა შეუქმნეს. რამდენიმე საქმე სასამართლოსაც გადაეცა. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევებს, თუ მოსახლეობა მათ შეატყობინებს, სად, რა მილი დაზიანდა, კომპანია საკითხს შეისწავლის და მილების რეაბილიტაციას მოახდენს.

ნინო ხარშილაძე

ლეიკემიით დაავადებული 12 წლის მირზა ცეცხლაძის საზღვარგარეთ მკურნალობას ჯანდაცვის სამინისტრო დააფინანსებს

25 ივნისს, პარლამენტის შენობის წინ, დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდის ორგანიზებით აქცია მოეწყო. ფონდის წევრები და ჟურნალისტები აქციაზე მთავრობას ლეიკემიით დაავადებული ბავშვების, კერძოდ კი, მირზა ცეცხლაძის დახმარებისა და გადარჩენისკენ მოუწოდებდნენ. მათ უზარმაზარი პლაკატი ჰქონდათ დამზადებული წარწერით — „შეასრულეთ მოვალეობა, გადაარჩინეთ ბავშვების სიცოცხლე“.

ლეიკემიით დაავადებული 12 წლის მირზა ცეცხლაძის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და მისი გადარჩენა მხოლოდ ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის შემთხვევაშია შესაძლებელი. ფონდის ცნობით, თუკი 10 დღის განმავლობაში ვერონას კლინიკაში ბავშვის გაგზავნა ვერ მოხერხდება, იგი დაიღუპება. ჟურნალისტების ინფორმაციით, კლინიკა მოწვევას მხოლოდ მაშინ გამოგზავნის, როცა სამკურნალოდ საჭირო თანხა კლინიკის ანგარიშზე ჩაირიცხება, თანხა კი 100 000 ევროს შეადგენს. ოჯახს თანხის ნახევარი უკვე აქვს.

მოულოდნელად, აქციის წევრებთან ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მივიდა. თავდაპირველად, მას ჟურნალისტები პრეტენზიებით დახვდნენ. **„ჯანდაცვის სამინისტრომ 10 000 ლარი გამოყო, მაგრამ ამ ბავშვს ასი ათასი სჭირდება. აქედან გამომდინარე, პასუხი, რომ კანონი არ გვაძლევს სრულად დაფინანსების საშუალებას, ჩემთვის მიუღებელია. მიმიფურთხებია ისეთი კანონისთვის, რომელიც საშუალებას იძლევა, რომელიღაც სამინისტრომ 100-ათასლარიანი ჯიპი იყიდოს და არ ტოვებს შესაძლებლობას, გადაარჩინოს ბავშვის სიცოცხლე. ამიტომ ერთადერთი გზა ვნახეთ — გამოგვეთქვა პროტესტი“,** — აღშფოთებას ვერ მალავდა ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი. „ჯერ მომისმინეთ და მერე გამოთქვით პრეტენზიები“, — უპასუხა მეტრეველს სერგეენკომ და აქციის მონაწილეებს აცნობა, რომ ბავშვთა ონკოჰემატოლოგიისთვის გამოყოფილი მილიონ სამასი ათასი ლარიდან მირზა ცეცხლაძეს თანხა უკვე გადაერიცხა. სამინისტრო, მოზარდის საზღვარგარეთ მკურნალობას სრულად დააფინანსებს. **„ჯანდაცვის სამინისტროს დიდი ხნის წინ აქვს დაწყებული მუშაობა სისტემასა და კონკრეტულ დარგზე, რასაც ბავშვთა ონკოჰემატოლოგია ჰქვია. პაციენტი მირზა ცეცხლაძე ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ პრობლემის მხოლოდ ნაწილია. ჩვენ მხოლოდ მირზასთვის კი არა, აღნიშნული პრობლემის გადაუდებელი მართვისთვის ვმუშაობთ. ერთობლივი სამედიცინო პროექტის განხორციელებაზე ჰარვარდის სამედიცინო სკოლასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და წლის განმავლობაში ამ შედეგებს ყველანი დავინახავთ. ვმუშაობთ ინოვაციური ფონდის შექმნაზეც, რასაც დრო სჭირდება“,** — განაცხადა სერგეენკომ და დასძინა, რომ ასევე მუშაობენ რათა, დაფინანსდეს კიდევ ერთი მოზარდის, გიორგი გაბედავას საზღვარგარეთ მკურნალობაც.

სამინისტროს გადაწყვეტილებამ აქციის მონაწილეებში საოცარი ემოციები აღძრა. ჟურნალისტები ცრემლებს ვერ მალავდნენ. მათი თქმით, ამ გადაწყვეტილების შესახებ რომ სცოდნოდათ, აქციას არ გამართავდნენ.

ანა ქევხიშვილი

მიდის თუ არა თეა წულუკიანი პოლიტიკიდან პრემიერთან ერთად?

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი პარლამენტში პრეზიდენტ სააკაშვილის იმპიჩმენტზე ალაპარაკდა. პარალელურად, პოლიტიკურ კულუარებში, მთავრობის პირველი პირის შემცვლელზეც დაიწყო საუბარი. ვინ სარგებლობს ივანიშვილის ნდობით, ვინ იქნება პრემიერი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და ვის უტოვებს ივანიშვილი ქვეყანას — პრემიერ-მინისტრის მიერ ესტონური გამოცემისთვის მიცემული ინტერვიუს შემდეგ, ეს თემები მთელი ქვეყნის განსჯის საგნად იქცა. გაირკვა, რომ ივანიშვილმა სავარაუდო შემცვლელის ვინაობა იცის, თუმცა ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არც მედიას აქვს, არც კოალიციას, ამიტომ ვერსიების კორიანტელში, პრემიერის პოსტზე რამდენიმე ლიდერი გამოიკვეთა. ექსპერტებისა და „ოცნების“ რიგი მხარდამჭერების აზრით, მათ შორის, ერთ-ერთი იუსტიციის ამჟამინდელი მინისტრი თეა წულუკიანია.

სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ, ასევე ძალიან აქტიურად და, ფაქტობრივად, უალტერნატივოდ, ივანიშვილის შემცვლელის რანგში წულუკიანის პარტიის ლიდერის, ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას კანდიდატურა განიხილებოდა. როგორც ჩანს, პრემიერის პრიორიტეტები შეიცვალა ისევე, როგორც ალასანიას მიმართ მისი დამოკიდებულება და ახლა ალასანია ერთ-ერთ სავარაუდო კანდიდატადაც აღარ მოიაზრება, წულუკიანისგან განსხვავებით. სამაგიეროდ, წულუკიანმა, როცა იგი ჯერ კიდევ მინისტრობის კანდიდატად განიხილებოდა, გამოაცხადა, ივანიშვილთან ერთად, მეც წავალ პოლიტიკიდან და სტრასბურგის სასამართლოშიც დავბრუნდებიო. სწორედ ეს კითხვა დაუსვა იუსტიციის მინისტრს „ვერსიამ“ სპეციალურ ბრიფინგზე, რომელიც დევნილებისთვის აიდიბარათების უფასოდ გადაცემას ეხებოდა. წულუკიანის სამომავლო გეგმების გარდა, იმითაც დავინტერესდით, რას ფიქრობს პროფესიით იურისტი მინისტრი გია ჟორჟოლიანის ინიციატივაზე, მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებამდე იმპიჩმენტის პროცედურით გადავაყენოთ:

— სააკაშვილის იმპიჩმენტის საკითხს პარლამენტში უმრავლესობის დეპუტატი გია ჟორჟოლიანი აყენებს — ამ ინიციატივაზე რას ფიქრობთ და ეს პროცედურა რამდენად ესწრება?

— შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ამ ინიციატივის შესახებ ჩემთვის ცნობილია, თუმცა ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

— სად ხედავთ თქვენს თავს ბიძინა ივანიშვილის პოსტიდან წასვლის შემდეგ — თქვენ აცხადებდით, რომ პოლიტიკიდან წახვალთ ივანიშვილის წასვლის შემდეგ და მეტიც, სტრასბურგში დაბრუნდებით. ახლაც ეს პოზიცია გაქვთ?

— სად დავბრუნდები, ეს ჩემი პირადი საქმეა! რაც შეეხება საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკურ თანამდებობებს, სად ვიქნები, ამას მე არ ვწყვეტ. ამას გადაწყვეტს საქართველოს ახლანდელი პრემიერ-მინისტრი, ხოლო შემდეგ — მომავალი პრემიერ-მინისტრი. ამ საკითხზე იმასაც გეტყვით, რომ მართლა მინდა, ივანიშვილმა პოლიტიკური სცენა მხოლოდ მაშინ დატოვოს, როცა, როგორც თავად იტყოდა, ქვეყანაში მდგომარეობა დალაგდება. საერთოდ, არ მგონია, რომ ქვეყანაში ვითარება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე დილასვე შეიცვლება. გარკვეული დრო დაგვჭირდება, რათა კოჰაბიტაციის მძიმე პერიოდიდან გამოვიდეთ და ისეთი სახელმწიფოებრივი სისტემა შევქნათ, სადაც აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება პრეზიდენტი, პრემიერი, იუსტიციის მინისტრი... ამ ეტაპამდე ცოტა გვაკლია. თუმცა ოქტომბრიდან, თუნდაც ამ სამინისტროში იმას ჩაეყარა მყარი საფუძველი, რომ მომავალში, მნიშვნელობა აღარ ექნება, ვინ გახდება იუსტიციის მინისტრი, ადეიშვილი, წულუკიანი თუ სხვა...

ფაქტია, წულუკიანი საკუთარ ნათქვამს არ უარყოფს, თუმცა არც გეგმებს აკონკრეტებს და არც იმას ამბობს, რომ მოქმედი პრემიერისგან სამომავლოდ პრემიერობის შეთავაზება მიიღო. სამაგიეროდ, ბრიფინგისა და დღის მთავარ თემად იუსტიციის სამინისტროსგან პროკურატურის გამოყოფა იქცა. ეს იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ, ფორმალურად, „ოცნების“ მთავრობის წინასაარჩევნო დაპირება შესრულდა. პროკურატურის უფლებამოსილებები იუსტიციის სამინისტროსგან გაიმიჯნა და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტის „საკანონმდებლო მაცნეში“ უკვე გამოქვეყნდა. ამ ცვლილებაში ყველაზე მთავარი ისაა, რომ ქვეყნის პირველი პროკურორი იქნება არა იუსტიციის მინისტრი, არამედ მთავარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილი. ამ თემაზე წულუკიანმა ვრცელი განმარტებაც გააკეთა: **„25 ივნისიდან იუსტიციის მინისტრი აღარ არის მთავარი პროკურორი. მთელი საპროკურორო უფლებამოსილებები, მთავარ პროკურორ კბილაშვილს გადაეცა და იგი სრულად აგებს პასუხს საკადრო პოლიტიკასა და დანიშვნებზე, რაც 15 დღის ვადაში უნდა დაასრულოს. მან უნდა დანიშნოს პირველი მოადგილე, მოადგილეები, ასევე რეგიონული თუ ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები. მთავარი პროკურორი უკვე სრულად აგებს პასუხს პროკურატურაში მიმდინარე სისხლის სამართლის ყველა საქმეზეც და იმ საქმეებზეც, რაც მომავალში აღიძვრება. ახალი კანონით, იუსტიციის მინისტრს ეკრძალება სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობაში ჩარევაც. ამავე კანონის საფუძველზე, კანონქვემდებარე აქტების მისაღებად ორთვიანი ვადა გვაქვს. ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი ცვლილება ისიც იქნება, რომ იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია ორად გაიყოფა — მთავარ პროკურატურაში შეიქმნება ახალი გენინსპექცია, რომელიც იუსტიციის სამინისტროსგან დამოუკიდებლად, პროკურორების საქმიანობის კონტროლსა და საჭიროების შემთხვევაში მათ დასჯაზეც აგებს პასუხს. იუსტიციის მინისტრის აქამდე არსებული უფლებამოსილება — დააკავოს საქართველოს პრეზიდენტი, ელჩი, პარლამენტის წევრი, შეიარაღებული ძალების მაღალჩინოსნები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ასევე სხვა მაღალჩინოსნები, სრულად გადავიდა მთავარი პროკურორის უფლებამოსილებაში. პროკურატურამ ავტონომიურობის ის მაღალი ხარისხი მიიღო, რაც ადეიშვილის პირობებში არ ჰქონდა! ეს მათ საშუალებას მისცემს, პოლიტიკისგან თავისუფალნი იყვნენ და საზოგადოებაში ნდობა მოიპოვონ“.**

ბრიფინგის აპოლიტიკურ თემას რაც შეეხება, გარდა იმისა, რომ იუსტიციის სამინისტრომ დევნილებს 33-ლარიანი აიდიპირადობის მოწმობები უფასოდ დაურიგა, როგორც გაირკვა, წულუკიანის სამომავლო მიზანს ამ ბარათების სოციალურად დაუცველთათვის უფასოდ დარიგება წარმოადგენს: **„5 შაბათ-კვირის განმავლობაში, იუსტიციის სახლმა და სერვისების განვითარების სამინისტრომ, მთელი საქართველოს მასშტაბით, 24-საათიან რეჟიმში იმუშავეს და ვფიქრობ, ძალიან წარმატებული აქცია ჩავატარეთ — 64 127-მა დევნილმა უფასოდ აიღო ახალი პირადობის მოწმობა. ახალი პირადობის მოწმობები კი იმის საშუალებას გვაძლევს, საშვილიშვილო საქმე, ამომრჩევლის ერთიანი სიების დაზუსტება, ბოლომდე მივიყვანოთ. ამგვარ აქციას მომავალშიც ვგეგმავთ და ამჟამად იმაზე მიდის მსჯელობა, შეგვიძლია თუ არა, ბარათები უფასოდ სოციალურად დაუცველ სხვა ფენებსაც გადავცეთ“.**

პრეზიდენტმა რამდენიმე კანონპროექტს ვეტო დაადო

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვეტო კიდევ რამდენიმე კანონპროექტს დაადო, — ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს. ქვეყნის პირველი პირის პრესსპიკერის, მანანა მანჯგალაძის თქმით: **„საქართველოს პრეზიდენტმა გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება და ვეტო დაადო პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს, რომლითაც ცვლილებები შედის „მაუწყებლის შესახებ“ კანონში, ასევე საკანონმდებლო ცვლილებებს „საარჩევნო კოდექსსა“ და „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში“.**

მანჯგალაძისვე განმარტებით, მოტივირებული შენიშვნები, რომლითაც ქვეყნის პირველმა პირმა უკან დაუბრუნა კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს, ითვალისწინებს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობის, მის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიების შენარჩუნებას და კიდევ უფრო განმტკიცებას: **„პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი არსებითად ამცირებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის მიმართ პარლამენტის მიერ უნდობლობის გამოცხადებისთვის საჭირო კვორუმს, რაც ცალსახად უქმნის საფრთხეს მეურვეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს. კანონპროექტის მიხედვით, შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ სამეურვეო საბჭოს ცალკეულ წევრთა, არამედ მთლიანად სამეურვეო საბჭოს მიმართ უნდობლობის გამოცხადება და უფლებამოსილების შეწყვეტა. მოქმედი კანონი ამგვარ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.**

კანონპროექტის აღნიშნული დებულებები არსებითად ამცირებს საზოგადოებრივი მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს, მის წევრთა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან დამოუკიდებლობას და ქმნის პოლიტიკური მოტივაციით საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლების საფრთხეს“.

„ინტერპრესნიუსი“

-5% სამომხმარებლო სესხებზე თიბისი ბანკში!

თიბისი ბანკი გთავაზობთ საუკეთესო პირობებს სამომხმარებლო სესხებზე!

მათ, ვისაც აქვს სამომხმარებლო სესხი, განვადება, საკრედიტო ბარათი ან ოვერდრაფტი სხვა ბანკებში, ეძლევა შანსი, გააერთიანოს ყველა ეს სესხი და მიიღოს 5%-ით ნაკლები თიბისი ბანკში.

ეს არის უპრეცედენტო შესაძლებლობა, რომელიც დაზოგავს თქვენს დროს - გექნებათ მხოლოდ ერთი სესხი, გადახდის ერთი დღე და, რაც მთავარია, არსებულ სესხზე 5%-ით ნაკლები საპროცენტო განაკვეთი.

გაითვალისწინეთ, თუ თქვენ თიბისი ბანკში გააერთიანებთ სესხებს, თქვენი ახალი სესხის საპროცენტო განაკვეთი იქნება 5%-ით ნაკლები, ვიდრე ახლაა!

თუ თქვენ გაქვთ რამოდენიმე სესხი, 5% დააკლდება ყველაზე დიდი მოცულობის სესხის საპროცენტო განაკვეთს. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13%-ს.



ქართველმა სამხედროებმა ავღანეთში ოპერაცია „ჩრდილოეთის ლომი“ წარმატებით ჩაატარეს

ქართველმა სამხედროებმა ავღანეთში ოპერაცია „ჩრდილოეთის ლომი“ წარმატებით ჩაატარეს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამხედრო ოპერაცია ჰელმანდის პროვინციაში, ტაქტიკური დაჯგუფება „ბელავუდის“ დაქვემდებარებაში მყოფმა 33-ე ბატალიონმა, თავის სამოქმედო არეალში ჩაატარა, კოდური სახელით „ჩრდილოეთის ლომი“ — ოპერაციის მთავარი მიზანი, ბაზა „ლეზერნიკის“ უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. ქართველი ჯარისკაცები უშუალოდ ახორციელებდნენ სამხედრო ოპერაციას, გარეუსაფრთხოებას კი ამერიკელი საზღვაო ქვეითები იცავდნენ.

ქართული დანაყოფების ჰელმანდის პროვინციაში ყოფნის განმავლობაში, მნიშვნელოვანი ოპერაციების დროს, ქართველ სამხედროებს ძირითადად გარეუსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებოდათ. ბაზა „ლეზერნიკის“ დაცვის მიზნით წარმოებული ოპერაციის დროს, ქართველი სამხედროების მთავარი ამოცანა ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის მოპოვება, ამბოხებულების აღმოჩენა და ზონაში არსებული სოფლების აღწერა იყო. ოპერაცია 15 საათის განმავლობაში გრძელდებოდა და წარმატებით ჩაიარა. „ჩრდილოეთის ლომი“ კომბინირებული ოპერაცია იყო და მასში 87 ქართველ სამხედროსთან ერთად ამერიკელი საზღვაო ქვეითები, აშშ-ის არმიის გამნაღმველთა ჯგუფი და საბრძოლო ვერტმფრენთა დანაყოფი მონაწილეობდა.

„ინტერპრესნიუსი“

კობა დავითაშვილი სერიალების შეზღუდვას ითხოვს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კობა დავითაშვილი ინიციატივით გამოდის, რომ სერიოზულად შეიზღუდოს ისეთი ტიპის პროდუქციის დემონსტრირება, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობას, ჰომოსექსუალურ, ბისექსუალურ და პოლიგამიურ კავშირებს. დავითაშვილის თქმით, შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა მას უკვე მომზადებული აქვს. მსგავსი ტიპის პროდუქციის ერთ-ერთი წარმოჩინების გზა კი, სატელევიზიო სერიალებია: **„საქართველოში არსებობს მოზარდთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ კანონი, რომელიც ფორმალურად არსებობდა წლების განმავლობაში. აუცილებელია ამ კანონის ამოქმედება. მოვამზადე ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების დაცვას მავნე ზეგავლენისგან. ეს ეხება სერიოზულ შეზღუდვებს იმ ტიპის პროდუქციის დემონსტრირებაზე, რომლებიც ახდენენ ძალადობის, ჰომოსექსუალური, ბისექსუალური და პოლიგამიური კავშირების წახალისება-პროპაგანდას. გარკვეულწილად, ავიღე ლიტვის კანონმდებლობა, რომელიც ლიდერია ამ სფეროში“.**

დავითაშვილისვე თქმით, სატელევიზო სერიალებში ოჯახის წევრებს შორის ყველაფერი „მოსულა“, ბავშვები ამას „ისრუტავენ“, რაც მიუღებელია: **„მიმაჩნია, რომ იმ უწყინარ სერიალებში, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის ძირითადი სულიერი საზრდოა, ჩვეულებრივად მიდის წარმოჩენა იმისა, რომ ოჯახის წევრებს შორის ყველაფერი „მოსულა“, ყველაფერი დაშვებული და ნებადართულია. ბავშვები ამ ყველაფერს ისრუტავენ, ეს არ არის სასაცილო თემა, ეს არ არის საქილიკო თემა. არ მინდა, საქართველო იყოს ბრაზილია, იმ ქვეყანას თავისი კულტურა აქვს, საქართველოს კი — თავისი“.**

„ინტერპრესნიუსი“

„ასეთი სხვა სამალავების არსებობაზე მთელი რიგი ოპერატიული ინფორმაცია გვაქვს“

რატომ ამბობს უარს უკანონო ჩანაწერების ნახვაზე და რაში ადანაშაულებს მიხეილ სააკაშვილს **ირაკლი სესიაშვილი**

ნინო კომახიძე
599-95-33-16

შინაგან საქმეთა სამინისტროს იარაღის ახალი სამალავების შესახებ ახალი ინფორმაცია აქვს! როგორც „ვერსიას“ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი უამბობს, შესაბამისი უწყებები არაფორმალური სამალავების აღმოჩენა-განადგურებაზე მუშაობენ. უკვე ნაპოვნი სამალავების გამო კი, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილისა და გიგა ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. ამასთან, სესიაშვილი პარლამენტში უკანონო ფირების ჩატანას ემიჯნება და ღიად აცხადებს, რომ მათ ჩვენებას არ დაესწრება. „ვერსია“ „ოცნების“ წევრ ირაკლი სესიაშვილთან საინტერესო ინტერვიუს გთავაზობთ.

— დღეს ევროპელი დეპუტატებიდან ზოგს რცხვენია, ღიად თქვას, რომ წლების განმავლობაში მხარს ხალხის მწამებლებს უჭერდა, ამიტომ ცდილობენ, ახლაც ძველი ინერციით იარონ. ამან განაპირობა საქართველოში ვითარების გაუარესების თემის დებატებზე გამოტანა. ნუ გგონიათ, რაკი ევროსაბჭო ევროსაბჭოა, ის აბსოლუტურად დემოკრატიულია.

— გამუდმებით თვალებს ხომ არ ვიბრმავებთ, როცა ვამბობთ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ევროსაბჭო მოისყიდა?

— მას მერე, რაც ხელისუფლებაში მოვედით, ლობისტურ კომპანიებში, წინა მთავრობასთან შედარებით, კაპიკებს ვხარჯავთ. საქართველოს სახელი და იმიჯი ადგილზე ხომ ელჩებმა უნდა მიიტანონ — მიშა ამ პროცესსაც ხელს უშლის და ეს ობიექტური მიზეზია. თუ ვინმეს ჰგონია, ამ ყველაფრის ფონზე, ევროსაბჭო საქართველოში მიმდინარე პროცესებს უარყოფითად შეაფასებს, ძალიან ცდება — ამ დებატებში ჩვენ გაცილებით ძლიერები ვართ, მეტი არგუმენტი გვაქვს და ვიმედოვნებ, დებატების შემდეგ პოლიტიკური დევნის თემა მათი დღის წესრიგიდან გაქრება!

— ერთ-ერთი არგუმენტი წამებისა და გაუპატიურების კადრები იყო, რომელთა ჩვენებას, ევროსაბჭოს გარდა, პარლამენტისთვის, საკრებულოს წევრებისთვის აპირებთ — მათი ასე წინ და უკან ტარება ნორმალურია?

— თუ ვინმეს ჯერ კიდევ მიაჩნია, რომ ეს სისტემური დანაშაული არაა, მისი დამკვეთები, სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და სხვები დამნაშავენი არ არიან და 13 000 ჩანაწერს შემსრულებლები მხოლოდ საკუთარი „კაიფისთვის“ აკეთებდნენ, ცდება! თუ ევროპარლამენტში ჯერ კიდევ ვინმეს ჰგონია, რომ მერაბიშვილი მხოლოდ პოლიტიკური დევნის მსხვერპლია, მაშინ ეს კადრები დიახაც, საკუთარი თვალით უნდა ნახოს! ამის მერე გამოვიდნენ და თქვან, ჩვენ ხალხის მწამებლებს ვიცავთო. თუ ასეთ დემოკრატიას გვთხოვს ევროსაბჭო, ამ დემოკრატიის წინააღმდეგი ვარ! რაც შეეხება ფირების პარლამენტში მოტანას, კანონით, დეპუტატებს საიდუმლო ინფორმაციასთან წვდომა აქვთ. თუ ისინი ამ კადრების ნახვას მოითხოვენ, ამის საშუალება მიეცემათ. მე, პირადად, უარი განვაცხადე, რადგან, ზოგადი ინფორმაციით, ვიცი, რა ტიპის დანაშაულთან გვქონდა საქმე. ასე რომ, არაა აუცილებელი, კიდევ ერთხელ, საკუთარი თვალით ვიხილო! პარლამენტში არიან ადამიანები, ვისაც ამის ნახვა სურს, მე კი ვიცი, ჩვენი ნახვა-არნახვით არაფერი შეიცვლება. ასე რომ, არ მინდა, ღამით არ მეძინოს!

— კადრებს რატომ არ ანადგურებთ და შეიძლება თუ არა, ისინი მტკიცებულებად გამოიყენონ?

— ჯერ ერთი, ახლა კონკრეტული შემსრულებლები დააპატიმრეს და მათგან დამკვეთებამდე უნდა გავიდეთ. გარდა ამისა, შს სამინისტრომ ამაზე იმუშავა, კადრები გადაანახარისხა და ნაწილი, რომელსაც მტკიცებულების ღირებულება აქვს, შეინახება, დანარჩენი კი განადგურდება. საერთოდ, ჩემი აზრით, სანამ ამ უკანონო მოსმენების ყველა დამკვეთი არ დადგინდება, თუნდაც არაფრისმთქმელი და არაფრისმომცემი კადრები მაინც მტკიცებულებაა. ისინი შენახული და დაცული უნდა იყოს და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.

— მე ვხედავ — ახალი ხვედელიძეებისგან თქვენ დაგვიცავთ?

— ასეთი რისკი ნებისმიერ სახელმწიფოში არსებობს — აშშ-ში ერთმა უმცროსმა ოფიცერმა „ვიკილიქსს“ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია გადასცა. ასე რომ, ნუ გგონიათ, ეს მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემაა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, ჩვენ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვიღებთ საკუთარ თავზე!

— ამ კადრებმა იარაღის თემაც გადაფარა, ამ დროს ყოფილი შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ამბობს, რომ აქვს ინფორმაცია, მტირალას მთაზე არსებულ იარაღის სამალავებზეც. ასეთები კიდევ ბევრია ქვეყანაში?

— ყველგან და, განსაკუთრებით, გარკვეული სამხედრო საფრთხეების მქონე ქვეყანაში, არსებობს იარაღის სარეზერვო სამალავები, ისინი დაცულია, იქმნება კანონმდებლობის მიხედვით და მიდის მათი აღრიცხვა-რეგისტრაცია, თუმცა ჩვენს ქვეყანაში არის აღურიცხავი და უკანონო ანუ არაფორმალური საცავები — რაც ვიპოვეთ, სწორედ ასეთია. ეს არაფორმალური სამალავები, რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ადამიანებმა, ვინც იქ იარაღი დაასაწყობა, იციან სამალავების მდებარეობის შესახებ და ვინ, სად, როგორ გამოიყენებს, ძნელი სათქმელია! ასეთი სამალავები კიდევ არის და იქნება, იმასაც გეტყვით, რომ ამაზე ვმუშაობთ და მთელი რიგი ოპერატიული ინფორმაცია გვაქვს სხვადასხვა სამალავებთან დაკავშირებით.

— რა ტიპის სამალავებია აღმოჩენილი და სად?

— კონკრეტიკისგან, რა თქმა უნდა, თავს შევიკავებ, თუმცა შს სამინისტრო უწყვეტ რეჟიმში მუშაობს!

— ამ დროს სააკაშვილმა თქვა, რომ სამალავების შექმნის ბრძანება პირადად გასცა — დადგება თუ არა, თუნდაც ამ აღიარების გამო, მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

— ის ტყუილების პოლიტიკას აგრძელებს! როცა ამბობს, სამალავები ჩემი ბრძანებით გაკეთდაო — ტყუილია. მან არ იცის, სად ვიპოვეთ იარაღი, ამიტომ დამნაშავეებს მფარველობს. მაშინ დააკონკრეტოს სააკაშვილმა, როდის და რომელი ბრძანების შედეგად, ან სად გაკეთდა აღურიცხავი იარაღის არაფორმალური სამალავი. 7 თვეა ხელისუფლებაში ვართ და ჩვენგან სწრაფ მოქმედებას მოითხოვენ, მაგრამ ახლა მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ კადრების საქმეში ვანო მერაბიშვილის ხელი ურევია! დღეს რომ ხელისუფლების წარმომადგენელი არ ვიყო და ისევ ექსპერტის რანგში გესაუბრებოდეთ, ორი აზრი არ მექნებოდა, რომ ამ სისტემური დანაშაულის სათავეში ერთ-ერთი ვანო მერაბიშვილია!

— სამალავების შექმნის თემა, თუ ასეთი ბრძანება მართლა სააკაშვილმა გასცა, გავიდოდა თუ არა უშიშროების საბჭოს სხდომაზე და ამის გამო, დადგება თუ არა გიგა ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხიც?

— თუ გიგა ბოკერიამ იცოდა ამ დანაშაულის შესახებ და დაფარა, ცხადია, მასაც დაეკისრება პასუხისმგებლობა! ჰქონდა თუ არა ინფორმაცია ბოკერიას, ამას გამოძიება დაადგენს. რაკი საქმე უკანონო საცავებთან გვაქვს, კანონიერ გზას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაივლიდა.

— დაბოლოს, „ოცნება“ პრემიერის მიერ ბოლო ინტერვიუში ნათქვამი ფრაზის გამო, საპრეზიდენტო არჩევნების მერე პოსტიდან მივდივარო, ისტერიკაში ყოფილა — მთავარი კითხვა დღეს ისაა, ვის უტოვებს ივანიშვილი ქვეყანას?

— არ მესმის, რატომაა ეს ისტერიკა. დროა, მანკიერი ტრადიციიდან, რომ ქვეყანას აუცილებლად ერთი ბელადი უნდა მართავდეს, გამოვიდეთ. დღეს სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბებისკენ უნდა წავიდეთ და არა ერთიდან მეორე ბელადის ძიებისკენ!

— რომელ ჩამოყალიბებულ სისტემაზეა საუბარი, თუ პრეზიდენტიც, პრემიერიც, პარლამენტიც, მთავრობაცა და თვითმმართველობაც „ოცნების“ იქნება?

— ესაა დემოკრატია! ჰკითხეთ ნაციონალებს, პარლამენტში როგორი პირდაღებულები გვიყურებენ, როცა კოალიციის შიგნით ვდებატობთ. აბა, დემოკრატია ისაა, ბაქრაძე ბიუროს სხდომას 10 წუთში რომ ატარებდა-ხოლმე?!

— მიპასუხეთ როგორც ექსპერტმა და არა „ოცნების“ წევრმა — საფრთხე, რომ ივანიშვილი არაფორმალური მმართველი გახდეს, არ არის?

— ქვეყანას მართავს ის, ვისაც ხალხი აირჩევს. ხალხი თუ სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების პირობებში „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს მისცემს ხმას, ხალხის არჩევანი იქნება. გინდათ თქვათ, თუ ხალხი მხარს ისევ „ოცნებას“ დაუჭერს, ე.ი. ყველაფერი მორჩა და ქვეყანაში დემოკრატია აღარ გვაქვს?! არ მოვდივარ ფიქრით, რომ აქ 8 წელი უნდა ჩავჯდე. პირიქით, თუ კარგად არ ვიმუშავებ, რამდენიმე წელინადში გადამირჩევენ! რაც შეეხება ივანიშვილის არაფორმალურ მმართველობას: მას პირადად ვიცნობ და მისი ხასიათიდან გამომდინარე, გეტყვით — როცა ქვეყნისთვის საჭირო შედეგებს მიაღწევს და გადაწყვეტს პოლიტიკიდან წავიდეს, ამით, პირველ რიგში, საზოგადოება და სამოქალაქო სექტორი დარჩება მოგებული!

გია ჟორჟოლიანი პარლამენტში ნინო ბურჯანაძის ინტერესებს ახმოვანებს?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16



რატომ ითხოვს უმრავლესობის წევრი სააკაშვილის იმპიჩმენტს ივანიშვილის კოალიციასთან შეუთანხმებლად

სოციალ-დემოკრატმა გია ჟორჟოლიანმა პარლამენტს პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნით მიმართა. ეს რომ მხოლოდ განცხადებაა განცხადებისთვის და არანაირი იმპიჩმენტი არ იქნება, ფაქტია! ჯერ ერთი, ჟორჟოლიანის იდეას მხარს „ოცნების“ ლიდერშიფი არ უჭერს, მეორე და მთავარი — პროცედურა კონსტიტუციურ ვადებში არ ჯდება და მესამე — ორგანულ კანონში იმპიჩმენტის საკითხის აღძვრა-განხილვისთვის საჭირო იმდენ საკანონმდებლო ნაბიჯზეა საუბარი, მარტო „ოცნებამ“ კი არა, სააკაშვილის გადადგომას მთელმა „ნაცმოძრაობამაც“ რომ აუწიოს ხელი, ოქტომბრის არჩევნებამდე, მაინც არაფერი მოესწრება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 2013 წლის 5 იანვარს არასაპარლამენტო ოპოზიციამ ეს თემა უკვე წამოწია და სასამართლოსაც მიმართა. კანონში კი პირდაპირ წერია, რომ პროცედურის ჩავარდნიდან 1 წლის მანძილზე ახალი პროცედურის აღძვრა არ ხდება!

მოკლედ, შეუძლებელია, დეპუტატ ჟორჟოლიანს კონტრარგუმენტების მთელი ამ კორიანტელიდან ერთის შესახებ მაინც არ სცოდნოდა. შესაბამისად, უფრო საინტერესოა, რა რეალური მოტივი ჰქონდა, როცა ეს განცხადება გააკეთა. ჩვენც სწორედ ამის გარკვევას შევეცადეთ და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, გია ჟორჟოლიანს ვესაუბრეთ.

— ამ თემაზე მსჯელობა, „ოცნების“ შიგნითაცაა და, ზოგადადაც, მაგრამ დადგა დრო, ყველამ, მათ შორის, ნაციონალებმაც, თავიანთი დამოკიდებულება გამოხატონ დანაშაულებრივი რეჟიმის მიმართ. ამ რეჟიმის მთავარი არქიტექტორი კი სწორედ სააკაშვილი იყო!

— ამისთვის პარლამენტის სრული უმრავლესობის 1/3-ის მხარდაჭერა გჭირდებათ და ეს ხმები გექნებათ?

— ამაზე ზრუნვას დავიწყებ, მაგრამ თუ ხმათა საკმარისი რაოდენობა არ მოგროვდება, „ოცნების“ წინააღმდეგ არ წავალ. თუ საწინააღმდეგო არგუმენტები იქნება, გავიზიარებ. ამაზე საუბარს კოლეგებთან ამ დღეებში დავიწყებ, რა გვეჩქარება?!

— დროში იზღუდებით: პროცედურა დარჩენილ 4 თვეში არ ესწრება, თან, სააკაშვილი ოქტომბერში ისედაც მიდის. კანონით, 30-30-დღიანი ვადა პარლამენტსა და სასამართლოსაც აქვთ. იმედი გაქვთ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი იმპიჩმენტს ხელს მოაწერს?

— არ შემიძლია, ვინმეს იმედი მქონდეს ან არ მქონდეს. ყველამ შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. აბა, მე როგორ გითხრათ, რას იზამს პაპუაშვილი. მარჩიელი კი არ ვარ. მაქვს პოზიცია და ვფიქრობ, ჩამოთვლილთაგან ყველა, ვინც ჩემს წინადადებას მიიღებს, საზოგადოებაში უფრო ლეგიტიმურ ადგილს დაიკავებს!

— თუ იცით, რომ პროცედურას რეალური სახე ვერ ექნება, მხოლოდ პოლიტიკური განცხადების დონეზე რატომ აჟღერებთ ინიციატივას?

— მე მაქვს ასეთი პოზიცია! ვნახოთ, ვინ რას მოიმოქმედებს. ისე, თუ არ ვცდები, ჩეხეთის პრეზიდენტი ვადის ამოწურვამდე 3 დღით ადრე გაუშვეს იმპიჩმენტით. ჩემთვის არგუმენტი არაა, რომ სააკაშვილს ვადა ოქტომბერში ეწურება! არსებითია, რა იქნება პროცედურის შედეგი, თორემ ოქტომბერში პრეზიდენტად „ოცნების“ კანდიდატს აირჩევენ! სააკაშვილს შეფასება ხალხმა უნდა მისცეს. ეს უბრალო რამ არაა, გესმით?!

— არ მესმის, როცა სააკაშვილის იმპიჩმენტის საკითხს ბევრი ინიციატორი პარტია ჰყავდა, მაშინ სად იყავით?!

— გამოაქვეყნეთ, რასაც გეტყვით: 2004 წლის 5 იანვრის მერე სააკაშვილის იმპიჩმენტი მინდა! სხვებისგან განსხვავებით, ჩემი პოზიცია თავიდანვე ასეთი იყო. კარგია, თუ სხვებიც ასე ფიქრობდნენ, მაგრამ ეს არ მიკრძალავს, დღეს იგივე საკითხი დავაყენო! წავიდე და ამაზე ყველას დაველაპარაკო?! გამოვედი, ღიად ვამბობ და ყველას მივესალმები, ვინც ამას გაიზიარებს. კინკლაობის კი არა, ნაციონალების მითების მსხვრევის დროა და თქვენც მოგვეხმარეთ, ჟურნალისტები!

— გუნდში ერთიანობა რომ არ იქნება, არც ეს გეწყინებათ?

— ამაზე კომენტარები სხვამ გააკეთოს. უნდა მეწყინოს, ვიტირო თუ რა?! ეს სერიოზული სახელმწიფოებრივი საქმეა და არა პიროვნებების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი!

საქართველოს ორგანულ კანონში იმპიჩმენტის შესახებ წერია: იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს;

საკითხი აღძრულად ჩაითვლება, თუ პარლამენტის თავმჯდომარეს წარედგინება წერილობითი მოთხოვნა, რომელსაც ხელს აწერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი. მოთხოვნაში უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული ბრალდების სახე, შინაარსი, შესაბამისი არგუმენტები, არსებული მასალები; მოთხოვნის წარდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს იმ დღიდან, როცა ხელმოწერების შეგროვება დასრულდა; თავმჯდომარე ვალდებულია, საკითხი დასკვნისთვის გადასცეს შესაბამის სასამართლოს პარლამენტში აღძვრიდან 3 დღეში; საკონსტიტუციო ან უზენაესი სასამართლო პარლამენტს დასკვნას წარუდგენს 30 დღის ვადაში; იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი კენჭისყრაზე დაისმება, თუ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ“.

„ოცნებას“ პარლამენტის მთელი შემადგენლობის უმრავლესობა არ ჰყავს და ამას საპარლამენტო არჩევნების შედეგებიც მოწმობს. გია ჟორჟოლიანს კი მხარს „ოცნების“ ნახევარიც რომ არ დაუჭერს, ვიცე-სპიკერ **მანანა კობახიძის** განცხადებიდანაც ჩანს: **„როცა საპრეზიდენტო არჩევნებამდე 6 თვეზე ნაკლებია დარჩენილი, კონსტიტუცია იმპიჩმენტის პროცედურას ზღუდავს. ამ ინიციატივის თაობაზე არაფერი ვიცი“.** ინიციატივას ეხმაურება პრეზიდენტობის კანდიდატი **გიორგი მარგველაშვილიც**: **„გაუმართლებლად მიმაჩნია იმპიჩმენტის დაწყება. საქართველოში ხელისუფლების ცვლა დემოკრატიულ საზღვრებში უნდა მოხდეს. არ უნდა დარჩეს კითხვის ნიშნები სააკაშვილის პერიოდთან დაკავშირებით და არ უნდა გამოებას კუდი. უნდა მოვითმინოთ ოქტომბრამდე!“** დიდი ხანია, იგივეს ამბობენ დავით უსუფაშვილი და ირაკლი ალასანია. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტერვიუებში პრემიერ ივანიშვილსაც არაერთხელ უთქვამს, რომ სააკაშვილის იმპიჩმენტი არ იქნება! ასე რომ, „ოცნებას“ სააკაშვილის პოსტიდან გადაყენების პოლიტიკური ნება არც არასდროს ჰქონია. ამის დასადასტურებლად მოკლე პრეისტორიაც გავიხსენოთ: კოალიცია „ერთსულოვნება“, სადაც თემურ შაშიაშვილი, კახა კუკავა, პატრიოტთა ალიანსი და ლამის მთელი არასაპარლამენტო ოპოზიცია იყო გაწევრიანებული, 5 იანვრის მერე მასობრივი აქციებით ითხოვდნენ სააკაშვილის იმპიჩმენტის დაწყებას. 2013 წლის თებერვალში **თემურ შაშიაშვილი** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებდა: **„პრეზიდენტთან საქმე აღარ გვაქვს! ახლა საქმე გვაქვს პარლამენტთან, სადაც დავით უსუფაშვილის სახელზე გადაწყვეტილების პროექტია გაგზავნილი. მას ერთი ხელმოწერა სჭირდება, თუმცა პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეს! უნდა ვაიძულოთ პარლამენტი, სწორი გადაწყვეტილება მიიღოს!“** ფაქტია, ოპოზიციამ პარლამენტი ვერ აიძულა, მაგრამ ვერც საკონსტიტუციო სასამართლო აიძულეს, იმპიჩმენტზე ხელი მოეწერა. „ვერსიასთან“ ინტერვიუში სარჩელის ავტორი **სოსო მანჯავიძე** წინასწარმეტყველებდა: **„ოცნების“ მხრიდან იმის თქმა, თითქოს დასავლეთს სააკაშვილის გაშვებას ვერ ავუხსნით, სრული აბსურდია! ქვეყანაში გამეფებული ამ უკანონობის აღმოფხვრით, ხელისუფლებაც უნდა იყოს დაინტერესებული, ამიტომ პარლამენტში მყოფ თანამებრძოლებს ვეკითხები: რა დაგემართათ, ხალხმა მიშასთვის ხელისუფლების გასახანგრძლივებლად აგირჩიათ?! პასუხი მარტივია — არ იქნება იმპიჩმენტი, არ შევა ცვლილება კანონში და სააკაშვილი მივა ოქტომბრამდე!“**

მანამდე, კვირაში ერთხელ, იმპიჩმენტის ინიციატივით, ბრიფინგებს „ლეიბორისტები“ გვიტარებდნენ. პარლამენტში წერილობითი მიმართვა მათაც შეიტანეს. არც ერთი ასეთი მოთხოვნის დროს, მას მერე, რაც ხელისუფლებაში „ოცნება“ მოვიდა, ამ ძალას სააკაშვილის გადაყენების პოლიტიკური ნება არ გამოუჩენია. რატომ იფიქრა ჟორჟოლიანმა, რომ სწორედ ახლა, როცა ამაზე საუბარიც კი დაგვიანებულია, გუნდს სხვა პოზიცია შეიძლება ჰქონდეს?! რჩება ერთადერთი ვარიანტი — შეთანხმებული მოქმედება პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებულ **ნინო ბურჯანაძესთან**, რომელიც ამ თემაზე საუბრობს და მსგავსი ინიციატივით გამოდის: **„პრეზიდენტის იმპიჩმენტით მოგვარდებოდა პრობლემა, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებით მოგვარდა... დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ დააყენა იმპიჩმენტის საკითხი, ვერ უზრუნველყო იმ პრეტენზიების წაყენება... ნაცმოძრაობა დანაშაულებრივი ორგანიზაციაა და ის უნდა აიკრძალოს! უნდა დადგეს მისი პოლიტიკური და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და აკრძალვის საკითხი!“**

ბურჯანაძე-ჟორჟოლიანის კავშირის დასტურად, შეგახსენებთ, რომ 2012 წელს, გია ჟორჟოლიანი სახალხო კრების სათათბირო დარბაზის სხდომებზე ჩნდებოდა და წინასაარჩევნოდ, მთელი ოპოზიციის, განსაკუთრებით კი სახალხო კრების კონსოლიდირებას ცდილობდა. არჩევნებამდე მთავარ მოკავშირე ძალად მან არაერთხელ მოიხსენია ნინო ბურჯანაძე და ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა კიდეც: **„ჩვენ ჩვენი დევიზით მივალთ ყველა პარტიასთან — ნინო ბურჯანაძესთანაც და ბიძინა ივანიშვილთანაც“!** ჟორჟოლიანი ივანიშვილთან მართლაც მივიდა, ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო პროგრამის მსგავსი პოლიტიკური სულისკვეთებით და რა გამოდის — პარლამენტსგარეთ მყოფ ბურჯანაძეს პარლამენტში გია ჟორჟოლიანი ახმოვანებს, ან უფრო მეტი, მხარს მის საპრეზიდენტო კანდიდატურას უჭერს?!

პოზიცია

„ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, ივანიშვილი გამოუვალ მდგომარეობაშია!“

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა **ზოთა მალაშხიამ** ქვეყანაში არსებულ კრიზისზე ისაუბრა: **„პოლიტიკური კრიზისი უკვე სახეზეა. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დღევანდელი ხელისუფლება, პრაქტიკულად, სრულ იზოლაციაშია. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, კრახი სახეზეა. ისეთმა კაპიტულანტურმა მიდგომებმა, როგორიცაა მაგალითად, ოკუპაციის კანონის მიღება, რკინიგზის გახსნა, 2008 წლის ომის საკითხის საქართველოს ხელისუფლებისთვის გადაბრალება... დადებითი შედეგი კი არ მოიტანა, პირიქით, რუსეთის პოლიტიკა უფრო აგრესიული გახადა — რუსეთმა გააძლიერა სასაზღვრო ზოლი, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ესაუბრება საკმაოდ დაბალ, ონიშჩენკოსა და კარასინის დონეზე“.**

მალაშხია შსს-ს მიერ აღმოჩენილი სამალავების თემასაც შეეხო. მისი თქმით, რადგან ამ საქმეში ბევრი კითხვის ნიშანია, ეჭვების გასაფანტად, საჭიროა, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა: **„ამ საკითხთან დაკავშირებით, უამრავი კითხვაა პასუხგასაცემი. მაგალითად, 8 თვე, „სუბუტექსი“ ისეთ მდგომარეობაში ინახებოდეს, როგორც აღმოაჩინეს, წარმოუდგენელია. შსს აცხადებს, რომ ეს საცავი გამიზნული იყო ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებებისთვის. თუ ასეა, რა საჭირო იყო იქ „ჰეროინის“, „სუბუტექსისა“ და დღიურების შენახვა?! ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად ვითხოვთ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას“.**

მალაშხიამ იმ გამოუძიებელ საქმეებზეც ისაუბრა, რომლებიც მრავლად დაუგროვდა ახალ ხელისუფლებას. მისი თქმით, გაურკვეველია, რატომ აჭიანურებს ხელისუფლება რაფალიანცის, თენგიზ გუნავას, მოსამართლე ბარამიძის საქმეების, ვითომ თალიბების მიერ გადაღებული კლიპის გამოძიებას... მალაშხია ეჭვობს, რომ ამ საქმეების გამოუძიებლობა ხელისუფლებას აწყობს.

ნაციონალი, სააკაშვილის იმპიჩმენტთან დაკავშირებით, გია ჟორჟოლიანის ინიციატივასაც გამოეხმაურა: **„ჟორჟოლიანი ვერ ერკვევა კონსტიტუციაში — ეს პროცედურულადაც კი წარმოუდგენელია, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვე დარჩა. პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა გაცილებით მეტხანს გრძელდება, ვიდრე საპრეზიდენტო ვადა. უკეთესი იქნება, თუ უმრავლესობა დაკავდება ქვეყანაში არსებული უფრო მნიშვნელოვანი მოვლენებით, ვიდრე ეს ვიდეოკასეტებისა და ფარული ჩანაწერების ამსახველი მასალის გამოქვეყნებაა. ადეკვატური მოქმედებებია საჭირო და არა ბედუკაძისნაირი ადამიანების გმირებად გამოცხადება. ასეთი ჯაშუშები კანონის სრული სიმკაცრით უნდა ისჯებოდნენ“.**

მალაშხიამ ისიც განაცხადა, რომ პრემიერი ივანიშვილი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, არსებული კრიზისის ფონზე, იგრძნო მოახლოებული სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე და პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება ამიტომ მიიღო: **„არსებობს კრიზისი, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. ამას ერთვის აშშ-ს კონგრესის რეზოლუცია, რომლის მსგავსიც, ამერიკას არც ერთი ქვეყნის მიმართ არ მიუღია... აი, რატომაა აქტუალური ძველ ხელისუფლებაში დამნაშავის ძებნა. ცდილობენ, როგორმე გადაფარონ ვითომდა თალიბების მიერ გავრცელებული ვიდეოკასეტები, რაფალიანცის საქმე, გუნავას საკითხი... ამ ფონზე გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლის განცხადება. ვითარება იმდენად იძაბება, ურჩევნია, დროზე გაეცალოს ამ ყველაფერს, რათა ოჯახი და კაპიტალი გადაარჩინოს“.**

ნათია ვასაძე

Wall Street Journal — საქართველომ ირანელების საბანკო ანგარიშები გაყინა

საქართველოს ხელისუფლებამ ირანელი ფიზიკური და იურიდიული პირების, დაახლოებით, 150 საბანკო ანგარიში გაყინა, რათა დაიცვას თეირანის ბირთვული პროგრამისკენ მიმართული გაერო-ს სანქციები. ამის შესახებ ამერიკული გამოცემა Wall Street Journal იუწყება.

როგორც ჯეი სოლომონისა და ბენუა ფუკონის სტატიაშია აღნიშნული, ირანელთა საბანკო ანგარიშების გაყინვის შესახებ განცხადება საქართველოს იუსტიციის მინისტრმა 20 ივნისს, Wall Street Journal-ში გამოქვეყნებული სტატიის საპასუხოდ გააკეთა.

„ქალბატონმა წულუკიანმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა იკვლევს იმ სამხილებს, რომელიც ამერიკული გამოცემის სტატიაში გამოქვეყნდა და აღნიშნა, რომ თბილისი მჭიდროდ თანამშრომლობს გაერო-სა და აშშ-სთან ირანისთვის დაწესებული სანქციების შესრულების კუთხით“, — ციტირებს გამოცემა საქართველოს იუსტიციის მინისტრის სიტყვებს.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, 2011 წლიდან მოყოლებული, საქართველომ ირანის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა, რამაც ქვეყანაში შემოსული ირანელი ტურისტებისა და ბიზნესმენების რიცხვი საგრძნობლად გაზარდა.

„თუმცა, როგორც თბილისში გამომავალი სპარსულენოვანი გაზეთის რედაქტორი სარა ღაზი ამბობს, ბოლო რამდენიმე დღეა, უკვე იგრძნობა ცვლილებები ირანელებთან მიმართებაში. სომხეთის საზღვრიდან მომავალ ირანელ ვიზიტორებს უარი უთხრეს საქართველოში შემოსვლაზე, თუ მათ სასტუმროს წინასწარი ჯავშანი არ ექნებოდათ. უარის ასეთი ფორმა აქამდე არ ყოფილა“, — აღნიშნავენ ჯეი სოლომონი და ბენუა ფუკონი.

20 ივნისს Wall Street Journal-მა გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „საქართველოში ირანელების ინვესტიცია სანქციების მიუხედავად იზრდება“. სტატია ირანელების მხრიდან საქართველოში ბიზნესსაქმიანობისადმი ინტერესის ზრდას ეხება და აღნიშნულია, რომ ეკონომიკურმა სანქციებმა ირანს საზღვარგარეთ ბიზნესის კეთება გაურთულა, მაგრამ ირანელი ბიზნესმენები მიილტვიან საქართველოსკენ, რომელიც უკვე დიდი ხანია, აშშ-ის მოკავშირეა კავკასიის რეგიონში.

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, საქართველოში ირანული კომპანიების რაოდენობა 84-დან 1500-მდე გაიზარდა. სტატიის თანახმად, ბოლო თვეების განმავლობაში, ირანელებმა კერძო ქართული ავიაკომპანიის, ძირითადი სავაჭრო ბანკისა და ლითონის ქარხნის სადაზღვევო აიღეს.

Wall Street Journal-ის სტატიაში ასევე მოყვანილი იყო აშშ-ს ხაზინის ოფიციალური პირის, დევიდ კოენის კომენტარი, რომელიც აცხადებდა, რომ ამერიკა ორიენტირებულია აღკვეთოს ირანის მიერ სანქციების თავიდან აცილების ნებისმიერი მცდელობა, მათ შორის შესაძლო ბიზნესკავშირები საქართველოში.

სტატიასთან დაკავშირებით, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ განცხადება გაავრცელა: **„სტატიაში გამოქვეყნებული ზოგიერთი განცხადების საწინააღმდეგოდ, ჩვენ ვხედავთ საქართველოს მთავრობის შეურყეველ ინტერესს, მჭიდრო ურთიერთობა იქონიოს შეერთებულ შტატებთან. აგრეთვე, ვხედავთ ძლიერ სურვილს, რომ საქართველომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია გააგრძელოს. ბოლო წლებში ირანის მიერ საქართველოში სანქციებისთვის თავის არიდების მცდელობის გამო, შეერთებული შტატების შეშფოთება გაიზარდა. შეერთებული შტატების წუხილი დღევანდელი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლამდე იღებს სათავეს“.**

„ინტერპრესნიუსი“

2013 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის სოციალური ხარჯები

ბიუჯეტიდან „სხვა ხარჯებზე“ 239 482 100 ლარი დაიხარჯა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, საბიუჯეტო ვალდებულებების კლება 549 382 300 ლარით განისაზღვრა. სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია უკვე ცნობილია და ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზეც ატვირთულია. საინტერესოა, რომ იანვრიდან მარტის ჩათვლით, საპენსიო პაკეტი მთლიანობაში, 2 102 700-მა მოქალაქემ მიიღო. ჯამში კი, ბიუჯეტიდან მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის, მთავრობამ 258 000 000 ლარი გადარიცხა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ყბადაღებული მუხლები — „სხვა ხარჯები“, ასევე „სხვა საქონელი და მომსახურება“ დეტალურადაა გაშიფრული.

სოციალური ხარჯები ბიუჯეტში

2013 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს მოსახლეობა პენსიებითა და კომპენსაციებით ორი კანონის მიხედვით — „სახელმწიფო პენსიისა“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ უზრუნველყვეს. იანვარში, საპენსიო პაკეტი 700 300 პირზე გაიცა, თებერვალში — 700 800 პირზე, მარტში — 701 600 პირზე. საპენსიო პაკეტი მხოლოდ ასაკით პენსიონერებისთვისაა განკუთვნილი. 67 წლამდე პენსიონერთათვის 110 ლარს, ხოლო 67 წლის ზემოთ ასაკის პენსიონერთათვის 125 ლარს შეადგენს. საპენსიო პაკეტი მოიცავს საპენსიო ასაკის მქონე პირთა 15-ლარიან დაზღვევასაც, რომელიც „ჯანმრთელობის დაზღვევის“ პროგრამიდან ფინანსდება. ბიუჯეტის საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამიდან, ჯამში, 258 000 000 ლარი გადაირიცხა.

სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახები მონაცემთა ერთიან ბაზაში დაარეგისტრირეს. ამასთანავე, გასცეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგისტრირებული ღატაკი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებები, ასევე ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები. ამ მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 94 100 000 ლარი გამოიყო. არსებული სოციალური პაკეტის მიხედვით, რომელიც მოიცავს ყოველთვიურ ფულად გასაცემელს (პენსიას, საოჯახო დახმარებას, სახელმწიფო დახმარებას, საყოფაცხოვრებო სუბსიდიას), იანვარში 144 200 პირზე გაიცა, თებერვალში — 144 100 პირზე, მარტში — 144 300-ზე.

ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში, სამიზნე ჯგუფები, მათ შორის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები, რუსთაველის პრემიის ლაურეატები, დევნილი მოსახლეობა, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, საჯარო სკოლებისა და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების დაფინანსებაც განისაზღვრა. ასევე, 0-დან 5 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვთა, საპენსიო ასაკის მოსახლეობის, სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევაც დაფინანსდა. საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით საქართველოს მოქალაქეებისთვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით, ბიუჯეტიდან 64 300 000 ლარი გამოყვეს.

მიმდინარე წლის თებერვლიდან, „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა“ დაიწყო. საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებმა, მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები დააფინანსეს. იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის პროგრამით კი, რაც დევნილთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციას გულისხმობს, დასავლეთ საქართველოში, ბიუჯეტიდან 3 000 000 ლარი გამოიყო. იძულებით გადაადგილებული პირების მხარდასაჭერად, ასევე 3 000 000 ლარი გამოიყო, მათ შორის, 1 000 000 ლარი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, კომბინატის დასახლებაში; ხობის, წყალტუბოსა და საჩხერის რაიონის სოფელ იცქისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე; ფოთში, მალთაყვის ტერიტორიაზე მშენებარე 30-სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მოწყობაზე; დაბა თიანეთში, რუსთაველის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობაზე; ხარაგაულის რაიონის ქუჩების, მოედნებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე; ფოთში, 7-სახლიანი საცხოვრებელი უბნის მშენებლობაზე; 2 000 000 ლარი კი ქუთაისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის 58-ში მდებარე, ყოფილი სამუსიკო სკოლა-ინტერნატის, ასევე ფოთში, მშვიდობის ქ. №8-ში, ყოფილი სასტუმრო „აიეტის“ შენობების რეაბილიტაციაზე და ახალი კორპუსის მშენებლობაზე; 40 ობიექტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გადასცეს, ხოლო 400 ოჯახისთვის საცხოვრებელი ფართები დააკანონეს. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №49-ში, კომპაქტურად განსახლების ობიექტის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებულ 26 ოჯახს, საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით, ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარება გაუწიეს, რაც ყოველთვიურად, ოჯახზე 300-ლარიან დახმარებას გულისხმობს, ხოლო სოციალური დახმარების სახით, ერთჯერადი ფულადი დახმარება, 113 უკიდურესად გაჭირვებულ დევნილს გაუწიეს.

„ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, 335 საჯარო სკოლის, 13 818 მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება უზრუნველყო შორსმდებარე სკოლებში. ამ მიზნით, ბიუჯეტიდან 600 000 ლარი გამოყვეს. პროგრამის „ცოდნის კარი“ ფარგლებში, სახელმწიფო-სასწავლო, სამაგისტრო გრანტები, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასური, საქართველოს 6 მოქალაქეს, სომხეთის 11 მოქალაქეს, სურინამის 5 მოქალაქესა და ფიჯის რესპუბლიკის 6 მოქალაქეს დაუფინანსდა. ამ დაფინანსებაში, სახელმწიფოს წილმა 161 900 ლარი შეადგინა. პროგრამა „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ ფარგლებში, 13 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა, ასევე 17 საჯარო სკოლის გაზიფიცირების სამუშაოები, ერთი საჯარო სკოლის ეზოს ტერიტორიის განათების, საკანალიზაციო სისტემისა და საცხოვრებელი კორპუსის სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია და ერთი საჯარო სკოლის საქვაბის მშენებლობა.

2013 წლის იანვარ-მარტში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მათ შორის, მიწის რეაბილიტაციისათვის საჭირო ტექნიკის შესაძენად, მექანიზატორების გადამზადებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა თუ სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში, ბიუჯეტიდან ჯამში, 86 000 000 ლარი გამოყვეს.

ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლი, 2013 წლის პირველ კვარტალში 271 859 900 ლარით, „საქონელი და მომსახურების“ მუხლი კი 150 174 000 ლარით განისაზღვრა. „საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ბიუჯეტიდან თანხა ასე გამოიყო: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება — 14 511 100 ლარი; მივლინებები — 17 930 100 ლარი; ოფისის ხარჯები — 29 952 400 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯები — 3 001 800 ლარი; კვების ხარჯები — 10 733 900 ლარი; სამედიცინო ხარჯები — 4 772 200 ლარი; რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები — 3 133 300 ლარი; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები — 10 627 700 ლარი; სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები — 2 226 600 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება — 32 416 100 ლარი.

2013 წლის პირველ კვარტალში, სახელმწიფო ბიუჯეტის „სუბსიდიების“ მუხლი 57 088 300 ლარით დაფინანსდა. „სუბსიდიის“ მუხლიდან, ძირითადად ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები დაფინანსდა, როგორებიცაა: სახელოვნებო განათლებისა და ხელოვნების განვითარების ღონისძიებები, შესაბამისად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ამ ღონისძიებისთვის 11 316 100 ლარი გამოყო; სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები, რისთვისაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, მთლიანობაში 7 897 600 ლარი გამოყო; უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობისა და სამეცნიერო კვლევების პროგრამები, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2 779 200 ლარით დააფინანსა; სასულიერო განათლება, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 159 600 გამოყვეს; სამელიორაციო სისტემების ექსპლოატაციისთვის — 8 100 000 ლარი; წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე კი 2 600 000 ათასი ლარი.

„სხვა ხარჯების“ მუხლი 239 482 100 ლარით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, ყბადაღებული „სხვა ხარჯების“ მუხლი, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დეტალურადაა გაშიფრული და ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები დაფინანსდა, როგორებიცაა: იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია), რისთვისაც ბიუჯეტიდან 3 210 300 ლარი გამოყვეს; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც პირველ კვარტალში, ბიუჯეტიდან 92 464 300 ლარი გამოყვეს; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება ბიუჯეტიდან 86 000 800 ლარით დაფინანსდა; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია კი — 9 820 000 ლარით.

ვაგონმშენებელი ქარხნის წილი ბიზნესმენს სააკაშვილმა, ნოღაიდელმა და ბექუაშვილმა დაათმობინეს?

როგორ მიიყვანა გაკოტრების პირას სანარმო ავთანდილ საყვარელიძემ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი, რომელიც ელექტროვაგონშემკეთებელ და ვაგონმშენებელ ქარხნებს აერთიანებს, ერთადერთი საწარმოა ამიერკავკასიაში. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტში 60 000 000 ლარი შეიტანა. ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი საქართველოს, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის რკინიგზებს, ასევე სხვა კომპანიებსაც ემსახურება. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ჰოლდინგის ყოფილმა პარტნიორმა ავთანდილ საყვარელიძემ, ყალბი ბრალდებების საფუძველზე, ქარხნის ყოფილი მფლობელი ბადრი წილოსანი ჯერ დააპატიმრებინა, შემდეგ, იძულების წესით, აქციების საკონტროლო პაკეტი დაათმობინა. ცხადია, გავლენიანი მფარველების გარეშე, ავთანდილ საყვარელიძე ამას ვერ მოახერხებდა. მას შემდეგ, რაც ქარხანა ხელში ჩაიგდო, სამი წელი, შეუსრულებელი ვალდებულებებისა და ყალბი ანგარიშფაქტურების შედეგად, ავთანდილ საყვარელიძემ 73 000 000 ლარის დავალიანება დააგროვა და საწარმო გააკოტრა. გაყიდვას რომ გადაერჩინა, ბადრი წილოსანმა მოახერხა და აქციების საკონტროლო პაკეტი დაიბრუნა. ავთანდილ საყვარელიძე კი ავსტრიაში გადავიდა საცხოვრებლად.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ავთანდილ საყვარელიძემ შეძლო, სამართალდამცავები შეცდომაში შეეყვანა და ბადრი წილოსანის წინააღმდეგ საქმე კიდევ ერთხელ აღძრა. მეტიც, საყვარელიძეს „საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი კოკა გუნცაძეც „აჰყვა", რომელმაც 2013 წლის დასაწყისში, ბრიფინგი გამართა და ვაგონშემკეთებელი ქარხანა, როგორც „საქართველოს რკინიგზის" ტენდერში გამარჯვებული კომპანია, ვალდებულებების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა. „ვერსიის" არაერთი მცდელობა, კოკა გუნცაძეს სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვედროდა და ინტერვიუ ჩაეწერა, უშედეგო აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის წარმომადგენლებმა ბრიფინგი გამართეს და ქარხნის ირგვლივ აგორებული ანტიპიარის დეტალებზე ისაუბრეს.

ვაგონმშენებელი კომპანიის გენერალური დირექტორის **გიორგი არეშიძის** თქმით: **„მიზანმიმართული ანტიპიარი, ჩვენი კომპანიის ყოფილმა პარტნიორმა, ავთანდილ საყვარელიძემ ააგორა და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა. ვცდილობდით, პრობლემა არ განგვესაჯაროებინა და საკუთარი ძალებით გავმკლავებოდით, მაგრამ ბოლო დროს განხორციელებულმა ქმედებებმა გვაიძულა, სიმართლე გვეთქვა".**

წლის დასაწყისში, „საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა კოკა გუნცაძემ აღნიშნა, რომ ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ, რომელმაც რკინიგზის ტენდერი მოიგო და ვაგონების გარკვეული რაოდენობა უნდა შეეკეთებინა, ტენდერის პირობები არ შეასრულა. „ვერსიის" კითხვას, უკავშირდება თუ არა კოკა გუნცაძის ბრიფინგი ქარხნის წინააღმდეგ აგორებულ ანტიპიარს, არეშიძემ ასე უპასუხა: **„2012 წელს, ტენდერი ჩატარდა „საქართველოს რკინიგზაში" და კონტრაქტი ჩვენს ქარხანასთან გაფორმდა. კონტრაქტის პირობებს ვასრულებთ. უკვე შუა ეტაპზე ვართ. იმ პერიოდში, როდესაც ბატონმა კოკა გუნცაძემ ამ ტენდერზე საჯარო განცხადება გააკეთა, ჩავთვალეთ, რომ ინფორმირებული არ იყო და საჯაროდ პასუხი აღარ გაგვიცია. რა ციფრებზეც ბატონი კოკა საუბრობდა, სწორედ იმ დღეს, რკინიგზისთვის უკვე ჩაბარებული ვაგონების საბუთები მივიტანეთ რკინიგზაში. საუბარია, 12 000 000 ლარის შესრულებულ სამუშაოზე. ყველაფერი უკვე გაირკვა და რკინიგზის ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო ხარისხიანია. ყველა ვაგონს, რომელსაც ვუშვებთ ან ვარემონტებთ, ქარხნისა და „საქართველოს რკინიგზის" ტექნიკურ სამსახურთან ერთად, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროც იბარებს. ამჟამად უმძიმეს მდგომარეობაში ვართ — მიმდინარე კონტრაქტის პირველი ტრანში სრულად დავხურეთ. ეს საბუთებითაც დასტურდება, თუმცა რკინიგზის დღევანდელი ხელმძღვანელობა მაინც გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს. დღეს, ჩვენს კომპანიას შემოსავლების სამსახურმა ინკასო დაადო, რადგან დამატებითი ღირებულების გადასახადში (დღგ) — 2 500 000 ლარის დავალიანება გვაქვს. ეს თანხა კი „საქართველოს რკინიგზამ" უნდა გადმოგვირიცხოს, რასაც ბიუჯეტში გადავიხდით".**

ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის გენერალურმა დირექტორმა **გურამ რატიანმა** განაცხადა, რომ 2004 წელს, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, კომპანია „თი ჯი ტრეიდს", რომელსაც ავთანდილ საყვარელიძე ფლობდა, ქარხნის მიმართ 2 500 000 ლარის დავალიანება დაუგროვდა: **„იმ პერიოდში, ავთანდილ საყვარელიძემ, წინა ხელისუფლების მიერ კარგად აპრობირებული მეთოდებით, ქარხნის ძირითად აქციონერს, ბადრი წილოსანს, შეთითხნილი ბრალდებები წარუდგინა. ამის გამო წილოსანი დააპატიმრეს, შემდეგ აიძულეს, აქციების საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოსთვის გადაეფორმებინა, სახელმწიფომ კი პირდაპირი მიყიდვის წესით, საკონტროლო პაკეტი ავთანდილ საყვარელიძეს მიყიდა. 2005-2008 წლებში, ქარხანაში საყვარელიძის მოღვაწეობის დროს, ამიერკავკასიაში ერთადერთ მომგებიან საწარმოს, 73 000 000 ლარის დავალიანება დაუგროვდა. ამ თანხიდან, საყვარელიძემ თავის კუთვნილ კომპანია „თი ჯი ტრეიდში" 28 000 000 ლარი გადარიცხა. დავალიანებიდან 1 600 000 ლარი მუშა-მოსამსახურეთა გაუცემელი ხელფასებია. ამჟამად ქარხანაში აუდიტორული შემოწმება ტარდება. უკვე გაირკვა, რომ საყვარელიძემ, კომპანიის სალაროდან 5 000 000 ლარი, ნაღდი ფული გაიტანა. აუდიტორული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2007 წელს, 2 500 000 ლარის მასალები, ავთანდილ საყვარელიძემ ყალბი ანგარიშფაქტურებით, არარსებული კომპანიებიდან შეიძინა. მეტიც, ამ 73 000 000-ლარიანი დავალიანებიდან, 37 000 000 ლარი, სხვადასხვა კომერციული ბანკებიდან აღებული და დაუფარავი კრედიტებია".**

გურამ რატიანის თქმით, 2008 წელს ქარხანა გაკოტრების რეჟიმში გადავიდა და იმის გამო, რომ კომპანია საერთოდ არ დაეკარგა, იმავე წელს, ბადრი წილოსანმა, ავთანდილ საყვარელიძისგან, აქციების 26% გამოისყიდა, რაშიც 1 100 000 აშშ დოლარი გადაიხადა. ამის შემდეგ ქარხანაში ძველი მენეჯმენტი დაბრუნდა და საწარმოს რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო. გურამ რატიანი აცხადებს, რომ ავთანდილ საყვარელიძე 37 000 000 ლარის კრედიტის აღებას ბანკებიდან ვერ მოახერხებდა მაშინ, როცა საწარმო გადასახადებს არ იხდიდა. ვაგონშემკეთებელი ჰოლდინგის ხელმძღვანელობა ეჭვობს, რომ საყვარელიძეს მაღალჩინოსანი ნაციონალები, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტი, ასევე მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და პარლამენტარი დავით ბეჟუაშვილი მფარველობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წილოსანის დაპატიმრება და იძულების წესით წილის დათმობა შეუძლებელი იქნებოდა.

ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის იურისტი და ადვოკატი **დავით სამხარაშვილი** აცხადებს, რომ ბადრი წილოსანსა და ქარხნის სხვა თანამდებობის პირებს, წინა ხელისუფლებასთან და „საქართველოს რკინიგზის" მაშინდელ ხელმძღვანელობასთან გარიგებაში შესვლას ედავებიან, რის შედეგადაც რკინიგზასთან სხვადასხვა კონტრაქტი არასაბაზრო ფასში გაფორმდა:

„ეს აბსურდია. ჩვენი ქარხნის მიერ რკინიგზასთან, ყველა კონტრაქტი საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე გაფორმდა. საერთაშორისო ტენდერი კი დაკონტრაქტების ყველაზე გამჭვირვალე და ღია ფორმაა მსოფლიოში. რკინიგზა ტენდერებს აცხადებდა, სატენდერო განაცხადი და წერილი ყველა ქვეყნის საელჩოს ეგზავნებოდა, სადაც ჩვენი პროფილის ქარხანა ფუნქციონირებს. თავისთავად ცხადია, ამ ტენდერებში ჩვენი ქარხანაც იღებდა მონაწილეობას და ღია, საჯარო კონკურსის პირობებში, ვინმეს მიერ არასაბაზრო ფასის დაფიქსირება, ტენდერის წაგების საფუძველი იქნებოდა".

ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენელმა **ნინო წილოსანმა** განმარტა, რომ ვაგონებს, რომლებსაც „საქართველოს რკინიგზას" ან ნებისმიერ დამკვეთს აბარებენ, დსთ-ს სივრცის ბაზაში არეგისტრირებენ: **„ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისას, ვაგონების ტექნიკური მხარე მოწმდება. ჩვენს მიერ გარემონტებული ვაგონების საშუალებით, რომლებიც „საქართველოს რკინიგზას" მივაწოდეთ, ათეულობით მილიონი ტვირთი გადაზიდეს, რკინიგზამ და ქვეყანამ კი ასეულობით მილიონი დოლარის შემოსავალი მიიღო. აბსურდია ჩვენი დადანაშაულება, თითქოს ეს ვაგონები ტექნიკურად გაუმართავი იყო".**

„ვერსიის" კითხვაზე, ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის ყოფილმა პარტნიორმა, ავთანდილ საყვარელიძემ, სამართალდამცავებს ახალი ხელისუფლების პირობებში, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხომ არ მიმართა, ნინო წილოსანმა გვიპასუხა: **„ჩვენს წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე იმდენად აბსურდულია, არ გამოვრიცხავთ, სამართალდამცველები შეცდომაში სწორედ ავთანდილ საყვარელიძემ შეიყვანა. მიუხედავად ამისა, საყვარელიძე თავის მზაკვრულ გეგმას დღეს ვეღარ განახორციელებს და ვერ მოახერხებს, ქარხანა ისევ წაგვართვას".**

Five years on, Georgia makes up with Russia

Russian tanks poured into Georgia during the 2008 conflict, part of the force that dealt a devastating blow to Georgia's ambition to re-establish control over breakaway territory

Five years after losing a war with Russia, Georgia now wants to make friends with the Kremlin. But Georgia is also keen to integrate fully with the West. Can it do both, asks the BBC's Georgia correspondent Damien McGuiness.

When Russian forces swept through the Georgian village of Ergneti, the house of 74-year-old Ivane Dvalishvili was burned down, his livestock stolen and irrigation systems destroyed.

„საქართველო რუსეთთან ურთიერთობას ალაგებს"

„ხუთი წლის შემდეგ, საქართველო რუსეთთან ურთიერთობას ალაგებს", — ამ სათაურით აქვეყნებს BBC დემიენ მაკგინესის სტატიას. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთთან ომის წაგებიდან 5 წლის შემდეგ, საქართველოს კრემლთან მეგობრული ურთიერთობები სურს, თუმცა დასავლეთთან ინტეგრაციისკენაც ისწრაფვის: **„8 აგვისტოს, საქართველო ომიდან 5 წლისთავს აღნიშნავს. ეს ხუთდღიანი ომი საქართველოსთვის დამანგრეველი აღმოჩნდა. ომი, საქართველოს მხრიდან ოპერაციით დაიწყო, რომელიც იმედოვნებდა, რომ 1990-იან წლებში დაკარგულ ტერიტორიებზე კონტროლს დაიბრუნებდა. რუსეთის არმია, რომელსაც დიდი დრო არ დასჭირვებია ტერიტორიების ასაღებად და საქართველოს ტერიტორიისთვის უფრო დიდი დარტყმის მისაყენებლად, თბილისთან ახლოს გაჩერდა. ომში ათასამდე ადამიანი დაიღუპა, ათასობით ქართველი იძულებული გახდა, სახლები მიეტოვებინა".**

როგორც სტატიის ავტორი იხსენებს, მოსკოვმა და თბილისმა სწრაფად გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობები, ლიდერები კი, ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებდნენ: **„პუტინმა განაცხადა, რომ სააკაშვილს გენიტალიებით დაკიდებდა. სააკაშვილმა პუტინი „ლილი-პუტინად" მოიხსენია".**

დემიენ მაკგინესი წერს, რომ ყოველივე ამის გამო ჩვეულებრივი მოქალაქეები დაზარალდნენ, რომლებსაც რუსეთში გამგზავრების და ნათესავების მონახულების პრობლემები შეექმნათ: **„თუმცა ახლა საქართველოს ახალ მთავრობას, მოსკოვთან სავაჭრო და ბიზნესურთიერთობების აღდგენა უნდა. თბილისიდან წამოსულმა პოლიტიკურმა შერიგების მცდელობებმა მოსკოვი დაარწმუნა, უარი ეთქვა რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური წყლების გაყიდვის აკრძალვაზე. უკვე შეინიშნება ქართველებისთვის რუსეთში სავიზო რეჟიმის გამარტივების ნიშნებიც. 11 ივნისს კი პუტინმა განაცხადა, რომ „სრულფასოვანი ურთიერთობების" აღდგენის მომხრეა".**

სტატიაში ნათქვამია, რომ 2003 წლის რევოლუციის შემდეგ, რომელსაც სააკაშვილი უძღოდა და რომელიც აშშ-ის მიერ იყო მხარდაჭერილი, საქართველო კორუფციული, საბჭოთა სტილის ქვეყნიდან დემოკრატიულ, დასავლურ პროექტად და ნატო-ს მთავარ მოკავშირედ იქცა და **„არსებობდა რეალური საშიშროება, რომ საქართველო ევროპასა და აშშ-ის რუსეთთან სრულფასოვან ომში ჩაითრევდა"**. სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის უმრავლესობა ე.წ. სამხრეთ ოსეთს რუსეთის მიერ კონტროლირებად საქართველოს ტერიტორიად განიხილავს. ევროკავშირმა კი რუსეთი საერთაშორისო კანონების დარღვევასა და რეგიონში ეთნიკურ წმენდაში დაადანაშაულა: **„მაისში, საქართველოს მილიარდერმა პრემიერმა რუსეთთან ომის ხელახალი გამოძიების დაწყება მოითხოვა. როდესაც იგი ქვეყნის სათავეში მოვიდა, ბევრმა დაადანაშაულა, რომ საქართველოში დესტაბილიზაცია სურდა. ბევრმა განაცხადა, რომ საქართველო რუსეთის ორბიტისკენ მიექანებოდა. თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ივანიშვილი აცხადებს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი კვლავ ნატო-სა და ევროკავშირის წევრობა რჩება"**, — წერს მაკგინესი და დასძენს, რომ კრემლთან რამდენიმეწლიანი სახიფათო დაძაბულობის შემდეგ, ივანიშვილის პრაგმატული მიდგომა რუსეთის საკითხისადმი ქართველებს შორის ერთობ პოპულარულია.

სადავო ტერიტორიების შესახებ მოლაპარაკება კი, მეზობლებს შორის კვლავ შეუძლებელია: **„დააყენებს თუ არა რუსეთთან დაახლოება საფრთხის ქვეშ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას? ივანიშვილს მომავალ წელს ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა სურს. ნატო-ში გაწევრიანებას საქართველო რუსეთის მორიგი შემოჭრისგან თავის დაღწევის გარანტიად განიხილავს. როგორღაც ურთიერთობა უნდა მოგვარდეს დასავლეთთანაც და რუსეთთანაც".**

„ინტერპრესნიუსი"

შსს-მ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, 1993 წელს დაბადებული დავით ჭ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

დაკავებულმა გვიან ღამით, თბილისში, არაყიშვილისა და ირაკლი აბაშიძის ქუჩების კვეთაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1989 წელს დაბადებული ლადო დაუშვილი ცეცხლსასროლი იარაღით გულ-მკერდის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ლადო დაუშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. დავით ჭ. კი სამართალდამცველებმა მკვლელობიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

დანაშაულის იარაღი — „ტე-ტე“-ს ტიპის პისტოლეტი 2 მჭიდით და მასში მოთავსებული საბრძოლო ვაზნებით ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).

„ვერსიანიუსი“

წალკაში უბედურ შემთხვევას 10 წლის ბავშვი ემსხვერპლა

წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ საყდრიონში უბედური შემთხვევა მოხდა. 10 წლის როინ შავაძე, წინასწარი ინფორმაციით, დედის კუთვნილ მოსასხამში აიბლანდა და გაიგუდა. შავაძეების მეზობლების თქმით, ბავშვი დედის მოსასხამით თამაშობდა და შემთხვევით თავი დაიხრჩო. უკვე გარდაცვლილი როინ შავაძე ოთახში საკუთარმა ძმამ ნახა. ბავშვი მშობლებმა წალკის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ექიმის თქმით, საავადმყოფოში მიყვანისას ბავშვს სიცოცხლის სიმპტომები აღარ ჰქონდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 115-ე მუხლით არის აღძრული და მიმდინარეობს გამოძიება.

„ინტერპრესნიუსი“

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საბაჟოს ოფიცერი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საბაჟო გამშვებ პუნქტ „ფოთისა და ყულევის პორტების და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს ოფიცერი რუსუდან ხარბედია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. საგამოძიებო სამსახურის ცნობით, რუსუდან ხარბედია სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზეა დაკავებული.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ რუსუდან ხარბედიამ ვადაგასული ფიტოსანიტარული სერტიფიკატის საფუძველზე, გასცა ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო ნებართვა, რის შემდეგაც, ტვირთი საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოვიდა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.

„ინტერპრესნიუსი“

„ალფა“ გარდაცვლილი ჯარისკაცის ოჯახს სიცოცხლის დაზღვევის თანხას არ აძლევს

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

სადაზღვევო კომპანიებთან პრობლემა არაერთ თანამოქალაქეს შეექმნა — საქმე საქმეზე რომ მიდგება, კომპანია მომხმარებელს ამა თუ იმ სერვისის ანაზღაურებაზე უარს ეუბნება, მიუხედავად იმისა, რომ ეს სერვისი პოლისისა თუ სხვა სახის სადაზღვევო პაკეტში ფიქსირდება. შემთხვევა კი, რომლის შესახებაც „ვერსია“ გიამბობთ, ეხება სადაზღვევო კომპანია „ალფას“, რომელმაც პრობლემები შეუქმნა გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახს — 2012 წლის 9 მაისს, სამხედრო მოსამსახურე არჩილ ჩხეტიანი, ერთთვიანი შვებულებით საქართველოში დაბრუნდა. მან ჰელმანდის პროვინციაში გარდაცვლილი სამხედროების ჩამოსვენებაში მიიღო მონაწილეობა და შვებულების ფარგლებში სამშობლოში დარჩა. არჩილ ჩხეტიანი 23 მაისს ავტოავარიით გარდაიცვალა. იგი, როგორც სამხედრო პირი, სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახმა, სიცოცხლის დაზღვევისთვის განკუთვნილი ფულადი დახმარების მისაღებად, „ალფას“ მიაკითხა, მაგრამ თანხის გაცემაზე უარი განუცხადეს მიზეზით: სამხედროს, ავღანეთში ნანახ-განცდილის, მეგობრების სიკვდილის გამო, შეიძლება დეპრესია ჰქონდა და არაა გამორიცხული, თავი მოეკლა, ამიტომ თანხას არ გავცემთო. გარდაცვლილის ოჯახი ამტკიცებს, რომ არჩილ ჩხეტიანი თავს არ მოიკლავდა, თუნდაც იმის გამო, რომ ავტომანქანაში, რომელსაც მართავდა, ავარიის დროს, კიდევ 4 ადამიანი იჯდა. ვითარებაში გასარკვევად, „ვერსია“ არჩილ ჩხეტიანის ოჯახის წევრებს დაუკავშირდა. ნიკოლოზ ჯავახიძე გვიამბობს:

— ჩემი ქვისლი, არჩილ ჩხეტიანი, 2012 წლის 23 მაისს დაიღუპა. გვითხრეს, მემკვიდრეობის საბუთები მოაწესრიგეთ, დაზღვევის თანხა, 9000 ლარი რომ აიღოთო. მემკვიდრეობა გაკეთდა მეუღლეზე. ხან რა საბუთი მოგვთხოვეს, ხან რა... პროცესი ნახევარი წელი გაიწელა. ბოლოს, მივედი „ალფაში“ იმის გასარკვევად, გვეკუთვნოდა თუ არა სიცოცხლის დაზღვევისთვის განკუთვნილი დახმარება. კიდევ ნახევარი წელი, პასუხის მისაღებად, განყოფილებიდან განყოფილებაში გვაგზავნიდნენ. არჩილ ჩხეტიანის მეუღლე რომ მივიდა სადაზღვევო კომპანიაში, უთხრეს, ჩვენ რა ვიცით, იქნებ ავღანეთში სტრესი მიიღო და თავი მოიკლაო. მერე სულ მე დავდიოდი „ალფაში“. მეუბნებოდნენ, პასუხს დღეს ვერა, ხვალ გაგცემთო. რამდენჯერ მომიწია მისვლა, ვერ გეტყვით. ბოლოს, უარი გვითხრეს.

— ოფიციალურად, ამის მიზეზად რა დასახელდა?

— ამას არ გვეუბნებიან. ვთხოვე, ხელშეკრულებაში ჩამეხედა, რათა გამეგო, რა მიზეზით არ აძლევენ ოჯახს თანხას. არ დამთანხმდნენ, მიმეორებდნენ, შეიძლება, თავი მოიკლა და ამ შემთხვევაში, დახმარებას არ გავცემთო. როგორ მოიკლა თავი, როცა ავარიის დროს 4 ადამიანი ეჯდა მანქანაში. ლოგიკა სად არის? ვთხოვე, ეჩვენებინათ დოკუმენტი, სადაც წერია, რის გამო არ აძლევენ ოჯახს თანხას. მითხრეს, მაგას გრიფი „საიდუმლო“ ადევს და არ გაჩვენებთო.

— იქნებ ხელშეკრულებაში უწერიათ, რომ სადაზღვევო კომპანია სიცოცხლის დაზღვევისთვის განკუთვნილ თანხას იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ მაინცდამაინც საბრძოლო მოქმედების დროს დაიღუპება?

„ავერსის“ პასუხი არჩილ ჩხეტიანის ოჯახს

— ეს საკითხი გავარკვიეთ — საბრძოლო მოქმედების დროს თუ დაიღუპება ჯარისკაცი, თავდაცვის სამინისტრო გადაუხდიდა ოჯახს თანხას. მაშინ 10 000 დოლარს იხდიდა ეს უწყება. სახელმწიფომ დააზღვია სამხედროების ჯანმრთელობა და სიცოცხლე ომის გარეშე, საქართველოში ყოფნის პერიოდში. მაგრამ მაინც არ გვაძლევენ დახმარებას. გვეუბნებიან, ჩვენ რა ვიცით, იქნებ თავი მოიკლაო. როცა ვუმტკიცებთ, რომ თავს არ მოიკლავდა, გვპასუხობენ კიდევ არის რაღაცები, რის გამოც არ შეიძლება დახმარების გაცემაო. ამ „რაღაცებში“ რას გულისხმობენ, ვერ გავარკვიეთ. არადა, ოჯახი სერიოზული პრობლემის წინაშე დგას — ბანკის ვალი აქვთ და ბინას კარგავენ. არჩილს ბანკის ვალი ისე ჰქონია, მეუღლემ არც იცოდა. ძალიან კეთილი ადამიანი იყო და ჩანს, ვიღაცას გაუკეთა სესხი. არჩილის გარდაცვალებიდან 9 თვის შემდეგ დაურეკეს ჩემს ცოლისდას, ვალს რატომ არ იხდითო. ახლა მის მეუღლეს ბანკი ხელფასის დაკავებით ემუქრება. თან ყოველთვე საურავს ამატებს. ჩემს ცოლისდას არაფერი აქვს, არც ბინა, არც სხვა ქონება, ამიტომ ხელფასს დაუყადაღებენ და როგორ უნდა არჩინოს ოჯახი, არ ვიცი.

— თავდაცვის სამინისტროს მიაკითხეთ?

— თავდაცვის სამინისტრო არაფერ შუაშია, დაზღვევის თანხა „ალფას“ უნდა გადაეხადა. თავდაცვის სამინისტრომ, სხვათა შორის, დაკრძალვის ხარჯები გაიღო.

„ვერსია“ დაინტერესდა, რატომ არ აძლევს სადაზღვევო კომპანია „ალფა“ დახმარებას გარდაცვლილი სამხედროს ოჯახს. ამის გასარკვევად, „ავერსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დავუკავშირდით, საიდანაც წერილობითი პასუხი გამოგვიგზავნეს: „არჩილ ჩხეტიანის (თავდაცვის სამინისტრო) სიცოცხლის დაზღვევის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ბენეფიციარი თავად მართავდა ავტომობილს, იყო ნასვამ მდგომარეობაში და ავტოავარია მოხდა მისი ბრალეულობით. წარმოდგენილ სამედიცინო ცნობაში — გარდაცვალების შესახებ (ფორმა №106/ს-4) №003692012203139III მუხლის 15 პუნქტი — სიკვდილის მიზეზი — მითითებულია საგზაო შემთხვევა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების №024230512002, 17/07/2012წ. დასკვნაში მითითებულია: ,,ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ არჩილ ჩხეტიანმა, რომელიც იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, 2012 წლის 23 მაისს ა/მანქანის მართვის დროს დაარღვია ,,საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით” გათვალისწინებული მოთხოვნები და მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რა დროსაც მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა“. ,,არჩილ ჩხეტიანის ქმედებაში დადასტურდა საქართველოს სსკ-ს 276-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა“ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 29/06/2012 წლის 309/0517-16 წერილში — ექსპერტის დასკვნა №127/05/7-1 მითითებულია, რომ „არჩილ ჩხეტიანის სიკვდილის უშუალო მიზეზია თავის ქალას ბლაგვი ტრავმა: ქალასარქველისა და ფუძის ძვლების მრავალფრაგმენტოვანი მოტეხილობები; დიფუზური სისხლჩაქცევა თავის ტვინის რბილ გარსებში, ტვინის ნივთიერებაში და პარკუჭებში შეღწევით; გვამიდან აღებულ სისხლში აღმოჩნდა 1.73 პრომილე ეთილის სპირტი“.

ერთი მხრივ, კარგია, რომ „ვერსიას“ ჩხეტიანის ოჯახის წევრების მსგავსად, რამდენიმე კვირა არ დასჭირდა იმის გასარკვევად, „ავერსის“ სადაზღვევო კომპანია „ალფა“ რატომ არ აძლევს სიცოცხლის დაზღვევისთვის განკუთვნილ დახმარებას გარდაცვლილი ჯარისკაცის ოჯახს. ამის მიზეზი თურმე ის ყოფილა, რომ სამხედრო მოსამსახურე ავარიის დროს ნასვამი იყო და მანქანას ისე მართავდა. რადგან, გარკვეულწილად, პასუხისმგებლობა იმ პირზეა, ვინც საჭესთან იჯდა, მართლაც შესაძლებელია, სადაზღვევო კომპანიამ დახმარების გაწევაზე უარი განაცხადოს. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩხეტიანის გარდაცვალება რიგით შემთხვევად არ უნდა განვიხილოთ. საქმე ეხება სამხედრო მოხელეს. ადამიანს, რომელიც საქართველოს სახელით ავღანეთში, ყველაზე ცხელ წერტილში იბრძოდა. არავინ იცის, რამდენჯერ ჩახედა ჩხეტიანმა სიკვდილს თვალებში და იმის წარმოდგენაც ალბათ ძალიან გაგვიჭირდება, რა განიცადა, როცა მეგობრების სიკვდილს ჯერ შეესწრო, შემდეგ კი, დაღუპული გმირების სამშობლოში ჩამოსვენებაში მიიღო მონაწილეობა. ამ ფონზე, საქართველოში ალბათ არც ის გააკვირვებს ვინმეს, ჩხეტიანი ნასვამი რომ იყო. არავინ ამართლებს მას, რომ საჭესთან ასეთ მდგომარეობაში დაჯდა. უბრალოდ, იმის გააზრება არ იქნებოდა ურიგო, რა მდგომარეობაში იყო ქართველი სამხედრო. ეს „ალფას“ წარმომადგენლებისთვისაც კარგი იქნებოდა — ამ შემთხვევაში, იურიდიულზე მეტად, ზნეობრივი კანონებით იხელმძღვანელებდნენ და გარდაცვლილი ჯარისკაცის ოჯახს დახმარებაზე უარს არ ეტყოდნენ. ბოლოს და ბოლოს, ამ ჟესტს ქველმოქმედებას დაარქმევდნენ. მით უმეტეს, 9 ათასი ლარის გაღება, „ავერსსა“ და მის დამფუძნებელ პაატა კურტანიძეს არ გააღატაკებდა, სამაგიეროდ, გარდაცვლილი ჯარისკაცის სამშვილიან ოჯახს არ დატოვებდნენ ლუკმა-პურისა და ბინის გარეშე.

ნინო ბურჯანაძის ჩვენების საფუძველზე, ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდა

დადგება თუ არა თაკო სალაყაიას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი

24 ივნისს, ვანო მერაბიშვილს, სანდრო გირგვლიანის საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით (სსკ-ს 332-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ბრალი დაუმძიმდა. ამ ფაქტის გამო, ივანიშვილის ხელისუფლებამ სანდრო გირგვლიანის ბიძის, გიორგი ენუქიძის მადლობა დაიმსახურა.

გამოძიებით დადგინდა, რომ სანდრო გირგვლიანზე ანგარიშსწორება განხორციელდა შეკვეთით, რომელიც შსს-ს იმდროინდელი გენერალური ინსპექციის უფროსის, ვასილ სანოძის დაბადების დღის აღსანიშნავი სუფრიდან კუდ-ის იმდროინდელმა უფროსმა დათა ახალაიამ გასცა. ანგარიშსწორებაში მონაწილეობდნენ ასევე სხვა მაღალჩინოსნებიც. მერაბიშვილისთვის კი, მომხდარის წუთიდან, ყველა დეტალი ცნობილი იყო, თუმცა თანამდებობის პირებთან ერთად, საკუთარი მეუღლის, თამარ (თაკო) მერაბიშვილი-სალაყაიას დანაშაულისგან ხელოვნურად განრიდების მიზნით, შეგნებულად შეუშალა ხელი გამოძიებას.

ვანო მერაბიშვილის ბრალეულობის დადგენა შესაძლებელი გახდა არაერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე. მათ შორის – ნინო ბურჯანაძის. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის თქმით, გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ, მან მერაბიშვილი საკანონმდებლო ორგანოში დაიბარა და დამნაშავეთა დასჯა მოსთხოვა, რაზედაც ცივი უარი მიიღო.

გირგვლიანის საქმეში ერთ-ერთი „მთავარი გმირი“ მერაბიშვილის მეუღლე, თაკო სალაყაიაა. მის სახელს უკავშირდება „შარდენზე“ მომხდარი ინციდენტი, რასაც გირგვლიანზე ანგარიშსწორება მოჰყვა. დღეს უკვე ცნობილი გახდა, რომ თაკო სალაყაია ვასილ სანოძის კაბინეტში მოწყობილ „დაკითხვას“ უშუალოდ ხელმძღვანელობდა; მეტიც – პროცესი მისი მითითებებისა და კორექტირების ფონზე წარიმართა. ამ ფონზე, საინტერესოა, დადგება თუ არა თაკო სალაყაიას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი და ამას დრო გვიჩვენებს, მანამდე კი, თბილისის პროკურორი მაია მწარიაშვილი განმარტავს, რომ გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, მთელი რიგი მუხლებით მიეცემა პასუხისგებაში დათა ახალაია. დასასჯელთა სია კი ამით არ შემოიფარგლება – „უახლოეს მომავალში სხვა პირების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება, მათ შორის, მათიც, ვინც გირგვლიანის საქმეში მსჯავრდებულ 4 პირს ციხეში კომფორტულ გარემოს უქმნიდნენ“.

„ვერსია“ გთავაზობთ ვანო მერაბიშვილის ბრალდების საქმეზე დადგენილებას, რომელიც მთავარმა პროკურატურამ 24 ივნისსვე გაავრცელა: „24 ივნისი, 2013 წელი, ქ. თბილისი. ქ. თბილისის პროკურორმა მაია მწარიაშვილმა განვიხილე სისხლის სამართლის საქმე №074261112802, საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ წამებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ 1441-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით, სსკ 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და მივიღე მხედველობაში, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები იძლევა საკმარის საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ივანე სერგოს ძე მერაბიშვილმა, დაბადებულმა 1968 წლის 15 აპრილს, პირადი ნომერი 01021004498, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონემ, ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

ივანე მერაბიშვილი 2004 წლის 18 დეკემბრიდან 2012 წლის 4 ივლისამდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენდა სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს. მას, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, ეკისრებოდა პასუხისმგებლობა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული – ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფისთვის.

2006 წლის 27 იანვარს, 23:00 საათზე, ქ. თბილისში, კაფე-ბარ „შარდენში“ შეიკრიბნენ თამარ მერაბიშვილი (სალაყაია) – შინაგან საქმეთა მინისტრის ივ. მერაბიშვილის მეუღლე, დავით ახალაია – შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი, ოლეგ მელნიკოვი – ამავე დეპარტამენტის ოპერატიული თანამშრომელი, ვასილ სანოძე – შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი, გურამ დონაძე – შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი, ანა კალანდაძე და მისი მეგობარი თათია მაისურაძე.

ამავე ბარში, მოგვიანებით მივიდნენ სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი ლევან ბუხაიძე. დარბაზში შესვლისთანავე, სანდრო გირგვლიანმა შენიშნა თათია მაისურაძე და, რამდენადაც მასთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა და, ბარში მისვლამდე ტელეფონით ესაუბრა კიდეც, მიუახლოვდა მას და სუფრის სხვა წევრების თანდასწრებით, მკვეთრი ჟესტებითა და ხმამაღალი ტონით დაუწყო საუბარი, რომელიც შეეხებოდა იმას, რომ ცოტა ხნის წინ, მათ შორის შემდგარი სატელეფონო საუბრისას, თ. მაისურაძემ დაუმალა და არ გაუმხილა ს. გირგვლიანს, რომ იმყოფებოდა „შარდენ ბარში“, არამედ მოატყუა, თითქოს სხვა ბარში იყო, მეგობარ გოგონებთან ერთად.

ს. გირგვლიანსა და თ. მაისურაძეს შორის მომხდარი შელაპარაკება შეუმჩნეველი არ დარჩა ამავე ბარში მყოფ ს. გირგვლიანის მეგობარს, ზაალ ქურციკაშვილს, რომელმაც მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან არიდების მიზნით, სანდრო გირგვლიანი გამოარიდა შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლის თ. მერაბიშვილის სუფრას. თუმცა, ს. გირგვლიანმა განაგრძო საყვედურების გამოთქმა. ზაალ ქურციკაშვილმა რამოდენიმეჯერ შენიშვნაც კი მისცა მას და დამშვიდებისაკენ მოუწოდა. მოგვიანებით, თ. მაისურაძე გადაჯდა სანდრო გირგვლიანის მაგიდასთან, სადაც მათ შორის კვლავ გაგრძელდა საუბარი მკვეთრი ჟესტების ფონზე. ერთმანეთს შორის ურთიერთობათა გარკვევისას ს. გირგვლიანმა უცენზურო სიტყვებით მოიხსენია მინისტრის მეუღლის სუფრასთან მჯდომი შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი თანამდებობის პირი.

სანდრო გირგვლიანსა და თ. მაისურაძეს შორის გამართული დაძაბული საუბარი და მათი მისამართით გამოთქმული პრეტენზიები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თ. მაისურაძის სუფრის წევრებს, რისი დასტურიც აღმოჩნდა „შარდენ ბარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების სასწრაფო თავმოყრა. კერძოდ, სუფრასთან მყოფი დათა ახალაიას დავალებით, ს. გირგვლიანთან ანგარიშსწორების მიზნით, „შარდენ ბარის“, თავისუფლების მოედნის, ლესელიძის ქუჩის მიმართულებით და მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები: გერონტი ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე, დავით ქოქიაშვილი, იოსებ ხასაია, ვალერიან მეტრეველი და სხვები. დროის რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ ს. გირგვლიანმა და მისმა მეგობარმა დატოვეს ბარი და გარეთ გავიდნენ. მათ, დათა ახალაიას მითითებით, უკან გაჰყვა მინისტრის მეუღლის სუფრის ერთ-ერთი წევრი ო. მელნიკოვი, რათა დ. ახალაიას გამოძახებით, ქუჩაში მყოფი კუდ-ის თანამშრომლებისთვის მიენიშნებინა მსხვერპლზე. ო. მელნიკოვის მინიშნებით გ. ალანიამ, თანმხლებ პირებთან – ალ. ღაჭავასა და დ. ქოქიაშვილთან ერთად, ს. გირგვლიანი და მისი მეგობარი ძალის გამოყენებით ჩაისვეს ავტომანქანაში და გაიტაცეს ქალაქგარეთ, თბილისიდან 6 კილომეტრის მოშორებით მდებარე ოქროყანის სასაფლაოზე. აქ მათ შემოუერთდათ ა. აფციაური და მ. ბიბილურიძეც. გამტაცებლებმა ს. გირგვლიანი და მისი მეგობარი გააშიშვლეს ძლიერ ყინვაში და სასტიკად სცემეს. ს. გირგვლიანს წამების მიზნით, სხეულის სხვადასხვა არეში დანით მიაყენეს აურაცხელი ჭრილობა, მათ შორის 12 ჭრილობა ყელის არეში. გარდა ამისა, მას დაზიანებები აღენიშნებოდა ასევე მარცხენა მხარზე, მარცხენა წინამხარზე, მარჯვენა მხარზე, თითებზე, მუცელზე, ორივე მუხლზე, წვივებზე, თეძოებზე, შუბლზე, ცხვირზე და თვალების ირგვლივ და ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი, გვიან ღამით მიატოვეს უკაცრიელ ადგილას. 2006 წლის 28 იანვარს, დაახლოებით 15:00 საათზე, სანდრო გირგვლიანის გვამი მისმა მეგობრებმა იპოვეს ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე. გირგვლიანისთვის ჭრილობათა უმეტესობა მიყენებული იყო ყელის არეში, მათ შორის სასიკვდილო აღმოჩნდა ხორხზე მიყენებული ღრმა ჭრილობები. რაც შეეხება ლ. ბუხაიძეს, გამტაცებლებმა, ძლიერ ნაცემი და შიშველ მდგომარეობაში მყოფი დატოვეს რა სასაფლაოზე, მან გააღწია და მიაგნო უახლოეს ბენზინგასამართ სადგურს, საიდანაც დაუკავშირდა პოლიციას.

ივ. მერაბიშვილს ბრალი ედება იმაში, რომ მოქმედებდა რა დაკისრებული მოვალეობებისა და საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის და მისი მეუღლისათვის, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფი მაღალი რანგის მოხელეებისათვის უკანონო უპირატესობების მინიჭების პირადი მოტივით, დაარღვია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები, საქართველოს კონსტიტუცია, მოქმედი კანონმდებლობა და თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (რასაც განსაზღვრავდა არა მხოლოდ დაკავებული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობიდან გამომდინარე ფორმალურ-სამართლებრივი უფლებამოსილებები, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობრივი ავტორიტეტითა და ფაქტობრივი გავლენით განპირობებული შესაძლებლობები, აგრეთვე მისი სამსახურებრივი კავშირები), უკანონო ჩარევის გზით და ერთიანი განზრახვით, გავლენას ახდენდა სანდრო გირგვლიანის სიცოცხლისა და თავისუფლების ხელყოფის სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების მთელ პროცესში მიკერძოებული, არასრულყოფილი, უსამართლო და არაობიექტური სამართალწარმოების უზრუნველყოფისათვის, შემდეგ კი, სასჯელის მოხდის მთელ პერიოდში, განაჩენის არასათანადო აღსრულებისათვის მსჯავრდებულთათვის უკანონო შეღავათების დანესებისა და პირობების შექმნისათვის, ასევე სასჯელისგან მათი ვადამდე გათავისუფლებისთვის.

ივანე მერაბიშვილის მიერ ჩადენილ ქმედებათა შედეგად სანდრო გირგვლიანის საქმეზე განზრახ არ იქნა მხილებული დანაშაულში მონაწილე ყველა პირი და არ მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხოლო საქმეზე მსჯავრდებული პირების მიმართ არ განხორციელდა კანონით გათვალისწინებული, ადეკვატური სამართალწარმოება, რამაც განაპირობა სასამართლოს მიერ აღნიშნულ პირთა მიმართ დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების მიღება, აგრეთვე განაჩენის არასათანადოდ აღსრულება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ივ. მერაბიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა საქართველოს პარლამენტში 2006 წლის 28 თებერვალს ს. გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებული საჯარო გამოსვლისას განაცხადა, „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უახლოეს ხანებში ეს საქმე გაიხსნება და მთელი საზოგადოებისათვის გახდება ცნობილი ამ საზარელი მკვლელობის შემსრულებლები“. 2006 წლის 6 მარტს, შ/ს სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე ივ. მერაბიშვილმა კვლავ საჯაროდ განაცხადა, რომ ს. გირგვლიანის მკვლელობის საქმის გახსნა პირადად მისი და შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესტიჟის საქმე იყო, და სწორედ ამიტომ, მისივე დაჟინებული მოთხოვნით, საქმის გამოძიებას, დანაშაულის გახსნამდე, აწარმოებდა მისდამი დაქვემდებარებული უწყება (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო).

სინამდვილეში, ივანე მერაბიშვილმა საკუთარი პოლიტიკური/თანამდებობრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ უფროს დავით ახალაიასა და სხვა თანამდებობის პირებთან ერთად, პირადი მოტივით დაგეგმა და განახორციელა სანდრო გირგვლიანის სიცოცხლისა და თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გარემოებების შესახებ არსებული და მოპოვებული მონაცემების წინასწარი განზრახვით დაფარვა, შეცვლა და მათი იმგვარი საპროცესო დამაგრება, რამაც გამოიწვია დანაშაულის შემკვეთებისა და თანაამსრულებლებისთვის გარდუვალი, კანონიერი და ადეკვატური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. ივ. მერაბიშვილისა და სხვა თანამდებობის პირთა შეთანხმებული ქმედებებით განხორციელდა ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ინსცენირება, რომლის მიზანი იყო, ერთი მხრივ, დაეფარათ დანაშაულის ჩამდენი უფრო მაღალი თანამდებობის პირები, მათთან შემხებლობაში მყოფი, შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე და მისი შესაძლო მონაწილეობა დანაშაულში, ხოლო მეორე მხრივ, მოეხერხებინათ გ. ალანიას, ა. აფციაურის, ალ. ღაჭავას და მ. ბიბილურიძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და მსჯავრდება ჩადენილზე უფრო მსუბუქი დანაშაულისთვის, მოსალოდნელი სასჯელის ვადისა და პირობების წინასწარ შეპირებული გარანტიებით.

ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლომ, 2011 წლის 26 აპრილის განჩინებით – „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ – დაადგინა, რომ ალექსანდრე (სანდრო) გირგვლიანის საქმეზე ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

ჩადენილი დანაშაულის ამჟამინდელი გამოძიებით დადგინდა, რომ ოქროყანის სასაფლაოს მახლობლად ს. გირგვლიანის გვამის აღმოჩენიდან მე-2-მე-3 დღეს, ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა მერაბ ბაღათურიამ ივ. მერაბიშვილს პირადად მოახსენა თბილისის კრიმინალური სამსახურების მიერ დადგენილი, ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გარემოებები, კერძოდ ის, რომ ს. გირგვლიანს კონფლიქტი მოუხდა „შარდენ ბარში“ მყოფ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროს დ. ახალაიასთან, შსს-ს პრესსამსახურის უფროს გ. დონაძესა და მათი სუფრის სხვა წევრებთან, რის გამოც, კუდ-ის თანამშრომლების მიერ შემდგომში მოხდა ს. გირგვლიანისა და მისი მეგობრის, ლ. ბუხაიძის გატაცება. ივ. მერაბიშვილს მოხსენდა, რომ გამოძიებას ამოღებული ჰქონდა სატელეფონო ამონაწერები, რითაც დასტურდებოდა კუდ-ის თანამშრომლების ყოფნა დანაშაულის ჩადენის ადგილზე, ოქროყანის სასაფლაოზე. ასევე დადგენილი იყო ავტომანქანა (Mercedes – ML), რომლის საშუალებითაც ჩადენილი იქნა დანაშაული. მითითებული ავტომანქანა კი, იმ დროისთვის, სარგებლობაში ჰყავდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსს გ. ალანიას. ივ. მერაბიშვილს ასევე მოახსენა, რომ „შარდენ ბარში“, სუფრის წევრებს შორის იმყოფებოდა მისი მეუღლე თამარ მერაბიშვილი. მინისტრთან საუბრისას, მ. ბაღათურიასთვის ცხადი გახდა, რომ ივ. მერაბიშვილმა უკვე იცოდა საქმის გარემოებები და მ. ბაღათურიას ნაამბობი მისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა. ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, მისი მინისტრის – ივ. მერაბიშვილისგან თანხმობას ითხოვდა კუდ-ის იმ მოხელეების დაკავებაზე, რომელთა მიერ დანაშაულის ჩადენა ოქროყანის სასაფლაოზე დგინდებოდა მის ხელთ არსებული მტკიცებულებებით, თუმცა მ. ბაღათურიამ ასეთი თანხმობა ივ. მერაბიშვილისგან ვერ მიიღო, მიუხედავად ამ საკითხზე მათ შორის გამართული რამდენიმე შეხვედრისა.

დანაშაულის ჩადენიდან ასევე 2-3 დღეში, საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ თავისთან მიიწვია ივ. მერაბიშვილი და მოსთხოვა ს. გირგვლიანის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირების, მათ შორის – კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დ. ახალაიას პასუხისგებაში მიცემა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მე-9 გვერდიდან

ივანე მერაბიშვილი, რომელიც სრულად ფლობდა ინფორმაციას ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე, არ დაეთანხმა პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნას – ჩადენილ დანაშაულში ყველა დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ იმ მოტივით, რომ ასეთ შემთხვევაში, მას თავად მოუწევდა პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარება, ანუ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობის დატოვება.

ივ. მერაბიშვილსა და მ. ბაღათურიას შორის ს. გირგვლიანის დაკრძალვიდან რამდენიმე დღეში კვლავ შედგა შეხვედრა, რომელსაც მათ გარდა, ესწრებოდნენ: დ. ახალაია და ვ. სანოძე. საუბრისას, ს. გირგვლიანის საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მინისტრის შეკითხვაზე, დ. ახალაიამ უპასუხა, რომ ყველაფერი კარგად იყო. თავის მხრივ, მ. ბაღათურიამ მოახსენა ივ. მერაბიშვილს, რომ გამოძიებას მოძიებული ჰყავდა პიროვნება, რომელიც ინციდენტის დროს იმყოფებოდა „შარდენ ბარში“ და იძლეოდა ჩვენებას, ბარში მყოფ ს. გირგვლიანსა და შს სამინისტროს თანამშრომლებს შორის მომხდარი კონფლიქტის თაობაზე. მოწმე ადასტურებდა ინფორმაციას, რომ იგი თავად მივიდა ს. გირგვლიანთან და გამოარიდა დ. ახალაიასა და მინისტრის მეუღლის სუფრას, რითაც შეეცადა მათ შორის კონფლიქტის აღმოფხვრას. მიღებულმა ინფორმაციამ გააღიზიანა მინისტრი და განმარტება დ. ახალაიასგან მოითხოვა. მიმდინარე გამოძიების მათ ინტერესებში განაცრებისთვის პრობლემად წარმოჩინდა „შარდენ ბარში“ მყოფი მოწმის – ზაალ ქურციკაშვილის ჩვენება, რომელიც თვითმხილველი იყო ს. გირგვლიანსა და დ. ახალაიას სუფრას შორის ინციდენტისა, რისი გამოაშკარავებაც კატეგორიულად არ შედიოდა ივ. მერაბიშვილის ინტერესებში.

ამდენად, გამოძიებით დადგენილია, რომ ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივად მე-2 დღეს, ივ. მერაბიშვილმა დადასტურებულად იცოდა, რომ (1) დანაშაულში იმხილებოდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სამსახურის ხელმძღვანელი და სამინისტროს სხვა თანამშრომლები; (2) ამ დანაშაულს წინ უსწრებდა ს. გირგვლიანისა და მისი მეგობრის, ლ. ბუხაიძის ყოფნა „შარდენ ბარში“, სადაც ივ. მერაბიშვილის დაქვემდებარებაში მყოფი უწყების თანამშრომლებთან ერთად იმყოფებოდა ასევე მისივე მეუღლე – თამარ მერაბიშვილი, (3) ალბათობის მაღალი ხარისხით, თამარ მერაბიშვილი იყო „შარდენ ბარში“ და ოქროყანის სასაფლაოზე მომხდარი ფაქტის ერთ-ერთი ყველაზე ინფორმირებული ფიგურანტი და როგორც მინიმუმ – მოწმე; (4) ს. გირგვლიანსა და ამ სუფრის წევრებს შორის მოხდა ინციდენტი, რაც გახდა მიზეზი შემდგომში ს. გირგვლიანზე გაუგონარი სისასტიკით ანგარიშსწორებისა; (5) დ. ახალაია წარმოადგენდა ს. გირგვლიანის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულის ინიციატორს; (6) ამ დანაშაულის ინიცირებასა და აღსრულებაში მონაწილეობდა 4-ზე მეტი პირი და ყველა მათგანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერი.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ივ. მერაბიშვილმა ასევე იცოდა, რომ პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს ოპერატიული დანაყოფებისა და საგამოძიებო სამსახურისათვის (რომელიც იძიებდა ამ დანაშაულს), ასევე ცნობილი იყო ზემოაღნიშნული გარემოებების შესახებ. სწორედ ამიტომ, იგი დ. ახალაიასთან ერთად ეძებდა დანაშაულის დაფარვისა და მისი არასრული, „იძულებითი“ გახსნის გზებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ს. გირგვლიანზე ჩადენილი ძალადობის, მისი სიცოცხლის წინააღმდეგ დანაშაულის საქმის გამოძიების და მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის დროს, განზრახ იქნა დაშვებული არაერთი სიყალბე და კანონდარღვევა, რაც მიზნად ისახავდა, ამ საქმეზე მართლმსაჯულების არგანხორციელებას, რაც მიღწეულ იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ ივ. მერაბიშვილმა იცოდა, დანაშაულში იმხილებოდნენ მისი უწყების მოხელეები და მათ შორის მაღალი თანამდებობის პირები, ხოლო საქმის მნიშვნელოვანი ფიგურანტი მისი მეუღლე თამარ მერაბიშვილი იყო, სამსახურებრივი მოვალეობებისა და საქმის ობიექტურად და სრულყოფილად გამოძიების ვალდებულების საწინააღმდეგოდ, მან 37 დღის განმავლობაში, საქმის ე.წ. გამოძიება წარმართა მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფი საგამოძიებო დანაყოფის მეშვეობით, ვინაიდან, მას გამიზნული ჰქონდა – საქმის ყველა მნიშვნელოვანი ფიგურანტის და მათ შორის, საკუთარი მეუღლის დაკითხვა მომხდარიყო მისდამი დაქვემდებარებული უწყების შიგნით და პირადი კონტროლის ქვეშ.

2006 წლის 16 თებერვალს, შინაგან საქმეთა თბილისის მთ. სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი, ამავე განყოფილების უფროსის მოადგილესთან ერთად, მათთვის მიცემული დავალებისამებრ, დაკითხვის საწარმოებლად გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის – ვასილ სანოძის კაბინეტში, რომელიც ამავე საქმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურანტს წარმოადგენდა. ვ. სანოძის, თ. მერაბიშვილის, დ. ახალაიას, ვ. მელნიკოვის, გ. დონაძის, თ. მაისურაძის, ა. კალანდაძის ე.წ. დაკითხვა განხორციელდა ვ. სანოძის სამუშაო კაბინეტში ყველა ზემოთ დასახელებული პირის ერთობლივი მონაწილეობით და თამარ მერაბიშვილის მითითებებისა და კორექტირებების ფონზე. დაკითხვა წარმოებდა ერთმანეთის თანდასწრებით და დასაკითხ პირთა პოზიციებისა და მათ მიერ გამოთქმული ფრაზების ურთიერთშეჯერებით, რასაც უსიტყვოდ აფიქსირებდა გამომძიებელი და რომელსაც ზედამხედველობდა იქვე მყოფი – საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილე.

მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ „შარდენ ბარში“ მომხდარი ინციდენტის შემსწრე ზაალ ქურციკაშვილი დადგენილი ჰყავდა იმჟამინდელ გამოძიებას დანაშაულის ჩადენიდან მოკლე დროში. იგი არაერთხელ შეხვდა საქმის მწარმოებელ გამომძიებელს, რომელმაც იგი მოწმის სახით დაკითხა. ზ. ქურციკაშვილის ვინაობა და ჩვენების შინაარსი მ. ბაღათურიამ შეხვედრაზე მოახსენა ივ. მერაბიშვილს, თუმცა ზ. ქურციკაშვილის ჩვენება აღარ არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის მიერ წარმოებული გამოძიების მასალებში, ასევე არ მომხდარა მისი შემდგომი დაკითხვა პროკურატურაში გამოძიების ეტაპზე. ამ მოწმის მიერ მიცემული განმარტებების საპირისპიროდ, გამოძიება წარიმართა იმ ვერსიით, თითქოს, დ. ახალაიასა და შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლის სუფრასთან, გარდაცვლილ ს. გირგვლიანს რაიმე ურთიერთობა ან ინციდენტი არ ჰქონია.

ამდენად, ივ. მერაბიშვილმა მხოლოდ მას შემდეგ დაუთმო საქმე პროკურატურას, რაც მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფმა საგამოძიებო დანაყოფმა პროცესუალურად დაამაგრა თავისივე მინისტრის პირად ინტერესებში მყოფ მოწმეთა ჩვენებები და სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რაც სინამდვილეში, ივ. მერაბიშვილის მეუღლის საქმიდან განრიდებისა და, შესაბამისად, სუფრასთან მყოფი პირების ოქროყანის სასაფლაოზე მომხდარ დანაშაულთან კავშირის არარსებობის დადგენის მიზანს ემსახურებოდა. შესაბამისად, ამგვარი ქმედებებით თ. მერაბიშვილის, დ. ახალაიას, გ. დონაძის, ო. მელნიკოვის და ვ. სანოძის ჩვენებათა შინაარსი ამავე სახით შენარჩუნდა საქმის პროკურატურაში გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროსაც.

გამოძიებით დადგინდა, რომ ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმიდან, გამოძიების ეტაპზე ამოღებული იქნა მთელი რიგი საპროცესო დოკუმენტები და საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ს. გირგვლიანის წინააღმდეგ დანაშაულის შეკვეთით ჩადენას და იმას, რომ ამ დანაშაულთან კავშირში იმყოფებოდნენ ივ. მერაბიშვილის მეუღლის თანამესუფრეები. გამოძიების პირველივე ეტაპზე, სატელეფონო საოპერატორო ქსელებიდან მოპოვებული იქნა 10-მდე აბონენტის დეტალური ამონაწერი, საიდანაც მხოლოდ ორი (ს. გირგვლიანის და გ. ალანიას) დარჩა, ყველა სხვა დანარჩენი, საქმიდან ადრევე იქნა ამოღებული.

გამოძიებით დადგინდა ისიც, რომ საქმის მწარმოებელმა გამომძიებელმა, ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმე, 2006 წლის 5 მარტს, ქ. თბილისის იმჟამინდელ პროკურორს გ. ღვინიაშვილს, მისივე მოთხოვნით, სათანადო მიმართვით დაუტოვა საკუთარ კაბინეტში. შემდგომ, აღნიშნული მიმართვის ტექსტი ასევე შეიცვალა სხვა მიმართვის წერილით, ვინაიდან ს. გირგვლიანის საქმეს გ. ღვინიაშვილისთვის გადაცემის დროს, თან ერთვოდა 3 ლაზერული დისკი: „მაგთის“ ანძების მონაცემები; „ჯეოსელის„ ანძების მონაცემები და ბ. პატარკაციშვილის სახლიდან ამოღებული ვიდეოთვალის ჩანაწერი, სადაც ასახული იყო დამნაშავეთა მოძრაობა ოქროყანის მიმართულებით და უკან. დისკი მოიცავდა ჩანაწერს ღამის 02:00 საათიდან 03:00 საათამდე. საქმეში დღეს წარმოდგენილი მიმართვა აღარ მოიცავს მითითებას ამ დანართებზე და, შესაბამისად, საქმეზე დართული ჩანაწერი ამჟამადაა მხოლოდ 34 წამი.

საქმისადმი საზოგადოების ძალზე მაღალი ინტერესისა და იმის გამო, რომ მიუხედავად განსაკუთრებული ძალისხმევისა, მაინც ვერ მოხერხდა კუდ-ის კონკრეტული მოხელეების დანაშაულში მონაწილეობისა და მისი წინაპირობის – „შარდენ ბარში“ მინისტრის მეუღლისა და შ.ს. სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების ყოფნის სრულად დაფარვა, ივ. მერაბიშვილი იძულებული გახდა დანაშაულის ჩადენიდან ერთი თვის შემდეგ გამოეცხადებინა დანაშაულის ე.წ. გახსნა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დ. ახალაიას ვითომდა „განსაკუთრებული ძალისხმევით“.

2006 წლის 6 მარტს, საჯაროდ გაცხადდა, რომ ს. გირგვლიანის ჯანმრთელობის დაზიანების სასიკვდილო შედეგით (სსკ 119-ე მუხით) და თავისუფლების უკანონო აღკვეთის (სსკ 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით) ბრალდებით პასუხისგებაში მიეცნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები: გერონტი ალანია (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი), ალექსანდრე ღაჭავა (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფ. ოპერატიული თანამშრომელი), მიხეილ ბიბილურიძე (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფ. ოპერატიული თანამშრომელი) და ავთანდილ აფციაური (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფ. ოპერატიული თანამშრომელი). თუმცა, პასუხისგებაში მისაცემ პირებთან წინასწარ შეთანხმდა მათი დაკავების დღე, პირობები, სასჯელის სახე და ზომა. მორიგების თანახმად, სასჯელის ზომა თითოეული მათგანისათვის არ იქნებოდა წელიწადნახევარზე მეტი. ამასთან, დასაკავებელ პირთა მონაწილეობით, წინასწარ, უკანონოდ განხორციელდა შემთხვევის ადგილების: „შარდენ ბარისა“ და ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერება და საგამოძიებო ვერსიის შემუშავება-შეჯერება.

მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირებს: გ. ალანიას, მ. ბიბილურიძეს, ალ. ღაჭავას და ა. აფციაურს, მათ მიერ სასჯელის მოხდის საფასურად, ასევე დუმილისა და დანაშაულში უფრო მაღალი თანამდებობის პირების და, კერძოდ, დ. ახალაიას ორგანიზატორობის არგანთქმის სანაცვლოდ, შესთავაზეს ფინანსური საზღაურის გადახდა 100-100 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით, ასევე მათი ოჯახების უზრუნველყოფა და მთელი რიგი პრივილეგიებით სარგებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში. გამოძიების საწყის ეტაპზევე, ივ. მერაბიშვილი შეხვდა ბრალდებულებს და შეპირდა, რომ „მის გასაკეთებელს თავადვე გააკეთებდა და მათ პრობლემა არ შეექმნებოდათ“, რაც მან განახორციელა კიდეც. ივ. მერაბიშვილმა „მოდულის“ შენობაში წინასწარი დაკავების საკანში ბრალდებულებთან შეხვედრისას, თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა მათ. დაპირებული თანხის ნაწილი „საჩუქრის“ სახით „შეფისგან“ (იგულისხმება შ/ს მინისტრი), იქვე გადასცეს დაკავებულებს. დანარჩენი თანხის გადაცემა კი, ხორციელდებოდა გარკვეული პერიოდულობით მათი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში (№7 და №10 დაწესებულება).

მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებისთვის წინასწარვე ცნობილი იყო, რომ მათ ჩვენებებსა და ვერსიებზე თავად იზრუნებდნენ გამოძიების მწარმოებელი პირები. რომ გამომძიებლები თავად კარნახობდნენ ჩვენებებს ბრალდებულებს, ან მიჰქონდათ მათთან წინასწარ დაწერილი ჩვენებების ტექსტები, რომელთა ფორმალურ გადაწერასაც ახდენდნენ ბრალდებულები.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2006 წლის 3 მაისს, ბრალდებულებს ფიქტიურად შესთავაზეს საპროცესო შეთანხმება დანაშაულში მონაწილე მათზე მაღალი თანამდებობის პირის ვითომდა, განთქმის შემთხვევაში პირობითი მსჯავრის სანაცვლოდ და ამ შეთავაზების დოკუმენტი მოათავსეს მათი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში. სინამდვილეში კი, ბრალდებულთა მიერ ამ შეთავაზების არ მიღებით შექმნეს დოკუმენტი, რაც უნდა შეფასებულიყო იმის მტკიცებულებად, რომ ს. გირგვლიანის მკვლელობის საქმეში არ იმხილებოდნენ შ/ს სამინისტროს უფრო მაღალი თანამდებობის პირები და გამოძიებამ ყველა ზომა მიიღო მათი გამოვლენა-დადგენის მიზნით. მიმდინარე გამოძიებით, ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულთა მიერ საპროცესო გარიგების შეთავაზების მიღების საფრთხისაგან დაზღვევისთვის, მიღებულ იქნა ზომები დ. ახალაიას მიერ. მან, გ. ალანიას ხელით, დანარჩენ 3 ბრალდებულს გადასცა ფულადი თანხა მაშინვე, როგორც კი ერთ-ერთმა ბრალდებულმა გამომძიებლებთან გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი.

ჩადენილ დანაშაულში დ. ახალაიას მონაწილეობის დაფარვისა და პირიქით, საქმის გახსნაში მისი წვლილის ჩვენების მიზნით, გამოძიების ფალსიფიკაციის გეგმის ფარგლებში შედგა ე.წ. საიდუმლო წერილები: დ. ახალაიას 2006 წლის 24 თებერვლით დათარიღებული „საიდუმლო“ წერილი №16/27 (ს) ივ. მერაბიშვილისადმი, თავის მხრივ, ივ. მერაბიშვილის ასევე 2006 წლის 24 თებერვლით დათარიღებული „საიდუმლო“ წერილი №16/12(2)-2 საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორის – ზ. ადეიშვილისადმი. აღნიშნული „საიდუმლო“ წერილით დ. ახალაია ანგარიშს აბარებს ივ. მერაბიშვილს – თითქოსდა ამ უკანასკნელის დავალების შესრულების მიმდინარეობაზე, რაც შეეხებოდა ს. გირგვლიანის გარდაცვალების გარემოებების დადგენისთვის მის მიერ ვითომდა გატარებულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს. ივ. მერაბიშვილისათვის გაგზავნილ წერილში დ. ახალაია „ასკვნის“, რომ მის ხელთ არსებული ოპერატიული მონაცემებით, ს. გირგვლიანისა და ლ. ბუხაიძის მიმართ ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობდნენ მხოლოდ: გ. ალანია, მ. ბიბილურიძე, ა. აფციაური და ალ. ღაჭავა. შესაბამისად, ივ. მერაბიშვილმა დ. ახალაიას წერილი, ვითომდა გაუგზავნა საქართველოს გენერალური პროკურორის ზ. ადეიშვილს, რადგან მისთვის დ. ახალაიასგან ცნობილი გახდა, რომ ს. გირგვლიანის მკვლელობის საქმეში დამნაშავეებად იკვეთებოდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები. აღნიშნული წერილით ივ. მერაბიშვილი, ზ. ადეიშვილს სათანადო რეაგირებისათვის უგზავნიდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის იმჟამინდელი უფროსის დ. ახალაიას საიდუმლო შეტყობინებას.

მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ე.წ. საიდუმლო წერილები შედგენილია არა მათზე მითითებულ დროს, არამედ შესრულდა მოგვიანებით, გამოძიების ინსცენირების გეგმის ფარგლებში და წარმოადგენს ყალბ დოკუმენტებს არარსებული რეკვიზიტებით.

„ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის ძალით, ივ. მერაბიშვილს გააჩნდა დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების ჩატარების უზრუნველყოფის ვალდებულება, მიუხედავად მისი პირადი დაინტერესებისა გამოძიების შედეგებისადმი. „ნებისმიერი ხარვეზი გამოძიებაში, რომელიც ძირს უთხრის მის უნარს, დაადგინოს საქმის გარემოებები ან დანაშაულის ჩამდენი პირი, იმის მანიშნებელია, რომ არ იქნა უზრუნველყოფილი ეფექტურობის სათანადო ხარისხი. (იხ. „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ №25091/07, პარ. 242, 2011 წლის 26 აპრილი). ს. გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის საქმის მწარმოებელი დანაყოფები და პირები გამოძიების არც ერთ სტადიაზე არ იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები, არამედ დამოკიდებულნი იყვნენ არა მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური, ასევე პრაქტიკული და ფაქტობრივი თვალსაზრისითაც იმ პირებზე, ვინც პირადი მიზნებით დაინტერესებული იყო საქმის არასამართლიანი გამოძიების შედეგებით“.

დასასრული მე-11 გვერდზე

„ᲠᲝᲛᲞᲔᲢᲠᲝᲚᲛᲐ“ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲞᲠᲔᲛᲘᲣᲛᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ Efix S ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ

Efix S — ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲛᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ“ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

„რომპეტროლის“ ახალი შეთავაზება განსაკუთრებით გაახარებს სპორტული ან ისეთი მანქანების მფლობელებს, რომელთა ძრავშიც პრემიუმკლასის საწვავის ჩასხმაა რეკომენდებული — 25 ივნისს, „რომპეტროლის“ წარმომადგენლებმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საგანგებო ბრიფინგი გამართეს და ჟურნალისტებს აუწყეს, რომ კომპანიამ საქართველოს ბაზარზე პრემიუმკლასის ახალი საწვავი — Efix S შემოიტანა.

ახალი პრემიუმკლასის საწვავი Efix S შეიცავს ავტომობილის გაწევის ძალის დანამატებს და დამცავი საშუალებების ნაზავს, რაც ზრდის მანქანის გაწევის ძალას. Efix S-ის საწვავი უზრუნველყოფს ძრავის ეფექტურობისა და წარმადობის მომატებას. Efix S-ით გამართული ავტომობილი ადვილად იქოქება, მოძრაობს სტაბილურად, ვიბრაციის გარეშე და ადვილად ემორჩილება მძღოლს მაღალი სიჩქარით გადაადგილებისას.

ამას ისიც ემატება, რომ მრავალი ტესტის ჩატარების შემდეგ დადგინდა — Efix S, რეგულარული მოხმარებისას, თქვენს „რკინის მეგობარს“ საოცარ სამსახურს უწევს: წმენდს ინჟექტორებს (13%) და აუმჯობესებს მათ ფუნქციონირებას; აშორებს სარქველებიდან ნადებს (33-57%) და უნარჩუნებს მათ სისუფთავეს; უზრუნველყოფს მეტ სიმძლავრეს (9%. ბრუნვის მომენტი — 15%, აჩქარება — 7 %). ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გადაჭარბებული არაა „რომპეტროლის“ გენერალური დირექტორის **ნურკენ მურზაგალიევის** შეფასება, რომ Efix S საუკეთესო საწვავია და მას საქართველოს ბაზარზე ანალოგი არ მოეპოვება: **„Efix S-ს საქართველოში ანალოგი არ აქვს, ესაა ძალიან კარგი სიახლე სპორტული ტიპის მანქანების მფლობელთათვის, ასევე მათთვის, ვინც ყურადღებას აქცევს ავტომობილის ოპტიმალურ ფუნქციონირებას, სიჩქარესა და მაქსიმალურ გაწევას. ჩვენი მომხმარებელი უკვე კარგად იცნობს Efix-ის საწვავს და დარწმუნებული ვარ, Efix S-იც დიდი პოპულარობით ისარგებლებს“.**

Efix S-ის პრეზენტაციას რუმინეთიდან საგანგებოდ ჩამოსული „რომპეტროლის“ წარმომადგენელი მიჰაელა დუმიტრუ ესწრებოდა. მან ჟურნალისტებს ინფორმაცია Efix-ისა da Efix S-ის წარმოების შესახებ მიაწოდა და ისიც აგვიხსნა, რომ 2006 წლიდან მოყოლებული, Efix რუმინეთის ბაზარზე ყველაზე პოპულარული საწვავია. **ᲛᲘᲰᲐᲔᲚᲐ ᲓᲣᲛᲘᲢᲠᲣ: „ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲛᲐ ᲐᲩᲕᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ Efix ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲐ, ᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ �პᲝ�პᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ, ᲓᲐᲒᲕᲔᲬᲧᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲣᲛᲙᲚᲐᲡᲘᲡ Efix S-ᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ. ᲛᲝᲰᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲔᲡ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲔᲗ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ Efix S ᲗᲥᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝ�პᲣᲚᲐᲠᲝᲑᲘᲗ ᲘᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲔᲑᲡ“.**

„რომპეტროლის“ კომერციულმა დირექტორმა თენგიზ ჭიჭინაძემ ჯერ ის დღე გაიხსენა, პირველად რომ აუწყა საზოგადოებას Efix-ის შემოტანის შესახებ და შემდეგ ის გაგვიმხილა, როგორ გადაწყდა საქართველოში Efix S-ის შემოტანა.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ: „4 ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ „ᲔᲤᲘᲥᲡᲘ“ �გᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲟᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 40%-ᲘᲗ ᲛᲝᲘᲛᲐᲢᲔᲑᲓᲐ. ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ �გᲐᲧᲘᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ 115%-Ს ᲒᲐᲣᲢᲝᲚᲓᲐ. ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘᲐ. ᲛᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ �გᲕᲧᲐᲕᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ Efix S �გᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘᲗᲔᲑᲘ. ᲠᲝᲗᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲩᲜᲘᲗ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲒᲕᲘᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ Efix S �გᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲘᲗᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ Efix S-Ს ᲨᲔᲕᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲗ. ᲔᲡ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘᲐ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ, ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 2%-ᲘᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲗᲗᲔᲪ ᲕᲗᲠᲣᲜᲐᲗ. ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ — Efix ᲓᲐ Efix S, �წᲛᲔᲜᲓᲡ ᲘᲜᲯᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡ, ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐᲡ, ᲐᲨᲝᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲠᲥᲕᲔᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲓᲔᲑᲡ, ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲫᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ... Efix ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲮᲝᲚᲝ Efix S ᲫᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ Ი�გᲘᲕᲔ, ᲠᲐᲪ ᲦᲘᲠᲓᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲣᲛᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ „ᲔᲕᲠᲝ ᲡᲣᲞᲔᲠᲘ“.

პრესკონფერენციას, სამოყვარულო რბოლების ერთ-ერთი ორგანიზატორი გიორგი ტუღუშიც ესწრებოდა. მისი თქმით, Efix S-ის ბაზარზე დანერგვასთან დაკავშირებით, „რომპეტროლი“ 30 ივნისს, რუსთავის ავტოდრომზე ყველაზე სანახაობრივ შოუს წარმოადგენს. ერთმანეთს საუკეთესო დრიფტერები შეეჯიბრებიან. ტუღუში გამოგვიტყდა, რომ დრიფტერებს ძალიან უხარიათ, საქართველოს ბაზარზე Efix S-ის შემოტანა. მისი პროგნოზით, ამ სახეობის საწვავის მომხმარებელთა რიცხვი, უახლოეს მომავალში, საგრძნობლად გაიზრდება.

„რომპეტროლი“ საქართველოს ბაზარზე 5 ტიპის საწვავს ყიდის: ბენზინი — Euro Regular, Efix Euro premium, Efix S და დიზელი — Efix Euro Diesel, Euro Diesel. კომპანიის საამაყო პროდუქტს უკვე მეხუთე წელია საქართველოს ბაზარზე Efix წარმოადგენს, რადგანაც პრემიუმკლასის ეს საწვავი ამცირებს მოხმარებას და 13%-ით აუმჯობესებს ძრავის ფუნქციონირებას. ამ წლების განმავლობაში მომხმარებელი დარწმუნდა, რომ ზოგავს ფულს და იცავს ავტომობილის ძრავს კოროზიისგან. ამჯერად კი, „რომპეტროლი“ მომხმარებელს ახალ, უმაღლესი ხარისხის საწვავს სთავაზობს, რომლის რეგულარულად მოხმარება, მინიმუმ 3%-მდე ეკონომიის გაკეთების საშუალებას იძლევა.

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ, ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲣᲛᲫᲘᲛᲓᲐ

მე-10 გვერდიდან

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 ივლისის განაჩენით დადგენილი სასჯელის მოხდის მიზნით: გ. ალანია, ალ. ღაჭავა, მ. ბიბილურიძე და ა. აფციაური 2006 წლის 18 ივლისს მოთავსებულ იქნენ ქ. თბილისში, №10 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ წინასწარი შეპირების თანახმად, დაწესებულებაში მოთავსებამდე, მათთვის საგანგებოდ გარემონტდა დამოუკიდებელი საცხოვრებელი ფართი (ყოფილი მედ.ცენტრი), დაწესებულების დანარჩენი ტერიტორიისგან იზოლირების მიზნით შემოიღობა გარეპერიმეტრი, მოეწყო ცალკე სველი წერტილები, სამზარეულო და სხვა სათავსოები. მათთვის განკუთვნილ საცხოვრებელში შეტანილი იქნა ახალი ავეჯი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, დამონტაჟდა ინტერნეტი, საკაბელო ტელევიზია და ელექტროენერგიის დამოუკიდებელი წყაროს ხაზები. ამ პატიმრებზე არ ვრცელდებოდა ციხის შინაგანაწესით დადგენილი მსჯავრდებულთა ქცევის წესები. ისინი შეუზღუდავად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე, შედიოდნენ ადმინისტრაციულ კორპუსში, შეუზღუდავად სარგებლობდნენ მობილური ტელეფონებით, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, განუსაზღვრელი დროითა და რაოდენობით იღებდნენ სტუმრებს, რომლებიც ძირითადად იყვნენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და იუსტიციის სამინისტროს მოხელეები, უმასპინძლდებოდნენ მათ ალკოჰოლური სასმელით, სარგებლობდნენ სექსუალური მომსახურებით.

მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ გ. ალანია, ა. ღაჭავა, ა. აფციაური და მ. ბიბილურიძე სასჯელის მოხდის პერიოდში, პერიოდულად გაჰყავდათ №10 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სხვადასხვა ვადით და გადაადგილდებოდნენ პირადი სარგებლობის ავტომანქანებით, მათ შორის: ბებიის, ბიძაშვილის სამძიმარზე, მაღაზიებში და სხვა, როგორც თბილისში, ისე მის გარეთ. დადასტურებულია ისიც, რომ რუსეთ-საქართველოს ცნობილი მოვლენების დროს – 2008 წლის 11 აგვისტოს: გ.ალანია, ალ.ღაჭავა, ა. აფციაური და მ. ბიბილურიძე გაყვანილ იქნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების განზრახვით. თუმცა, დ. ახალაია იძულებული გახდა, 25 აგვისტოს ისინი უკანვე დაებრუნებინა ვინაიდან, პრეზიდენტის შეწყალება დროებით გადაიდო. მოგვიანებით, 2008 წლის 24 ნოემბერს: გ. ალანია, ა. ღაჭავა, ა. აფციაური და მ. ბიბილურიძე მართლაც შეიწყალა საქართველოს პრეზიდენტმა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფოს უფრო მეტი სიმკაცრის გამოხატვა მოეთხოვება საკუთარი სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლების დასჯის დროს, ვიდრე სხვა დამნაშავის მიმართ, ვინაიდან ამ შემთხვევაში, სასწორზე არა მხოლოდ დამნაშავის ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დევს, არამედ სახელმწიფოს ვალდებულება – აღმოფხვრას დაუსჯელობის შეგრძნება, რომელიც დამნაშავეებს, შესაძლოა, სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობის გამო ჰქონდეთ (იხ. ნიკოლოვა და ველიჩკოვა, №63). “როდესაც ადამიანი იღუპება საეჭვო გარემოებებში და სახელმწიფოს წარმომადგენლის ხელში, გამოძიების წარმოებისას, შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა მართებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო გამოავლენს რა იაფოცხლისათვის საშიში აქტების მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას, თავის წარმომადგენლებში დაუსჯელობის გრძნობის განვითარების რისკის წინაშე დადგება, რასაც შეუძლია გზა გაუხსნას სხვა თავზეხელაღებულ დანაშაულებს, ისეთებს, როგორსაც ჰქონდა ადგილი მოცემულ საქმეში“ (ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ, 277 პარაგრაფი).

ივ. მერაბიშვილმა, არათუ დაარღვია სახელმწიფოს ვალდებულება აღმოეფხვრა დაუსჯელობის უკანონო პრივილეგია შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეთა შორის, არამედ თავისი მოქმედებით გამოიწვია მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფ მოხელეთა დანაშაულებრივი საქმიანობის პირდაპირი წახალისება პირადი მოტივებით, საჯარო და სხვა პირთა ინტერესის საწინააღმდეგოდ. ივ. მერაბიშვილის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა დამნაშავეთა და დანაშაულის დაფარვისთვის სხვადასხვა ქმედებათა დაგეგმვასა და განხორციელებაში, გამოძიების ინსცენირებისა და მტკიცებულებათა ფალსიფიცირების ორგანიზებაში, დანაშაულის გახსნის ყალბი მოლოდინის გაჩენით – საზოგადოების შეცდომაში შეყვანაში, დამნაშავეთა სამსახურებრივ, მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერაში, მათთვის სასჯელის მოხდის პერიოდში უკანონო პრივილეგიების მინიჭებისთვის პირობების შექმნაში და დუმილის სანაცვლოდ, ფინანსური საზღაურისა და კეთილდღეობის შეთავაზებაში, ასევე, სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლების უზრუნველყოფაში.

ამრიგად, ივანე მერაბიშვილმა ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ 332-ე მუხლი მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ჩადენილს სახელმწიფო – პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ.

ივ. მერაბიშვილის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის საკმარის საფუძველს იძლევა მტკიცებულებათა შემდეგი ერთობლიობა: მოწმეთა: ნინო ბურჯანაძის; მერაბ ბაღათურიას; დავით კუპატაძის; ემზარ ღარიბაშვილის; დიმიტრი ბიჩინაშვილის; თამაზ ვასაძის, დიმიტრი შაორშაძის, ჯემალ გაბელიას, მალხაზ ბოხუას, ივანე კიკნაველიძის; თამაზ ვასაძის; გიორგი ცნობილაძის, შალვა ნიქაბაძის, დავით სარჯველაძის, ვაჟა გამეზარდაშვილის; გია კობაჩიშვილის; ლერი წერეთელის, თენგიზ ჩიტიაშვილის, ბადრი გოგლიძის; გელა ლაზაშვილის; შოთა გენგაშვილის; ნოდარ ნარსიას, ზაზა ქიმაძის, ზაზა ოსიაშვილის; თამარ მიქაძის, იოსებ ტბელაშვილის; დათუნა გაფრინდაშვილის; ვახტანგ იმედაშვილის; გელა ასანაშვილის; თამაზ მაზანაშვილის; ვასილ სანოძეს; გურგენ დონაძის; კონსტანტინე არჩაიას; ზურაბ კოტარიას; შალვა ვაშაკიძის; მამუკა საბანაძის; ზაზა ქურციკაშვილის; ლევან ჩიფაშვილის; იოსებ ხასაიას; მარინა მანუკიანის; რუსუდან არჩვაძის; იოსებ სადრაძის; დავით ჯავახიშვილის; ლაშა მერებაშვილის; დავით ჩხატარაშვილი; ალექსანდრე მგელაძის; ვალერი ლაცუზბაიას; ზვიად გუგუჩიას; ვარლამ ხეცურიანის; ლაშა ამირანაშვილის; სალომე ჯანუაშვილის; თემურ ტაბაღუას; მურად გაბუნიას; რამაზ ჭოხონელიძის; მინდია ჯახაიას; კახა გაზდელიანის; ივანე ჯავახის; დავით სამხარაძის; ავთანდილ გულაროვის; ზვიად ჯინჯოლიას; აკაკი მუშკუდიანის; ნათია რამიშვილის; ციალა დოიჯაშვილის; ალექსანდრე დოლინსკის; გია ალავიძის; გიორგი მუხიგულაშვილის; გიორგი შალამბერიძის, ზურაბ კვიციანის; ვლადიმერ გვასალიას; არჩილ არევაძის; ირაკლი კიპაროიძის; ნინო გველესიანის, ალექსანდრე ღაჭავას, მიხეილ ბიბილურიძის, ავთანდილ აფციაურის; დავით ქოქიაშვილის; გიორგი კალანდარიშვილის; ნინო კიკაბიძის; ზურაბ გრიგოლაშვილის; ციური თევდორაშვილის; ლამარა გაბრიელაშვილის ჩვენებებით; სისხლის სამართლის №10060037 საქმის მასალებით; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 5 სექტემბრის დადგენილებებით; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის №768 განკარგულებით (შეწყალება); საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 24 თებერვლის №16/12(ს)-მ და კუდ-ის დირექტორ დ. ახალაიას 2006 წლის 24 თებერვლის №16/27(ს) მიმართვის წერილებით; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 19 თებერვლის 19632 წერილითა და გადმოგზავნილი დოკუმენტაციით; სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორის მოადგილის 2013 წლის №16/2-966599 წერილით; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმისწარმოების სამმართველოს 2013 წლის 28 თებერვლის №23464 წერილით; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის განჩინებით საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №25091/07); გიორგი ცნობილაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით; ნივთმტკიცების გახსნისა და დათვალიერების ოქმით; საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შენობაში („მოდული“) 2008 წლის აგვისტოს საშვთა ბიუროს აღრიცხვის ჟურნალის ელექტრონული ამონაწერით; საქართველოს შ.ს. სამინისტროს გენერალური ინსპექციის საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოს 2013 წლის 13 აპრილის №695719 წერილით გადმოგზავნილი შს სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში (9აპრილის ქ. 4) 2006 წლის თებერვლის თვეში უცხო პირთა შესვლა-გამოსვლის რეგისტრაციის ჟურნალის ასლებით; თბილისის საქალაქო სასამართლოდან ამოღებული და სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გადმოგზავნილი გ. ალანიას, ა. აფციაურის, ალ. ღაჭავას და მ. ბიბილურიძის პირობით ვადამდე გათავისუფლების დოკუმენტებით; თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის განყოფილების 2013 წლის 8 თებერვლის №4558 წერილითა და გადმოგზავნილი დოკუმენტებით; საქართველოს შ.ს. სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის 2013 წლის 25 იანვრის №10/4/2-13-0 და და შ.ს.ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს ადმინისტრაციის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №101569 წერილებითა და გადმოგზავნილი დოკუმენტებით; სატელეფონო სიმ ბარათებზე შემავალი და გამავალი ზარების შ.პ.ს. „ჯეოსელიდან” და შ.პ.ს. „მაგთიკომიდან“ ამოღებული დეტალური ამონაწერებით; გაგა ალავიძის მიერ 2013 წლის 4 თებერვალს წარმოდგენილი სატელეფონო ზარების ამონაწერებით; ივანე მერაბიშვილის სამსახურის გავლის ნუსხით; ასევე სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით“.

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„აქ ვერც საბჭოთა სამედიცინო სისტემის რეანიმაცია მოხდება და არც კანიბალური ჯანდაცვის სისტემა უნდა დაინერგოს“

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სიცოცხლის“ ინიციატივით, თემაზე — „ჰოსპიტალური სექტორი: ფაქტები, გამოწვევები, კრიზისი“ პირველი მრგვალი მაგიდა გაიმართა. მოსახლეობისთვის ამ სტრატეგიულ სფეროში არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ორგანიზაციის წარმომადგენელ ცოტნე გამსახურდიას ვესაუბრეთ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სიცოცხლე“ ხელისუფლებას დანგრეული ჰოსპიტალური სექტორის მასაღებსა და რეკომენდაციებს წარუდგენს

— უპირველესად, ყურადღება ჯანდაცვის სფეროს სტრატეგიულ მიზნებსა და პრიორიტეტებს უნდა მივანიჭოთ. ესენია სისტემის ეფექტური მართვა-ხელმძღვანელობა და სამედიცინო მომსახურების საყოველთაო და ფინანსური ხელმისაწვდომობა. ცხადია, პრობლემატიკა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და, რეალურად, ძალიან რთულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ჰოსპიტალური სექტორი, შეიძლება ითქვას, დანგრეულია, ძალიან ბევრი საავადმყოფო, საეჭვო და უკანონო გარემოებებშია გასხვისებული,შეცვლილი აქვს პროფილი, საჭირო მომსახურება ადამიანებს არ უტარდებათ, ან ეს არაადეკვატურად მაღალ ფასად ხდება.

— რას აკეთებს ამ დროს წინა ხელისუფლების ინიციატივით შექმნილი ასი საავადმყოფო?

— ასი ობიექტი, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა შექმნა, სინამდვილეში, საავადმყოფოებიც არ არის — 12-15-ადგილიანი სამკურნალო დაწესებულებები, საავადმყოფოდ ვერ ჩაითვლება. გასხვისებული ობიექტების, კომუნისტების დროს აშენებული დიდი ზომის სტრატეგიული საავადმყოფოების თანაზომადი არაფერი შექმნილა. ასი საავადმყოფოს პროექტიდან, არც ერთი მათგანია დამაკმაყოფილებელი სამედიცინო დაწესებულება, არ გააჩნიათ სამეცნიერო და დიაგნოსტიკური პოტენციალი და ეს უფრო პირველადი დახმარების ცენტრებია.

— რა ვითარებაა გასხვისებულ საავადმყოფოებთან დაკავშირებით?

— მათი ნაწილი ინვესტორს უპირობოდ და მცირე თანხის სანაცვლოდ გადაეცა. მხოლოდ ნაწილს დააკისრეს ვალდებულება, პროფილი შეენარჩუნებინა, ისიც მხოლოდ რამდენიმე წლით. მაგალითად, ასე მოხდა ონკოლოგიურის შემთხვევაში. უმეტესად, სახელმწიფომ თავად აიღო სანაცვლო ობიექტის შექმნის ვალდებულება; ისე, როგორც ეს მოხდა ინფექციურის შემთხვევაში, შემდეგ ფული შეჭამა და რეალურად, არაფერი შეუქმნია. დღეს ათასობით ავადმყოფს ქუჩაში დარჩენა ემუქრება — ასეთი მძიმე ვითარებაა ჰოსპიტალურ სექტორში. არ არსებობს მწყობრად დალაგებული კონცეფცია, როგორ უნდა მოხდეს ამ სექტორის ხელმძღვანელობა, რა უნდა იყოს პრიორიტეტი, რა პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. სახელმწიფოს როლი დომინანტური უნდა იყოს გარკვეულ საკითხებში. საზოგადოებრივი სექტორისა თუ კერძო ინვესტორის ადგილიც არაა განსაზღვრული. გვსურს, ამ თემებზე ვიმუშაოთ, გვაქვს გარკვეული მოდელები, რომლებსაც დაწვრილებით განვიხილავთ. მაგრამ ჩვენ ველოსიპედის გამოგონებას არ ვაპირებთ, გავითვალისწინებთ მსოფლიო გამოცდილებას, მაგრამ არც უკიდურესობებში გადავარდნა გვსურს.

— რას გულისხმობთ?

— აქ ვერც საბჭოთა სამედიცინო სისტემის რეანიმაცია მოხდება და არც კანიბალური ჯანდაცვის სისტემა უნდა დაინერგოს — ისეთი, როგორიც დანერგა ნაციონალურმა მოძრაობამ „ველური კაპიტალიზმის“ პრინციპებზე დაყრდნობით. ანალიზისთვის, ერთ მაგალითს მოგიყვანთ: აშშ-ში, რომელიც ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი და მისაბაძი მაგალითია, ისევე, როგორც ევროპაში, საავადმყოფოების 70-80% წამგებიან პრინციპებზე მუშაობს და მხოლოდ 20 პროცენტამდეა კერძო ინვესტორების ხელში, საქართველოში კი, წინა ხელისუფლება პირიქით მოიქცა — გვითხრეს, სოციალიზმის შემდეგ, აუცილებლად ველურ კაპიტალიზმში უნდა გადავიდეთო. ვინც ბაზარს მთელი რიგი მიზეზების გამო ფეხი ვერ აუწყო, უბრალოდ, სასიკვდილოდ განწირული იყო. ლიბერტალიანური პოლიტიკა არ ეყრდნობოდა არც მტკიცებულებას, არც ინფორმირებულობას, არც იდეოლოგიურ საფუძველს, მხოლოდ გასამართლებელი საბუთი იყო იმისთვის, რომ სახელმწიფოს ყველანაირი სოციალური ვალდებულება მოეხსნა. ამ რესურსებით სააკაშვილი და მისი გარემოცვა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დროს ატარებდა.

— ჯანდაცვის სისტემის ეფექტურ ხელმძღვანელობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, დღევანდელ რეალობაზე რას იტყვით?

— საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე საუბარი ნაადრევია. სამინისტროს პოზიცია ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, მით უმეტეს, ამ თემაზე ადეკვატური ინფორმაციაც ნაკლებია. ხელმისაწვდომობას რაც შეეხება, არსებობს რამდენიმე კერძო კლინიკა, სადაც ეს ეფექტურობა, ასე თუ ისე, უზრუნველყოფილია, სიძვირის გამო, ყველას არ შეუძლია მისვლა — ესაა მომსახურება შეძლებული ფენისთვის. არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით ექსპერტების, მეცნიერების, იურისტების მონაწილეობით რეკომენდაციებს ვამზადებთ. უპირველესად, საჭიროა, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება; შემდეგ რეკომენდაციების განხორციელებისთვის, იურიდიული ჩარჩო უნდა შეიქმნას — ამ საკითხთან დაკავშირებით, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტთან ვითანამშრომლებთ. მრგვალი მაგიდა ჩავატარეთ ჰოსპიტალური სექტორის კრიზისსა და გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით. დამუშავების შემდეგ, მასალებს გადაწყვეტილებების მიმღებ, უმაღლეს ხელისუფლებას წარვუდგენთ.

„ეს იყო გარკვეული ჯგუფის მიერ მოწყობილი პროვოკაცია, რასაც არეულობა უნდა გამოეწვია...“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“, 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, საინტერესო კვლევა ჩაატარა. მასში საუბარია არეულობის გამომწვევ მიზეზებზე, კონკრეტულად, ამ დღეს მომხდარ დაპირისპირებასა და შემდგომ განვითარებულ პროცესებზე. კვლევის შედეგებზე „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ დამფუძნებელ ლევან ჩიტაძეს ვესაუბრებით.

ვინ რა მიზნით მოაწყო 17 მაისი?

ახლანდელებს დაადანაშაულებდნენ, რომ სათანადოდ არ დაიცვეს ლგბტ პირები. ამ თვალსაზრისით, შედეგს მიაღწიეს. ასევე მოვიპოვეთ დამატებითი ინფორმაცია, რომლის კვლევაში გამოქვეყნებისგან თავი შევიკავეთ. ირკვევა, რომ ლგბტ პირები აქციაზე მისულ სხვა მოქალაქეებს აკრიტიკებდნენ — არაერთი ადამიანი აცხადებს, რომ ისინი არაგონივრული ქცევით გამოირჩეოდნენ.

— 17 მაისამდე, ლგბტ პირების უფლებები უხეშად არ ირღვეოდა. რამდენიმე ფაქტი სახალხო დამცველის ანგარიშში მოხვდა, მაგრამ ეს არ ყოფილა განსაკუთრებული ტრაგედიის ამსახველი რეალობა. ზოგადად, ადამიანის უფლებები წლების განმავლობაში ნაკლებად იყო დაცული და ლგბტ პირებიც, ჩვენი საზოგადოებისგან განყენებულ ნაწილად არ უნდა განვიხილოთ. ირღვეოდა ყველას უფლება, დაწყებული რელიგიური უმცირესობიდან, სექსუალურით გაგრძელებული. მეორე მხრივ, ლგბტ პირები ბოლო წლებში საკმაოდ პოპულარულნი ხდებიან, მათზე კეთდება გადაცემები, ხშირად იწვევენ თოქშოუებში, არიან დიზაინერები, ცნობილი პიროვნებები... არც ერთი ტელევიზია ამის გამო არავის დაურბევია, არც პროტესტი გამოუთქვამს ვინმეს, გაღიზიანება და ღია აგრესია ჩვენს მოქალაქეებს არასოდეს დაუფიქსირებიათ.

— თუ ასეა, რა მოხდა 17 მაისს?

— კანონი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დავიცვათ. არ შეიძლება, ამ საკითხთან დაკავშირებით, პირადი შეხედულებითა თუ მოტივაციით ვისარგებლოთ. ლგბტ პირებს ფლეშმობის ჩატარება დაგეგმილი ჰქონდათ და სანქციაც გააჩნდათ; მეორე მხრივ, ჩანს, ამ აქციის დამგეგმავი და მონაწილე პირები ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვას არ ცდილობდნენ და არც ჰომოფობიის წინააღმდეგ იბრძოდნენ, რაც ცალსახად გამოიკვეთა:

ეს იყო გარკვეული ჯგუფის მიერ მოწყობილი პროვოკაცია, რასაც არეულობა უნდა გამოეწვია და ამით ერთ-ერთი ორგანიზაცია სერიოზულ გრანტს მიიღებდა. ამასთან, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები

ამ მოსაზრებას ვეთანხმებით. იმ დღეს, პარლამენტის შენობასთან აქციის გამართვა, ფლეშმობი თუ სხვა სახალისო ღონისძიება, დაუშვებელი იყო.

მეორე მხრივ, დაფიქსირდა არაერთი დანაშაული. ძალადობა განხორციელდა, დაზარალდნენ ადამიანები, კერძო ქონება დაზიანდა... სამართალდამცავ ორგანოებს რესურსების ოდნავ მეტი მობილიზება რომ მოეხდინათ, ის დღე ნაკლები ხარვეზით ჩაივლიდა, თუმცა აღვნიშნავთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას — დღევანდელმა მთავრობამ, წინასგან განსხვავებით, უხეში ძალის გამოყენებაზე უარი თქვა, რაც მისასალმებელია, ამიტომ მოვლენას ორი მხრიდან უნდა შევხედოთ.

— 17 მაისის შემდგომაც ხომ გაგრძელდა აგრესია ლგბტ პირების მიმართ?

— დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში, ლგბტ პირებზე თავდასხმები გაგრძელდა, ადგილი ჰქონდა მათ მიმართ ღია აგრესიის გამოხატვას. რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა თბილისში, სადაც განსხვავებული ჩაცმულობის, ვარცხნილობისა თუ იერის გამო, ადამიანებს ფიზიკურად გაუსწორდნენ, მართლმადიდებლების პროცენტული უმრავლესობა ყველა მსგავს ღონისძიებას, ლგბტ პირების ქცევის პროპაგანდად განიხილავს, არადა ძალადობის ფაქტი, ყველა შემთხვევაში, დასაგმობი და დაუშვებელია. საზოგადოებამ თავის პოზიცია ისე უნდა დაიცვას, სხვას ფიზიკური და მორალური ზიანი არ მიაყენოს.

— რა ხდება ამ მხრივ, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში?

— აზერბაიჯანში ლგბტ პირებს საავადმყოფოებში არ უშვებენ და არ მკურნალობენ, აკრძალულია მათი შეშვება ბარებსა და რესტორნებში — თუ პირის იდენტიფიკაცია მოხდება, მას რესტორანს ატოვებინებენ. ხშირად აგრესიის მსხვერპლნი ხდებიან. დაახლოებით იგივე ვითარებაა სომხეთში, სადაც თავად პოლიციელები არბევდნენ მათ აქციებს და ძალადობდნენ მათზე. ამ ორი ქვეყნიდან ლგბტ პირები გარბიან. ოდნავ „რბილი“ მიდგომაა თურქეთში. იქ ძალიან ბევრი ადამიანი ეწინააღმდეგება ლგბტ პირების საზოგადოებაში გამოჩენას, თუმცა სამართალდამცავი ორგანოები მათ დაცვას ცდილობენ. რეპრესიები ნაკლებია, მაგრამ საქართველოსთან შედარებით, იქაც მძიმე ვითარებაა. რაც შეხება რუსეთს, იქ პირდაპირაა აკრძალული ლგბტ პირების როგორც პოპულარიზაცია, ასევე პროპაგანდა — ტელეეკრანზე გამოჩენა, თოქშოუებში მიწვევა საკმაოდ გართულებულია. გამონაკლისი შემთხვევები იქაცაა. ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის ამ ადამიანების უფლებები ყველაზე უკეთ საქართველოშია დაცული.

— ამ ფონზე, როგორია თქვენი რეკომენდაციები?

— უპირველესად, კანონის უზენაესობის დაცვა უნდა ვისწავლოთ. ეს ქვეყანაში სისტემურ პრობლემას წარმოადგენს. ასევე, დაუშვებელია ცვლილებების ხელოვნურად, პროვოკაციულად დანერგვა ქვეყანაში, სამართალდამცავმა ორგანოებმა კი ყველა ადამიანი თანაბრად უნდა დაიცვან, უმთავრესი, მართლწესრიგის უზრუნველმყოფი ორგანოების გაძლიერებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ განვვითარდებით.

„ამ პრობლემის მოუგვარებლობით ნაცმოძრაობა ხელოვნურად აღიზიანებს მოქალაქეებს“

რუსუდან შელია
557-100-768

პოეტი ვაჟა ოთარაშვილი მერიისგან დედაქალაქში საგზაო ნიშნებისა და სავალი ნაწილების მოწესრიგებას ითხოვს. აცხადებს, რომ სწორედ ამ მიმართულებით არსებული პრობლემები მოქალაქეების დაჯარიმების საფუძველი გახდა.

პოეტი ვაჟა ოთარაშვილი გიგი უგულავას დედაქალაქში გზების შეკეთებას, ხელისუფლებას კი, საავტომობილო ომბუდსმენის თანამდებობის შემოღებას სთხოვს

— დღეს, კრიმინალური საქმეების გამოძიებისა და ნაციონალური მოძრაობის გამოაშკარავების მიმართულებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო მოწოდების სიმაღლეზეა. რაც მთავარია, „პატრული“ მოქალაქეთა ნამდვილი დამცველი გახდა. ზოგადად, სამინისტროც აპოლიტიკურ სტრუქტურად ჩამოყალიბდა, თუმცა მიმაჩნია, რომ ჯარიმების კუთხით ვითარება გამოსასწორებელია. ვაღიარებ, ვანო მერაბიშვილის დროს ხარვეზებზე საუბარს ვერ გავბედავდი, რადგან ოჯახის წევრებს ამიწიოკებდნენ და ცხოვრებას გამიმწარებდნენ, დღეს კი, ამაზე ხმამაღლა საუბრის საშუალებას ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებები მაძლევს. არ მინდა, მოქალაქეებში ჩასახული მოლოდინი კოალიციამ გააფერმკრთალოს. ჩვენ კარგად გვახსოვს, „სვისტოკიანი“ ავტოინსპექტორები, ყვითელი „კანარეიკები“, რომლებიც ქუჩის მოსახვევებში დამალულები „მსხვერპლს“ გაფაციცებით ეძებდნენ. კარგია, რომ დღეს პატრული მოძრაობის წესების დარეგულირებას ცდილობს, მისასალმებელია, ქალაქში სათვალთვალო კამერების რაოდენობაც გაიზარდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯარიმების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა.

— ფიქრობთ, მოქალაქეები უსამართლოდ ჯარიმდებიან?

— „ქართული ოცნება“ არჩევნებამდე გვპირდებოდა, რომ ჯარიმების ოდენობა შემცირდებოდა და გადასახადიც მოსახლეობის საშუალო შემოსავალს გაუთანაბრდებოდა. ახლა კი მოუწესრიგებელი გზების გამო, სამწუხაროდ, აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებიც ჯარიმდებიან. თუ ასეთ მაღალ ჯარიმას გვახდევინებენ, აუცილებელია, დედაქალაქში საგზაო ნაწილი ევროპულ სტანდარტებს გაუთანაბრდეს.

— თბილისში გზების მოწესრიგება მერიის კომპეტენციაში არ შედის?

— დიახ, სწორედ გიგი უგულავას მივმართავ, რომელიც მიხეილ სააკაშვილთან ერთად, სხვადასხვა ავტორალიში არაერთხელ გვინახავს: შეაკეთოს გზები დედაქალაქში! მაგალითად, პეკინის ქუჩაზე ისეთი მთაგრეხილებია, დაბომბილი სტალინგრადი გაგახსენდებათ. თბილისში გზების უმეტესობა უხარისხოდაა დაგებული და, რაც მთავარია, დახაზულიც არ არის. მძღოლი იმასაც კი ვერ არკვევს, სად არის ღერძულა ან წყვეტილი ხაზი, არც სდექხაზი არსებობს და არც გადასასვლელი ნაწილი ჩანს სადმე. რა თქმა უნდა, დარღვევებიც ფიქსირდება, მაგრამ ხშირად, მოუწესრიგებელი საგზაო ნიშნების გამო, მძღოლთა უმეტესობა იძულებულია, საგზაო წესების დარღვევით შეასრულოს მანევრი. შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, მერიას გზების დახაზვა მოსთხოვოს. სხვათა შორის, საკმაოდ დიდი ბრძოლა დამჭირდა, რომ თავისუფლების მოედანზე მარცხნივ მოხვევის ნიშანი დაეხაზათ. იგივე პრობლემებია ავლაბარში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ასევე, დიღომში, აკაკი ბაქრაძის ქუჩაზე. სწორედ ამ ქუჩაზე, ვიდეოკამერის ქვეშ, სიჩქარის შეზღუდვის მანიშნებელი ნიშანი არ არის მიმაგრებული, როცა თურმე ამ პერიმეტრზე 90 კმ/სთ-ია განსაზღვრული. მიმაჩნია, რომ მერია სპეციალურად არ აგვარებს ამ პრობლემას და ამით ხელოვნურად აღიზიანებს მოქალაქეებს, რომლებსაც ჯარიმები მასობრივად მისდით. პრევენციისთვის, შს სამინისტრომ ჯარიმების კატეგორიას უნდა გადახედოს. მაგალითად, უნდა მოხდეს დიფერენცირება — ვინ რამდენით გადააჭარბა შეზღუდულ სიჩქარეს და ყოველ გადაჭარბებულ 10 კმ/სთ-ზე დადგინდეს ჯარიმა.

— და არ ფიქრობთ, რომ მსგავსი მიდგომა ქაოსს გამოიწვევს?

— არა, რადგან ჩვენ გვაქვს ფარული კამერები, რომლებიც პარალელურად, გადაჭარბებულ სიჩქარესაც აფიქსირებს. განსაკუთრებით მოსაწესრიგებელია გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ნაციონალური მოძრაობის სიამაყეს წარმოადგენდა. ნაციონალების პოლიტიკის ნაწილი იყო, მოქალაქეები ქუჩაში მოძრაობის დროსაც დათრგუნვილები ყოფილიყვნენ, რისი დადასტურებაცაა სააკაშვილის დროს შეკეთებული ქუჩები — გმირთა მოედანი, ვაგზლის მიმდებარე ტერიტორია, სადაც პიკის საათებში წარმოუდგენელი საცობები იქმნება. ეს იმის ბრალია, რომ საქართველოში მეცნიერულ დონეზე არავის გამოუკვლევია ისეთი მნიშვნელოვანი დეტალები, როგორიცაა შუქნიშნების ანთება-ჩაქრობის ინტენსივობა. სწორედ ამიტომ, ძალაუნებურად, თითქმის ყველა მძღოლს მოძრაობის წესების დარღვევა უწევს. „სვისტოკიანი“ ავტოინსპექტორები ვიდეოკამერებმა არ უნდა ჩაანაცვლოს, რომლებიც სახლში საკმაოდ სოლიდურ ჯარიმებს გვიგზავნიან. ფაქტია, ქალაქში სანიაღვრე სისტემაც მოუწესრიგებელია — მცირე წვიმის დროსაც კი, თბილისი ვენეციას მოგაგონებთ.

— თუმცა მერია გვიმტკიცებს, რომ ქალაქში გზების რეაბილიტაციასთან ერთად, სანიაღვრე სისტემაც მოწესრიგდა.

— დიახ, მაგრამ ყველაფერი უხარისხოდ გაკეთდა. გაიარეთ ნებისმიერ ცენტრალურ ქუჩაზე წვიმის დროს, გუბეები დგება. მოგვცენ ავტომობილის მფლობელებს ნორმალური მოძრაობის საშუალება და დარღვევებისთვის მხოლოდ ამის შემდეგ დაგვაჯარიმონ! კარგი იქნება, თუ საავტომობილო ომბუდსმენის თანამდებობა შეიქმნება, რომლის ხელმძღვანელადაც, მაგალითად, შალვა ოგბაიძე საკმაოდ კარგი კანდიდატურა იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, ის დაიცავს ავტომობილების მფლობელების უფლებებს და საგზაო მოძრაობის წესებსაც დაარეგულირებს. ნაციონალური მოძრაობის ბანდის მიერ არჩეული გზით არ უნდა ვიაროთ, რომელიც მხოლოდ პიარზე იყო ორიენტირებული. ყველამ ერთად, ქალაქის მერიას გზების მოწესრიგება უნდა მოვთხოვოთ. გიგი უგულავამ თბილისი „გადაჭამა“ და მილიარდერი გახდა. ქალაქში არ არსებობს მცირე მონაკვეთიც კი, სადაც მას ბოკერიასთან ერთად, წილი არ აქვს. ამ ყველაფერს ემატება „სითი პარკის“ ანტიკონსტიტუციური ქმედებებიც, რომელიც მოსახლეობისთვის ფულის წაგლეჯის ეფექტურ მანქანად იქცა.

„ხალხს ძალიან გაუჭირდა, ოქროს დარდი ვიღას აქვს“

რატომ დაცარიელდა დახლები ოქროს ბირჟაზე, აღარ შემოაქვთ სამკაული უცხოეთიდან და იაფდება ოქრო ელვისსისწრაფით?

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ბოლო 4 წლის განმავლობაში ოქრო რამდენჯერმე გაძვირდა და ბოლოს, 200%-იანი მატებაც კი დაფიქსირდა — 1 გრამი 958-სინჯიანი ოქრო, ე.წ. ბაჯაღლო, 100-102 ლარი გახდა, ხოლო 1 გრამი 583-სინჯის „რუსული ოქროს“ ფასი 85 ლარამდე ავიდა. დღეს, „ყველაზე მყარი ვალუტის“ ფასის კლების ტენდენცია შეინიშნება. მაგალითად, თუ 19 ივნისს 1 გრამი ბაჯაღლო 85 ლარი ღირდა, 23 ივნისს მას 82 ლარად შეიძენდით. „ვერსია“ დაინტერესდა, როდიდან იაფდება ოქრო და რა არის ამის მიზეზი. ვითარებაში გასარკვევად ოქროს ბირჟას ვესტუმრეთ. ვიტრინების დათვალიერებისას ოქროს მასიური სამკაულები თვალში ნაკლებად მხვდება, კლიენტების რაოდენობაც აშკარად შემცირებულია. საქორწინო ბეჭდების დახლთან გავჩერდი და გამყიდველს ფასი ვკითხე.

— გააჩნია, როგორი ბეჭედი გინდა. ზოგს ნაკეთობის ფასი ემატება, ბრილიანტებიანი უფრო ძვირი ღირს. სტანდარტული საქორწინო ბეჭდის ფასი, ერთი გრამი 82 ლარია. თუ ბრილიანტის „ასკოლკები“ აქვს — 100-110 ლარი დაგიჯდება, მაგრამ ამის მყიდველი ვინღაა. კვირაში 1-2 ბეჭედი თუ გავყიდე, ღმერთს მადლობას ვეუბნები. ხალხს ფული აღარ აქვს და ბაჯაღლოს „კალცოსაც“ ვეღარ ყიდულობს. კაცს რომ ცოლი მოგყავს და ჯვრისწერის ბეჭდის საყიდლად 500 ლარი არ გაქვს, ესაა ცხოვრება? ადრე ბრილიანტის „ტროიკებს“, ბაჯაღლოს გრეხილ ჯაჭვებს და რას აღარ ჩუქნიდნენ მომავალ რძალს, ახლა კი ბევრი ვერცხლის ბეჭდებს ყიდულობს, ოქროს წყალში ავლებინებს და ისე იწერენ ჯვარს. სხვებს აჩვენებენ, თითქოს ოქრო უყიდეს საცოლეს.

— ოქრო რატომ გაიაფდა?

— 2 თვეა, ოქროს ფასი იკლებს. ზოგადად, ფასს ჩვენ ვერ ვარეგულირებთ — მსოფლიო ბაზარზე როცა იაფდება ოქრო, ჩვენც ვაიაფებთ. ხალხს მარტო საქართველოში კი არ გაუჭირდა, მსოფლიოშიც შეექმნათ ფინანსური პრობლემები. ძვირფასი სამკაულების შესაძენად ფული აღარ აქვთ, ამიტომ ოქროზე მოთხოვნილება შემცირდა, შესაბამისად, ფასმაც დაიწია.

— კლების ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება თუ ამაზე მეტად ოქრო აღარ გაიაფდება?

— გაიაფდება... მოვაჭრეები უკვე იმას ვლოცულობთ, როგორმე ასაღებ ფასად მაინც ამოვყიდოთ საქონელი, რომ არ ვიზარალოთ. ბევრი ასიათასიან ვალში გადავარდა, ზოგს ბანკის ვალები დაედო, ზოგი საერთოდ შეეშვა ამ საქმეს. ხომ ხედავთ, ირგვლივ რამდენი ცარიელი დახლია. მუშაობა შემოტანილ ოქროს სამკაულზე აღარ ღირს. საბაჟოზე გატყავებენ, მოიტანა აქ და შეიძლება ოქრო ისე გაიაფებული დაგხვდეს, წაგებაზე წახვიდე. ვამჯობინებთ, ვიმუშაოთ ადგილობრივ ოქრომჭედლებთან — მოლაპარაკებულები ვართ. კონკრეტულ დღეს გრამი ოქრო რაც ეღირება, იმ ფასად ვყიდულობთ ნივთს.

ძვირფასი სამკაულების დათვალიერება განვაგრძე. დაცარიელებული დახლებისა და დამთვალიერებელ-მყიდველების შემცირებული რაოდენობის გარდა, ისიც აღმოვაჩინე, რომ ძვირადღირებულ, მასიურ სამკაულებს, წინა წლებთან შედარებით, იშვიათად წააწყდებით. „იტალიური“ ქარხნული ნაკეთობებიც ნაკლებად შემხვდა დახლებზე. ფასით დავინტერესდი.

— სინჯს, ნაკეთობას, გააჩნია. ყველაზე დაბალსინჯიანი, 375-იანი ოქრო, გრამი 55 ლარი ღირს. 500-სინჯიანი — 60-65 ლარი, 583 და 585 სინჯის „რუსული“ და „იტალიური“ ოქროს ფასი კი 70-75 ლარია. იგივე ფასი აქვს თეთრს ოქროსაც. ამას, ცხადია, ნაკეთობისა და თვლების ფასიც ემატება.

მყიდველი აღარ არის. ოქროს დარდი ვიღას აქვს. ერთ საქორწინო ბეჭედს გაიკეთებენ და დამთავრდა. ზოგისთვის ოქროებით სიარული გოიმობაცაა. დღეს ხალხი ფულს ტექნიკასა და მოგზაურობაში ხარჯავს, ამიტომ შემცირდა მოთხოვნა ოქროზე და ფასმაც იკლო.

— იტალიური ქარხნული ნაკეთობებიც იშვიათად შემხვდა. რატომ?

— რეალურად, ეგ „იტალიური“ კი არა, სომხური იყო. ხალხს ურჩევნია, აქ დამზადებული და ხარისხიანი იყიდოს, ვიდრე უხარისხო. თან გაჭირდა საბაჟოზე შემოტანა — კონტროლი გამკაცრდა და იშვიათად შემოგვაქვს. ადრე აქ ტევა არ იყო. თვეობით უნდა მდგარიყავი რიგში, რომ სავაჭრო ადგილი გამოჩენილიყო. ნელ-ნელა მიდის ხალხი ამ ბიზნესიდან.

— ოქროს სამკაულს დღეს, ძირითადად, რა კატეგორიის ხალხი ყიდულობს?

— კლიენტს, სამკაულის შერჩევისას, ყოველთვის ვეკითხებით, ვისთვის ყიდულობს და არჩევანის გაკეთებაში ვეხმარებით. ოქროს სამკაულს თავისთვის იშვიათად ყიდულობენ — ათასში ერთი გამოერევა ასეთი და ის, როგორც წესი, უფრო მასიური და ძვირადღირებული ნივთის მყიდველია. ძირითადად საჩუქრად, ნიშნობისთვის, ჯვრისწერისთვის ან ნათლობისთვის იძენენ.

ძვირადღირებული და მასიური სამკაულის დახლები აშკარად შემცირებულია. აქ თითო ნივთის ფასი 1000 ლარიდან იწყება და 4-5 ათას ლარსაც სცდება. გამყიდველი კლიენტურის ნაკლებობას უჩივის და ამიტომ დახლზე, იაფფასიანი სამკაულებიც უდევს. **„მასიურ და ძვირადღირებულ სამკაულს, ძირითადად, ის ხალხი ყიდულობს, ვისაც უნდა, რომ ფული არ გაუფუჭდეს“,** — მითხრა გამყიდველმა და დანანებით დასძინა, — **ისე უკან-უკან წავიდა ოქროს ფასი, აღარც მის ყიდვას აქვს აზრი. საერთოდ, რა სჯობს, ვეღარ გაიგებს კაცი. 5000 რომ ღირდა 2 თვის წინ, იმ „ტროიკას“ ახლა 4500 ლარად ვეღარ ვყიდითო. ოქროს ბირჟაზე ამბობენ, რომ „ფერად ლითონზე“ ფასი კიდევ უფრო დაეცემა.**



1. ვაჟა-ფშაველას ნამ-დვილი გვარი
2. „თეთრ ოქროდ“ წოდებული მცენარე
3. ლეგენდ. მოკრივე ... მარჩიანო
4. იგივე ცეცხლ-თაყვანის-მცემლობა
5. რომის ერთ-ერთი ბორცვი
6. ავსტრალიელ აბორიგენთა სატყორცნი იარაღი
7. გალაკტიო-ნის ლექსი
8. Მრა-ᲕალᲡიᲛიᲐᲜი ᲛუᲡიკალური საკრავი
9. რამდენი-მე მუსიკ. ბგერის თანაყოერა-დობა
10. კონტინენ-ტებს შო-რის მოქცე-ული წყლის სივრცე
11. დიდი ფრინველის პაერში ლივ-ლივი
12. კედლის ჭაღი
13. მხარე, მიდამო
14. ფართო წარმომად-გენლობითი კრება
15. შუადღის პურის ჭამა
16. ვისიმე დამცველი, მომხრე
17. სოკოს გამრავლების ორგანო
18. სოფელი გორის რაიონში
19. პირენეის მთების უმაღლესი მწვერვალი
20. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
21. ფრანგი ნახევარმ-ცველი ... დიარა
22. სუსტი, ერთნახადი არაყი
23. ეპის-კოპოსის თავსაბურავი, შემკული პა-ტარა ხატებით და ფერადი ქვებით
24. ოიდიპო-სის მამა
25. ზნე, ხასიათი
26. ზღვის დიდი კიბო
27. პარიზის აეროპორტი
28. მცენა-რეული ცხიმი
29. ესპანური საავტომობი-ლო კომპანია
30. მიზანა ბრეგვაძის ვაჟი „შე-რეკილებში“
31. სპორტის არაოლიმ-პი-ური სახეობა
32. ზღა-პრული ცხენი
33. მხარზე გადა-საკიდი ჩანთა
34. წელიწა-დის 1/12
35. დიდი ქართველი მათემატიკოსი
36. საქონლის წონა ჭურ-ჭლიანად
37. უმაღლესი პილოტაჟის ერთ-ერთი ფიგურა
38. არწივის ნაშიერი
39. ვოლტერ-ის ნამდვილი გვარი
40. ისრაელის სახელმწიფო ენა
41. აღ-მოსავლეთი მეზღვაურთა სლენგზე
42. თოვლის კაცი
43. სცენის გაფორმება
44. ინგლისის სამეფო დინასტია
45. მქუხარე აპლოდის-მენტები
46. გერ-მანული ავტომარკა
47. სოფ. ზუგდ. რ-ში
48. მწერალი შალვა ...
49. წყლის ორმო
50. კრემის ასათქვეფი ხელსაწყო
51. მნიშ-ვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
52. ქიმიური ელემენტი, რომლის ნაკლებობა იწვევს ჩიყვს
53. ვირის გასარეკი შეძახილი
54. მსახიობი ... გიბსონი
55. მზის ამოსვლა
56. მოსამარ-თლე „კავკა-სიურ ცარცის წრეში“
57. პატარა მტაცებელი ცხოველი, იგივე დედოფალა
58. „ტოიოტას“ მოდელი
59. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემოკლ.)
60. „ᲰᲝᲛᲝ-ფაბერის“ ავტორი ... ფრიში
61. ᲰᲝᲚᲘᲕᲣ-დის მსახიობი ნიკ ...
62. დარტყმის-გან ამობურ-ცული ადგილი შუბლზე
63. ნამგლის მეწყვილე სსრკ-ის დროშაზე
64. კომპანია „ნისანის“ ავ-ტომობილი
65. ანტონიო ბანდერასის ნიღბიანი კინოგმირი
66. ტბა აფხა-ზეთში
67. ელექტრუ-ლი წინაღობის საზომი ერთეული
68. პრე-მიერლიგის გუნდი „... ვილა“
69. მილანის სურათების გალერეა
70. ინდოეთის ფულის ერთეული
71. ქართველი მხატვარი
72. ავტორი რომანისა „ცხოველთა ფერმა“
73. შავი ფისი
74. ინგლი-სური სქელი ლუდი
75. ორი წერტილი კამათელზე
76. ძველ-რომაელი მთავარ-სარდალი
77. წილი საერთო საქმეში
78. მთავარი ქრისტიანული მღვდელ-მსახურება
79. დადგე-ნილი წილი
80. შიშ. სტეული ფერწერაში
81. დაუკოდავი ხარი
82. ძვ. ფრან-გული ხურდა ფული
83. სამოქალა-ქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
84. სკვითების მახვილი
85. მართკუთხა სამკუთხედის გვერდი
86. ალანეტა იუპიტერის ძველქართული სახელწოდება

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝ�კᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	3	5	2	1	9	8	7	6
8	2	6	5	4	7	1	3	9
1	9	7	8	6	3	2	5	4
7	1	4	6	5	2	3	9	8
3	8	9	1	7	4	6	2	5
6	5	2	9	3	8	4	1	7
2	7	3	4	9	6	5	8	1
5	4	8	7	2	1	9	6	3
9	6	1	3	8	5	7	4	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	8	7	2	6	5	3	1	9
3	2	1	9	4	8	7	5	6
5	9	6	3	1	7	8	4	2
2	5	8	7	9	4	6	3	1
9	1	4	8	3	6	5	2	7
7	6	3	5	2	1	4	9	8
1	4	5	6	8	9	2	7	3
8	7	2	1	5	3	9	6	4
6	3	9	4	7	2	1	8	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	6	4	1	3	9	8	7	5
3	9	8	7	6	5	4	2	1
5	1	7	8	4	2	9	3	6
1	8	2	9	7	3	6	5	4
4	7	6	5	2	1	3	9	8
9	5	3	6	8	4	2	1	7
8	2	1	4	9	7	5	6	3
7	4	9	3	5	6	1	8	2
6	3	5	2	1	8	7	4	9

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲬᲘᲤᲝ

7	1	6	3	4	9	2	8	5
2	8	5	6	1	7	3	9	4
4	9	3	5	2	8	1	7	6
3	5	7	2	9	6	4	1	8
1	6	9	4	8	5	7	2	3
8	4	2	7	3	1	5	6	9
9	3	4	8	7	2	6	5	1
6	7	1	9	5	3	8	4	2
5	2	8	1	6	4	9	3	7

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	7	2	5	1	8	6	4	3
6	5	4	3	2	7	1	9	8
1	3	8	4	9	6	5	7	2
5	2	9	1	4	3	8	6	7
8	6	1	7	5	2	4	3	9
7	4	3	6	8	9	2	5	1
4	8	5	9	7	1	3	2	6
3	1	7	2	6	4	9	8	5
2	9	6	8	3	5	7	1	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	9	3	2	8	1	7	6	5
8	7	6	5	9	4	3	2	1
5	2	1	3	6	7	8	4	9
3	4	8	1	7	6	9	5	2
2	5	9	4	3	8	1	7	6
1	6	7	9	5	2	4	8	3
7	8	5	6	1	3	2	9	4
9	3	4	8	2	5	6	1	7
6	1	2	7	4	9	5	3	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	8	1	6	5	7	3	4	2
2	3	7	1	4	9	8	6	5
6	5	4	3	2	8	7	1	9
3	4	2	9	7	6	5	8	1
1	9	6	5	8	4	2	7	3
8	7	5	2	3	1	6	9	4
5	6	9	8	1	3	4	2	7
7	2	8	4	9	5	1	3	6
4	1	3	7	6	2	9	5	8

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲬᲘᲤᲝ

2	8	6	9	3	7	1	4	5
5	4	3	2	1	8	7	9	6
7	1	9	6	5	4	3	2	8
6	5	2	4	8	3	9	1	7
4	9	1	7	2	6	5	8	3
3	7	8	1	9	5	4	6	2
1	6	4	5	7	2	8	3	9
9	3	5	8	6	1	2	7	4
8	2	7	3	4	9	6	5	1

მე-17 გვერდი: 1. ჩიზბურგერი; 2. შაპიტო; 3. არაბია; 4. პარიზი; 5. მარტინოვი; 6. მხალი; 7. რაიტი; 8. ლენკროტი; 9. იდო; 10. ოლე; 11. იგი; 12. „პარმა“; 13. რიალი; 14. „ოსერი“; 15. სორო; 16. რიგა; 17. აგარა; 18. კაბრიოლეტი; 19. ზვინი; 20. ინი; 21. ამია; 22. ნავოი; 23. ონი; 24. ამოკი; 25. კაკაპო; 26. მარკოზი; 27. ნერონი; 28. იისფერი; 29. ანი; 30. ივ; 31. მოდილიანი; 32. გროსმაისტერი; 33. ოლბანი; 34. მაიკოპი; 35. იავნანა; 36. კომეტა; 37. ბულიკა; 38. სარმა; 39. სიუ; 40. ეტა; 41. ქამა; 42. ემე; 43. სბირი; 44. მტილი; 45. რუბლიოვი; 46. კანტი; 47. დონ; 48. ზაქი; 49. პრადო; 50. ადა; 51. ბინ; 52. ანგოლა; 53. ჯიჰადი; 54. აბე; 55. ფუტი; 56. ილი; 57. პანიკა; 58. ჯა; 59. ჰანოი; 60. გედი; 61. ავი; 62. ევა; 63. ალაო; 64. კუ; 65. დრაგომანი; 66. რი; 67. ფლორიდა.

მე-16 გვერდი: 1. ბაქტრიანი; 2. გარდემარინი; 3. „განდეგილი“; 4. მროველი; 5. ნუგა; 6. ორტი; 7. დღე; 8. მენტორი; 9. რემა; 10. ნარი; 11. ბრამანტე; 12. ქარაგმა; 13. ილიონი; 14. პორტერი; 15. ანანდი; 16. მშვენიერი; 17. ტახი; 18. რევი; 19. პოლი-ფონია; 20. შანდორ; 21. ანოა; 22. „ლაქა“; 23. ფაიანსი; 24. შლეიფი; 25. „აეკი“; 26. მარაქა; 27. ქორქია; 28. აფი; 29. რიფი; 30. ნანა; 31. ემისია; 32. იურთი; 33. შლამი; 34. სტოა; 35. ტენგე; 36. ლიე; 37. ონისე; 38. როლი; 39. ტალი; 40. დრეზინა; 41. იარდი; 42. რაე; 43. კორდელია; 44. რაისი; 45. ილინოისი; 46. ალიბი; 47. აია; 48. ქვა; 49. რქა; 50. ბუცი; 51. ლენა; 52. არილი; 53. ილფი; 54. ქსი; 55. აარე; 56. ფა; 57. ფიდე; 58. ფია; 59. სცენა; 60. აბი; 61. ელე; 62. ლევირატი; 63. პლისე; 64. ურია; 65. რუ; 66. უფა. სურათზე: ტრაქტორი.

ჰოროსკოპი
26 ივნისი

ვერძი — წარმატებული დღე გულით პირად ურთიერთობებში — ძნელი არ იქნება ბალანსის შენარჩუნება — ურთიერთგაგება თავისთავად წარმოიშობა. კარიერა კი თქვენგან სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებასა და მაქსიმალურ რისკს მოითხოვს.

კურო — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის წარმატებული დღეა. სწორად ახერხებთ არსებული რესურსების — ფინანსების, დროის, საკუთარი ენერგიის განაწილებას და ამიტომაც უველაფერი გამოგდით, რასაც ხელს მოკიდებთ, თუმცა მსხვილი კაპიტალდაბანდებისა და უძრავი ქონების შეძენისგან თავი შეიკავეთ.

ტყუპები — დღეს, შესაძლოა, გააქტიურდნენ კონკურენტები და ოპონენტები, რომლებიც ხელს შეგიშლიან გეგმების განხორციელებაში, თუმცა ჯანსაღი აზროვნება, მონდომება და მოლაპარაკების წარმოების უნარი ნებისმიერი რთული მდგომარეობიდან გამოგიყვანთ.

კირჩხიბი — კარგი დღეა მოგზაურობისთვის, ნებისმიერი საქმე წარმატებით დასრულდება, თუკი გულისსმიერად მიუდგებით. თქვენი პროფესიონალიზმი და მომხიბვლელობა საკუთარ წვლილს შეიტანს წარმატებაში. კარგი დღეა ბიზნესპარტნიორების მოსაძებნად და გადადებული საქმეების დასასრულებლად.

ლომი — დღეს განსაკუთრებით გამახვილებული გაქვთ ინტუიცია, რაც სწორად უნდა გამოიყენოთ თქვენს სასიკეთოდ. წარმატებული იქნება გამოძიება, საიდუმლო საქმეების ამოხსნა, შესაძლოა, ვინმეს საიდუმლო შეიტყოთ და ამით საკმაო თანხაც იშოვოთ. ბოლო პერიოდში ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები დადებით მუხტს მოგიტანთ.

ქალწული — ქალწულებისთვის კარგი დღეა, ახალი და პერსპექტიული, საინტერესო საქმის წამოსაწყებად. შეგიძლიათ ენდოთ თქვენს პარტნიორებს, რადგან ისინი საკუთარ თავზე აიღებენ ყველაზე მოსაწყენ და რთულ საკითხს, თქვენგან კი მხოლოდ შემოქმედებითი აზროვნება და იდეებია საჭირო.

სასწორი — დღეს სასწორებს შეუძლიათ ყურადღება არ მიაქციონ მოდუშულ და მკაცრ სახეებს, ასე განწყობას ვერაფერით გაგიფუჭებენ. არის შანსი, რომ სწორედ დღეს შეხვდეთ თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანს და მასთან ურთიერთობა გააგრძელოთ. სამსახურში არსებულ ყველა პრობლემასა და გაუგებრობას დღეს საბოლოოდ დაესმება წერტილი.

ღრიანკალი — დღის განმავლობაში რთული საშინაო საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს. არ არის გამორიცხული, დამატებითი ფინანსური ხარჯი. სამაგიეროდ, ოჯახის წევრები კმაყოფილები დარჩებიან. სამსახურშიც იჩრდება თქვენი ავტორიტეტი.

მშვილდოსანი — ვარსკვლავები გირჩევენ, უფრთხილდეთ ახალ ნაცნობებს: დღეს ძალიან გაგიჭირდებათ, სწორი წარმოდგენა შეიქმნათ ადამიანებზე, არ არის გამორიცხული ფინანსური დანაკარგი, გაუთვალისწინებელი ხარჯი.

თხის რქა — აქტიური და ენერგიული დღე გელით. საშუალება მოგეცემათ. კარიერაში მწვერვალები დაიპყროთ, მხოლოდ სამსახური გამოჯნეთ პირადი ცხოვრებისგან, საკუთარ საქმეში ჩარევის უფლებას კი ნურავის მისცემთ.

მერწყული — შესაფერისი დღეა საკუთარ თავზე სამუშაოდ, შესაძლებლობაც ჯეროვნად შეაფასეთ და უკიდურესობასაც მაქსიმალურად აარიდეთ თავი. გსურთ, სამსახურში მოულოდნელად წარმოქმნილი პრობლემები ძალევე მოაგვაროთ, მაგრამ ვარსკვლავები გირჩევენ, უკეთეს დროს დაელოდოთ.

თევზები — კარგი დღეა იმიჯთან დაკავშირებით ექსპერიმენტის ჩასატარებლად. თქვენთვის მნიშვნელოვანია კომფორტი და სიმეუდროვე, მის გარეშე ძალებს ვერ აღიდგენთ. სასიცოცხლო პოტენციალი შესამჩნევად იკლებს, რაც თქვენში გაუცნობიერებელ აგრესიასა და გაღიზიანებას იწვევს. იჩრდება კონფლიქტური ვითარების რისკიც.

კაცებისთვის ყველაზე საშიში პროფესიები გამოავლინეს

სოციოლოგიურმა კვლევამ, რომელიც დიდ ბრიტანეთში ჩატარდა, გამოავლინა, რომ მამაკაცების ჯანმრთელობისთვის ყველაზე საშიში პროფესია ბიზნესია. ბიზნესმენებს სხვებზე უფრო მეტად აწუხებთ პრობლემები სექსუალურ სფეროში, რადგან რეგულარულად სტრესის ქვეშ არიან, არასწორად იკვებებიან და არანორმირებული სამუშაო დღე აქვთ. გამოკითხვის მიხედვით, იმპოტენციის შედარებით ნაკლები რისკის ქვეშ მოხვდნენ პოლიციელები, მცველები, სამხედროები და მეხანძრეები. მათი სამუშაო სიცოცხლის რისკთანაა დაკავშირებული და მაქსიმალურ მზადყოფნას მოითხოვს. ამ პროფესიების წარმომადგენლები, სამუშაოს შემდეგ ძნელად თუ გადაერთვებიან ხოლმე სხვა რამეზე და ძალიან ჩაფიქრებულები არიან. მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები და სხვა შემოქმედებითი პროფესიის მქონე მამაკაცებიც ასევე არ არიან საუკეთესო საყვარლები. სექსუალური ენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილის სუბლიმირებას ისინი შემოქმედებაში ახდენენ, ხოლო როცა მუზა ეწვევათ, თავით გადაეშვებიან ხოლმე საქმეში. რეიტინგს სპორტსმენები და იმ პროფესიის მამაკაცები ასრულებენ, ვინც ფიზიკური სამუშაოთი არიან დაკავებული და იძულებული არიან, ყოველდღე ძალები სამსახურში დახარჯონ.

აზიური მოდა — სათვალე შუშის გარეშე

ჰონგკონგსა და ზოგიერთ აზიურ ქვეყანაში ბოლო დროს საკმაოდ მოდური გახდა სათვალის ტარება, რომელსაც შუშა არ აქვს. დიდი ქალაქების ქუჩებში ხშირად შეხვდებით ადამიანებს, რომელთაც ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა თუ აქსესუარის შესაფერისი, ათასგვარი ფერის პლასტმასის ჩარჩო უკეთიათ. როგორც ჰონგკონგელები ამტკიცებენ, სათვალე მინების გარეშე მოსახერხებელი და შეუცვლელია, რადგან იდეალურად ერწყმის ჩაცმულობას. გარდა ამისა, სუსტი სქესის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, რომელთაც მაკიაჟის გასაკეთებლად დრო არ აქვთ, სათვალის ჩარჩო შესანიშნავად უფარავს თვალის უპეებს, შუშიანი სათვალე კი ხშირად იორთქლება. ამ უცნაური მოდის ზოგიერთი მიმდევარი მიიჩნევს, რომ ცარიელი ჩარჩოები ვიზუალურად ადიდებს თვალებს, კარგი მხედველობის გამო კი მინები საერთოდ არ სჭირდებათ. გასაოცარია ისიც, რომ ვისაც ცუდი მხედველობა აქვს და სათვალეს ექიმი უწერს, უპირატესობას მაინც კონტაქტურ ლინზებსა და სათვალის ცარიელ ჩარჩოს ანიჭებს. ბევრი აზიელი პოპულარული მსახიობი თუ ტელეწამყვანი დადის ასე და მოსახლეობაც ცდილობს, არ ჩამორჩეს ამ უცნაურ მოდას. მით უმეტეს, რომ ასეთი სათვალე საკმაოდ იაფია — 4-დან 12 დოლარამდე ღირს და თითქმის ყველა მაღაზიაში იყიდება.

ყავაზე უარი ფსიქიკურ აშლილობად მიიჩნიეს

ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის ახალ, ოფიციალურ ჩამონათვალში, ფსიქიკურ აშლილობად კოფეინით ინტოქსიკაცია და ყავაზე უარისთქმაცაა მითითებული. პროფესიონალი საზოგადოების რეაქცია ამ დიაგნოზების აშლილობად გამოცხადების შესახებ არაერთგვაროვანი იყო. ზოგი მათგანის განცხადებით, კოფეინური ინტოქსიკაცია და კოფეინზე უარის თქმა — გავრცელებული მოვლენაა, თუმცა იშვიათად ხდება ისეთი კლინიკური დარღვევების მიზეზი და მათი აშლილობად მიჩნევა დაუშვებელია. ყველა ადამიანი პაციენტად არ უნდა ვაქციოთო. ახალი ჩამონათვალის ავტორები კი პირიქით, მიიჩნევენ, რომ ეს დიაგნოზი „კლინიკურად მნიშვნელოვანია“ და დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ამ საქმის სპეციალისტებს დაეხმარება. კოფეინზე უარის თქმის სიმპტომები სხვა აშლილობისა და დაავადების სიმპტომებს ჰგავს. არაერთხელ გვსმენია, რომ ადამიანები ქრონიკული თავისტკივილის გამო მიდიან ექიმთან, რადგან ჰგონიათ, რომ ეს გრიპია. არადა, მიზეზი კოფეინზე უარის თქმაა, — აცხადებენ ამერიკელი ფსიქიატრები.

ჰოროსკოპი
27 ივნისი

ვერძი — დღე ოჯახს მიუძღვენით, მხოლოდ ასე შეძლებთ საკუთარ გრძნობებში გარკვევას. შეგიძლიათ ახალ პროექტებზეც დაფიქრდეთ, მაგრამ მსუბუქ პროექტებს ნუ წამოიწყებთ.

კურო — მოემზადეთ პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისთვის. ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან, დიდი ხნის ოცნება აისრულოთ. არ არის გამორიცხული, რომ წინ უამრავი წარმატება გელით.

ტყუპები — კარგი დღეა აქტიური დასვენებისა და შემოქმედებითი გეგმების განხორციელებისთვის. თუ კვირის განმავლობაში შეძელით და თავი აარიდეთ გაუაზრებელი ნაბიჯების გადადგმას, პოზიტიური ცვლილებები მოხდება, მაგრამ თუ ზედმეტ ემოციურობას გამოავლენთ, შესაძლოა, გაუგებრობაში აღმოჩნდეთ.

კირჩხიბი — დღის პირველი ნახევარი სასიკეთოა აქტიური დასვენებისთვის. ფიზიკური ვარჯიშის ან სუფთა ჰაერზე მუშაობისთვის. ვარსკვლავები ხელს უწყობენ მოგზაურობას — ნებისმიერი მგზავრობა წარმატებული იქნება.

ლომი — დღეს ვარსკვლავები გირჩევენ, ხელები დაიკავპიწოთ და ენერგიულად შეუდგეთ საქმეს. თამამად გააქტიურეთ ბიზნესსაქმიანობა, სიყვარულში კი ყველაფერი ძველებურად დარჩება. თავი აარიდეთ რომანტიკულ თავგადასავლებს — მას არასასურველი შედეგები მოყვება.

ქალწული — ქალწულებისთვის დღე სულიერ გარდასახვას, ზნეობრივ განწმენდას უკავშირდება. შესანიშნავი დღეა პროფესიულ საქმიანობაში აქტიურობისთვის, კომერციული ოპერაციებისთვის. მგზავრობა, შეხვედრები და ახალი საქმეები, რაც თქვენი საქმიანობის გაფართოებას უკავშირდება, დადებით შედეგს მოიტანს.

სასწორი — დღეს მოგზაურობა მიზანშეწონილი არაა. შეეცადეთ, წესრიგი დაამყაროთ საკუთარ ემოციებსა და გრძნობებში. ახლობლების მიმართ მეტი გულისხმიერება გამოიჩინეთ, რადგან ისინი თქვენგან მეტ ყურადღებას საჭიროებენ.

ღრიანკალი — კარგი დღეა შემოქმედებითი საქმიანობისთვის, მშენებლობისთვის, ქორწინებისთვის, აქტიური დასვენებისთვის, რაც საქმიანი კვირის შემდეგ განტვირთვაში დაგეხმარებათ. ძალე მოგეცემათ შესაძლებლობა, დასახულ მიზანს მიაღწიოთ.

მშვილდოსანი — ვარსკვლავები წარმატებას გეპირდებიან. კარგი პერიოდია სამსახურებრივი პოზიციების განსამტკიცებლად. ძლიერდება სექსუალური პოტენციალი, მაგნეტიზმი და ინტუიცია. თქვენი მომხიბვლელობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებში შესაბამის გამოხმაურებას ჰპოვებს.

თხის რქა — კარგი დღეა კომერციული ოპერაციებისთვის, საქმიანი აქტიურობისთვის, შემოქმედებისთვის, სიყვარულისა და ოჯახური ურთიერთობისთვის. მოემზადეთ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისთვის. ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან — შეეცადეთ დიდი ხნის ნატვრა აისრულოთ.

მერწყული — პასიური დღეა, რომელიც არ შეიტანს სერიოზულ ცვლილებებს თქვენს ცხოვრებაში. მშვიდად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა, დაკავდით სახლის კეთილმოწყობით და წვრილმანი შენაძენი გააკეთეთ.

თევზები — დღე სიმშვიდესა და წონასწორობას გპირდებათ. შესაძლოა, დღეს ვითარების ბატონ-პატრონი გახდეთ. არ არის გამორიცხული ოჯახური უთანხმოება, რაც თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. დღე დასვენებას ან საყვარელ საქმიანობას მიუძღვენით.

1.ფსიქიური აშლილობის ფორმა- განდიდების მანია
2. ძლიერი ქარი სამხრეთ საფრანგეთში
3. მკლავჭიდის სახელწოდება ევროპაში
4.არმის სამეთაურო შემადგენლობის წარმომადგენელი
5.უდიდესი სასყველი ქრისტიანულ ეკლესიაში
6. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი
7. დიდი იტალიელი კინორეჟისორი
8. სავანის ტიპი მდ. ორინოკოს ვაკეზე
9. ხეებით დაფარული ვრცელი ტერიტორია
10. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
11.ძალიან მაღალი მრავალსართულიანი შენობა
12. მალარიის კოღო
13. მხატვრის სახელოსნო
14. მოსამართლის ტიტული ინგლისში
15. იგივეა, რაც იალქანი
16.აშშ-ის ტელეპრემია
17.აბრეშ. ქსოვილი
18. ცხენების ჯოგი
19. მეუღლის მოტყუება, ღალატი
20. მსახიობი ... ტრავოლტა
21. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
22. გერმანული კოსმეტიკ. ფირმა
23. „ძე“ არაბულ გვარებში
24. ინდური კობრა
25. ბაშკირეთის დედაქალაქი
26. ქალაქი რუსეთში
27.აშშ-ის შტატი
28.პოსეიდონის ვაჟი
29. სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხანჯალი
30. ძვ. ესპანური ოპერის ჟანრი
31. თანამედროვე მუსიკის ჟანრი
32.ჰოლივუდის ლეგენდა ... ჰეპბერნი
33. პელეს მშობლიური გუნდი
34. აშშ-ის ექსპრეზიდენტი
35. ოპტიკური ხელსაწყოს ნაწილი
36. წყალქვეშა კლდე
37. ბოსტნეულის მავნებელი მწერი
38.ბრძანება „ნაბიჯით ...!“
39. მუსიკალ. გამის V ნოტი
40. ბასკური ტერორისტ. ორგანიზაცია
41. მოკლელოცვითი საგალობელი
42.ზღვის ვიწრო ყურე კლდოვანი ნაპირებით
43.ლევი სტრაუსის ქმნილება
44. იაპონური ავტომარკა
45.საქართველოს ეროვნული ვალუტა
46. სოფელი წალენჯიხის რაიონში
47. თონეში ჩავარდნილი პური
48.ინგლ. ფართობის საზომი ერთეული
49. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი
50. სოფელი ახმეტის რაიონში
51. ქართული ლუდის მარკა
52.მცირე ჩრდილი
53.ბოჭკოვ. მცენარე
54. ოსტატობის ხარისხი ძიუდოში
55.ფრანგი დიზაინერი ...-სენ ლორანი
56.ტარიელის მამა „ვეფხისტყაოსანში“
57.დიდი გარეული ფრინველი
58.მშრალი სასურსათო საქონლის ზოგადი სახელწოდ.
59.მეფე ლირის ერთ-ერთი ასული
60. იგივეა, რაც გაზი
61. ერთი დედ-მამის ქალიშ-ვილი სხვა შვილების მიმართ
62. თეატრის კოლექტივი
63.ჩეხთა ეროვნული გმირი ... ჰუსი
64. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ესპანელები მკვდარი ვირთხებით ერთობიან

ერთმანეთისთვის მკვდარი ვირთხის სროლა ბევრს საშინელ იდეად მოეჩვენება, მაგრამ ესპანეთის ქალაქ ელ-პუჩის მცხოვრებლები ამ ყოველწლიურ ღონისძიებას მოუთმენლად ელიან. შეჯიბრში ადამიანები წინასწარ გაყინულ, ვირთხებს ერთმანეთს ესვრიან. ფესტივალი ატალლა დე ღატას ანუ „ვირთხების ბრძოლა“ ერთ-ერთ ყველაზე უცნაურ დღესასწაულად მიიჩნევა. ადგილობრივები და ტურისტები ქალაქის მთავარ მოედანზე იკრიბებიან დროის მხიარულად გასატარებლად. თუკი თქვენ მკვდარი ვირთხა მოგხვდათ, ის სხვას უნდა ესროლოთ. სუსტი ნერვების მქონეთ ეს უჩვეულო დღესასწაული არ მოეწონებათ, მაგრამ ადგილობრივებს ის იმდენად უყვართ, რომ ხელისუფლების მიერ შარშან მისი აკრძალვის მიუხედავად, ტრადიციული ღონისძიება მაინც გამართეს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.